# სარბიელი

სპორტული გაზეთი — შაბათი 29 სექტემბერი 2001 №186 (1459) — ფასი 50 თეთრი


# ARRIVEDERCI, AMORE!

## ჯანი კარნევალი საქართველოს გამოუტყდა



ბოლო „დინამო“ — „ტორპედო“: საგაზაფხულო მატჩში ჯერ კიდევ ქუთაისელთა მეკარე ირაკლი ზოიძე (№1) დინამოელთა სიხარულს ვერ იზიარებდა

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — პირველი ეტაპი

**9 ტური**

30 სექტემბერი, კვირა

მერანი — სამგურალი

ბათუმი — სიონი

მეტალურგი — გურია

ვიტ ჯორჯია — კოლხეთი

31 სექტემბერი, ორშაბათი

გორდა — ლოკომოტივი

დინამო — ტორპედო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 7 | 1 | 0 | 20:2 | 22 |
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 18:6 | 18 |
| მერანი | 8 | 5 | 1 | 2 | 11:11 | 16 |
| ბათუმი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:5 | 14 |
| დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 18:8 | 13 |
| კოლხეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 17:13 | 13 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 11 |
| სიონი | 8 | 2 | 2 | 4 | 5:16 | 8 |
| სამგურალი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | 7 |
| გურია | 8 | 1 | 3 | 4 | 5:10 | 6 |
| გორდა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:18 | 5 |
| მეტალურგი | 8 | 0 | 2 | 6 | 3:20 | 2 |

# ჩვენ დინამო ვიყავით

29-09 1976 ТБИЛИСИ

ДИНАМО/ТБ/ СССР - КАРДИФФ-СИТИ УЭЛЬС 3 : 0

ეს სტადიონი არ იმსახურებს სიჩუმეს. არ იმსახურებს იმას, რაც დღეს მის გარშემო ტრიალებს. ამ სტადიონს ბაზრის მოედნის ხმები არ სჭირდება, ამ სტადიონს ფეხბურთის ხმები ენატრება. ეს „დინამოს“ სტადიონია. იმ დროისაა, როცა ჩვენ „დინამო“ ვიყავით.

# რა სავსე იყო ქართული ფიალა!



დღეს ახალ „დინამოზე“ პირველი ოფიციალური მატჩის და პირველი გამარჯვების 25 წლისთავია. ინტერვიუ სტადიონის პროექტის თანაავტორ გია ქურდიანთან იხილეთ მეოთხე გვერდზე


ზია ახალაძის ფოტო

ჯანი კარნევალი

*გუშინ იტალიელმა ჯანი კარნევალიმ ბოლოს გაიყვანა „ვიტ ჯორჯია" სავარჯიშოდ. ის ხვალაც უკანასკნელად დადგება ვიტელთა მესაჭის კუთვნილ ადგილზე, მერე კი...*

*„ჩემი თხოვნაა, მაჩუქოთ „კოლხეთთან" თამაში. როგორც არასდროს, ისე მოვინდომოთ და გავიმარჯვოთ. უკეთეს საჩუქარს თქვენ მე ვერ მიძღვნით. არ გეგონოთ, გავრბოდე და შუა გზაზე გტოვებდეთ. იშრომეთ გაორკეცებული ენერგიით და ევროპისკენ გზა ხსნილი გექნებათ. იცოდეთ, საქართველოდან წასული იტალიელი თქვენზე და თქვენს მომავალზე ბევრს იფიქრებს".*

*უთხრა ჯანი კარნევალიმ ვიტ ჯორჯიელებს და მერე „სარბიელისთვის" მოიცალა.*

# ჯანი კარნევალის ცხოვრების შანსი

## წასასვლელად გამზადებულმა იტალიელმა საჩუქრად კოლხეთი მოითხოვა

— იცით, „ვიტ ჯორჯიასთან" ერთად დიდი გეგმები მქონდა. ახლა ვითარება შეიცვალა. ცხოვრების სტიმული გამიათკეცდა. ასეთი შანსი ადამიანს სიცოცხლეში ერთხელ ეძლევა და ცდუნებას ვერც მე გავუძელი. კვირას, „კოლხეთთან" მატჩის შემდეგ, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელის თანამდებობიდან გადავდგები, ორიოდ დღეში კი საქართველოდანაც წავალ.

**რა შანსი მიეცა კარნევალის ისეთი, რომ გეგმები შეიცვალა და საქართველოში სამწლიანი მოღვაწეობის შემდეგ აქედან წასვლა უხარია...**

— უფეხბურთოდ ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია. მე ჯერ ვერ გავამხელ, რომელი გუნდის მწვრთნელობა შემომთავაზეს, მაგრამ ჩვენი მეგობრობის გათვალისწინებით, ამას კი გეტყვით, ისეთ ნაკრებში მთავაზობენ სამსახურს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. ინტერნეტის საშუალებით გამომიგზავნეს კონტრაქტი და სხვა დოკუმენტები. მხოლოდ წვრილმანი საკითხებია მოსაგვარებელი. თავად ნაკრების ვინაობას კი იქაური ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები გაამხელენ.

**„ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტ გურამ რუხაძის საფიქრალი ახალი მწვრთნელის მოძებნა გახდა. კლუბის თავკაცს არ სურდა იტალიელის გაშვება, მაგრამ...**

— ეს მისი შანსია. კარნავალიმ საქმის კურსში ჩამაყენა. მე მის თვალებში წავიკითხე ყველაფერი და უარს ვერ ვეტყოდი. სინიორ ჯანიმ ჩვენ დიდი დახმარება გაგვიწია. რადიკალურად შეცვალა მოთამაშეების მენტალიტეტი. ეს ახალგაზრდა ბიჭები სულ სხვაგვარად აზროვნებენ. უმაღლეს დონეზე აიყვანა დისციპლინა და „ვიტ ჯორჯია" გამოკვეთილად შემტევ ფეხბურთს რომ თამაშობს, ესეც მისი დამსახურებაა.

მართალია, გაგვიჭირდება განშორება, მაგრამ ფაქტობრივად კარნევალი ხომ ჩვენთან რჩება. ის ჩვენი კლუბის მენეჯერთა ჯგუფს შეუერთდება და წელიწადში ოთხჯერ ეცდება, 15-20 დღით გვეწვიოს და გუნდთან ერთად იყოს.

ახალი მწვრთნელის ვინაობას კი „ვიტ ჯორჯია" მომავალი კვირის დასაწყისში გამოაცხადებს. კარნევალისთან ერთად რამდენიმე კანდიდატურა შევარჩიეთ და...

**რა მდგომარეობაში ტოვებს იტალიელი „ვიტ ჯორჯიას", რას განიცდის საქართველოსთან და ქართველებთან განშორებისას, ამაზე კარნევალი გულთბილად გვიყვებოდა...**

— ახალგაზრდული და პერსპექტიული გუნდია „ვიტ ჯორჯია", მეტად შეკრული და კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში. ყველაზე თვალსაჩინო კი ის გახლავთ, რომ საქმის საკეთილდღეოდ თითოეული მაქსიმუმის გაღებას ცდილობს.

მადლობას გიხდით ჟურნალისტებს კეთილი დამოკიდებულებისთვის. მადლობელი ვარ ჩემი ქართველი კოლეგებისა, რადგან ვგრძნობდი მათგან თანადგომას. ვერ დავივიწყებ ასლან აბაშიძეს და მარკო კანისტრალის. მათ მომცეს შანსი, ქართულ ფეხბურთს გავცნობოდი, საქართველოს დავახლოვებოდი.

არ დამავიწყდება ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია. არც ბათუმელი და თბილისელი მეგობრები. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის გურამ რუხაძეს. მან იცოდა, რას ვფიქრობდი მე და თითქმის მუდამ ვხვდებოდი, რა სურდა მას. არც ერთი პრეზიდენტი არ დათანხმდებოდა მწვრთნელის ასეთ ნაუცბათევ გაშვებას, მან კი შანსი არ დამიკარგა. როცა გაიგებთ, რომელი ნაკრების თავკაცობას მთავაზობენ, მაშინ საბოლოოდ მიხვდებით, რატომ ვეძახი იმ წინადადებას ცხოვრების შანსს.

საოცარი ხალხი ხართ ქართველები. თქვენ არცთუ მცირე ადგილი დაიმკვიდრეთ ჩემს გულში. არასდროს დამავიწყდებით და 54 წლის კაცს ნამდვილად არ მრცხვენია, თბილისიდან აცრემლებული რომ მივდივარ.

**...სამი წლის წინ ჩამოვიდა საქართველოში. შეითვისა და შეიყვარა აქაურობა. ქართულად ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ თითქმის ყველაფერი ესმოდა ჩვენს ენაზე. საოცარია, იგი მაშინ მიდის, როცა ქართული წეს-ჩვეულებები გაითავისა. ევროპული და აქაური მენტალიტეტი ერთმანეთს შეუხამა.**

**მამუკა ქვანტალიანი**

**2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 6 ოქტომბერი**

**რუმინეთი — საქართველო**

# გეორგე ჰაჯი რუმინელებს საქართველოს არიდებს და პლეი ოფისთვის ემზადება

**ალექსანდრე ჩივაძემ** სარუმინეთოდ შეგულებული 20 ფეხბურთელი რომ დაასახელა, გუშინ გაცნობეთ. რუმინეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა გეორგე ჰაჯიმაც თავისი რჩეულების სია გამოაქვეყნა. მოგეხსენებათ, 6 ოქტომბერს ბუქარესტში მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩში სწორედ ეს ორი გუნდი ხვდება ერთი შეხედვით უმოტივაციო მატჩში. უმოტივაციო იმიტომ, რომ რუმინეთს თავი ქუდში აქვს, ანუ პლეი ოფში გამსვლელ მეორე ადგილს ვერავინ შეეცილება და ის, რომ იმავე დღეს იტალია შინ დამარცხდება უნგრეთთან, ალბათ, ფანტაზიის სფეროს თუ განეკუთვნება.

ასეა თუ ისე, ქართველები ბუქარესტის „სტიაუაზე" პრესტიჟისთვის თუ ითამაშებენ. ზემოთ ნათქვამიც სწორედ იმიტომ მოგახსენეთ, რომ გეორგე ჰაჯი სწორედ სანოემბრო პლეი ოფისთვის ფიქრობს და არა ჯგუფში პირველობისთვის. ფიქრობს და ფრთხილობს კიდეც „კარპატელი მარადონა". ჰაჯიმ ნაკრებში შეგნებულად არ გამოიძახა ბუქარესტის „სტიაუას" მცველი მირელ რადოი: „მას ერთი ყვითელი ბარათი უკვე აქვს. არ მინდა გავრისკო და იგი ქართველებთან სათამაშოდ ამიტომაც არ გამოვიძახე. რადოი სანოემბრო პლეი ოფისთვის მჭირდება" — ამბობს ჰაჯი. ქართველებთან ასევე ვერ ითამაშებენ ჰოლანდიური „აიაქსისა" და იტალიური „მილანის" განაპირა მცველები — კრისტიან კივუ და კოზმინ კონტრა. ესენი დისკვალიფიცირებულნი არიან. ოცეულში ვერ მოხვდნენ შტუტგარტელი იონელ განია და ნანტელი ვიორელ მოლდოვანი. პირველის სათამაშო ფორმა ჰაჯის არ აკმაყოფილებს, ხოლო მოლდოვანი, როგორც იცით, ტრავმირებულია.

სამაგიეროდ, გეორგე ჰაჯიმ ეროვნულ გუნდში ბუქარესტის „დინამოს" თავდამსხმელს ადრიან მიჰალჩიას და ბუქარესტისვე „რაპიდის" ფორვარდ დანიელ პანჩუს უხმო. ამათ თურმე ხუთშაბათს უეფას თასზე თავიანთი კლუბების შემადგენლობაში ბრწყინვალედ უთამაშიათ და რუმინელთა კრებში ნდობა ამიტომაც დაუმსახურებიათ.

ერთი სიტყვით, რუმინეთი საქართველოს შესუსტებული, მაგრამ მაინც ძლიერი გუნდით დაუხვდება. გეორგე ჰაჯის რჩეულნი კი ეს ფეხბურთელები გახდნენ:

*მეკარეები: ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ბოგდან ლობონტი (დინამო), ბოგდან ვინტილია (ნაციონალი);*

*მცველები: დანიელ კირიტა (დინამო), ფლორენტინ დუმიტრუ, იულიან მიუ (ორივე სტიაუა), ადრიან იენჩში (რაპიდი), გეორგე პოპესკუ (ლეჩე, იტალია), დან ლაკუსტა (ასტრა), იულიან ფილიპესკუ (ბეტისი, ესპანეთი);*

*ნახევარმცველები: ტიბერიუ გიოანე (დინამო, უკრაინა), ფლორინ პარვუ (დინამო), დორინელ მუნტიანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), მიჰაი ტარარაჩე (გრასჰოპერი, შვეიცარია), ლაურენტიუ როსუ (ნუმანსია, ესპანეთი);*

*თავდამსხმელები: ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი), ადრიან მუტუ (ვერონა, იტალია), დანიელ პანჩუ (რაპიდი), ადრიან მიჰალჩია (დინამო), მარიუს ნიკულაე (სპორტინგი, პორტუგალია).*

**გიორგი ვაჟაძიძე**



გალდი დოდიაშვილის ფოტოები

კოზმინ კონტრა და კრისტიან კივუ

### გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა**

VIII ტური

როიტლინგენი 3:0 ბოხუმი
ობერჰაუზენი 1:2 კარლსრუე
არმინია 2:2 დუისბურგი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

X ტური

ოსნაბრიუკი 5:1 ფიორლი
ფორტუნა 0:3 ბრაუნშვაიგი

**სამხრეთ რეგიონალლიგა**

X ტური

რიგენსბურგი 5:0 ტრიერი
ჰოფენჰაიმი 3:2 ფულდა
დარმშტადტი 3:0 შტუტგარტი (მოყვ.)

### პორტუგალია

**I ლიგა. VII ტური**

სიტუბალი 0:1 ბელინენსეში

### თურქეთი

VII ტური

ტრაბზონსპორი 2:2 ანკარაგიუჯიუ

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი. XI ტური**

ბარნსლი 1:4 პორტსმუთი

**მესამე დივიზიონი. XI ტური**

საუთენდი 0:1 ჩელტენემი

### იტალია

**სერია B. VI ტური**

ტერნანა 0:0 ჯენოა

### საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი**

X ტური

ლე მანი 0:3 ლავალი

### პოლონეთი

A ჯგუფი. X ტური

გურნიკი 1:3 ოდრა

### ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**

VII ტური

გრააფსხაპი 4:2 ბრედა

### ნორვეგია

XXIII ტური

ბოდიო გლიმტი 5:1 ბრანი

### ჩეხეთი

IX ტური

ბოჰემიანსი 1:0 ტეპლიცე

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი**

### აზია. II წრე

**A ჯგუფი. VI ტური**

ერაყი 1:0 ბაჰრეინი
საუდის არაბეთი 2:2 ირანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდის არაბეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:6 | 11 |
| ირანი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 9 |
| ერაყი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:6 | 7 |
| ბაჰრეინი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:7 | 6 |
| ტაილანდი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:9 | 3 |

**B ჯგუფი. VI ტური**

ყატარი 2:2 უზბეკეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 13 |
| ყატარი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:5 | 9 |
| უზბეკეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:10 | 7 |
| საამიროები | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| ომანი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:11 | 2 |

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი ლიგა პირველი ეტაპი

# 9 ტური

ანონსი

# მომენტები

## სენტიმენტალური: ვიტ ჯორჯია — კარნევალი
## სახიფათო: დინამო — ტორპედო

ენკენისთვის ბოლოსა და ღვინობისთვის დამდეგზე მოვიდა მეცამეტე ჩემპიონატის მეცხრე ტური, რომელიც ბევრით იქნება გამორჩეული. კვირას საქართველოდან წავა ერთადერთი უცხოელი მწვრთნელი, კარნევალი. „ვიტ ჯორჯია“ — „კოლხეთი“ სინიორ ჟანისთვის გამოსამშვიდობებელი მატჩია.

ორშაბათს კი „დინამო“ — „ტორპედოა,“ მუდამ ინტრიგითა და ემოციებით დატვირთული.

მეტ-ნაკლებად საინტერესო თამაშებია ბათუმში, ზესტაფონსა და რუსთავშიც. რთულ პოლიტიკურ ვითარებაშიც კი ვილაცას ფეხბურთისკენ მაინც გაუწევს გული.



დინამოელი ლადო ბურდული და ტორპედოელი სევასტი თოდუა (№5) ორშაბათსაც არ დაინდობენ ერთმანეთს

**დინამო — ტორპედო**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 13+9=3-1 | 36:15 |
| სულ | 25+15=5-5 | 54:26 |

როცა დედაქალაქელები და რიონისპირელები თამაშობენ, სალაღობოდ არა სცხელათ, მუდამ დაძაბული მატჩებია, მაგრამ „დინამო“ — „ტორპედო“ სულ სხვაა. ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისიდან „მტრად“ მოკიდებულ მეტოქეთა შორის უპირატესობა ზვიადელი მასპინძლის მხარესაა. ურთიერთშორის შეხვედრათა უმრავლესობა ათგზის ჩემპიონს თავის სასარგებლოდ დაუსრულებია.

ბოლო წლებია, „ტორპედო“ მოლონიერდა, მადაზეც მოვიდა და ტიტულებიც დაუძვირა ათგზის ჩემპიონს. შარშან იყო, რიონისპირელებმა სამი უპასუხო გოლი რომ გაუტანეს „დინამოს“ და გვარიანი სირცხვილიც აჭამეს „ეროვნულზე“.

დღეს „დინამოზე“ ვერ ვიტყვით, სუსტი გუნდიაო, მაგრამ უკან მოტოვებული კრიზისი და მყარი ფინანსური საფუძველი „ტორპედოს“ წაქცევის გარანტიას არ იძლევა. მასპინძლებს ტრავმები მოსძალებიათ და თითქმის სათადარიგო შემადგენლობით უწევთ თამაში.

გარედან ასე ჩანს, ორიოდ ტრავმირებულის გარდა, ქუთაისელებს სხვა საფიქრალ-საწუხარი არც აქვთ, მაგრამ არის რაღაც პრობლემები, რომელიც გუნდის გარჯაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

შემადგენლობა სტუმრისა უფრო გამოცდილი, სტაბილური და ძლიერია, გარდასულ დღეთა სტატისტიკა მასპინძლის უპირატესობაზე მეტყველებს. რომელი გადასწონის, ამას ზეგ გავიგებთ.

გივი ნოდია კარში ალბათ ისევ ზოიძეს ჩააყენებს. მეკარე, რომელიც სამი თვის წინ „ტორპედოს“ ჩემპიონობას და თასის ალებას ხარობდა, დღეს დინამოელია.

ეყოლება თუ არა რევაზ ძოძუაშვილს მატჩის განაცხადში ზურაბ იონანიძე? რიონისპირელთა წამყვანი მოთამაშე ან ტრავმირებულია, ანაც რაღაცაზეა გაბრაზებული. ისე, ზოიძე-იონანიძის დუელი საინტერესო სანახავი კი იქნებოდა.

**ვიტ ჯორჯია — კოლხეთი**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 5+2=2-1 | 5:3 |
| სულ: | 10+2=3-5 | 8:1 |

მეტად უხერხული მეტოქე ჰყავს „ვიტ ჯორჯიას“. ათ თამაშში ოდენ ორი საშინაო მოგებაა ვიტელთა მარაგში. მასპინძლებმა ჯერაც არ იციან, ითამაშებს თუ არა ქუთაისში დაშავებული კაპიტანი გოგობერიშვილი. ალეკოს არყოფნა კი დიდი დანაკლისია ვიტელთათვის.

სოსო ფილია თავის შეგირდებს შემოსწყრა, „მეტალურგთან“ საშინაო თამაშს ზერელედ მოეკიდნენ და ჩემი დავალებებიც არ შეასრულესო. „კოლხეთს“ „ვიტ ჯორჯიასთან“ ბრძოლაში დამატებითი სტიმული არ სჭირდება, ამიტომ ხვალ ფილიას შეუძლია მშვიდად იყოს.

ერთი შეხედვით სტუმრებს გარკვეული უპირატესობა აქვთ, მაგრამ ვეტერინარებს ყველანაირ დოპინგზე ძლიერი „პრეპარატი“ აქვთ გასამარჯვებლად. კარნევალი მიდის და ბიჭებიც ყველა ღონეს იხმარენ, რათა მწვრთნელი. საბოლოოდ გაახარონ.

**ბათუმი — სიონი**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 8+8=0-0 | 20:1 |
| სულ: | 16+11=4-1 | 30:6 |

თავიდანვე ვთქვათ, „სიონს“ ბათუმში არასდროს მოუგია და არც ხვალ ექნება სამი ქულის მოპოვების რეალური შანსი, მაგრამ...

ლანჩხუთში ოდენ ქულას დაჯერებული „ბათუმის“ ხელმძღვანელობა გაბრაზებულა და იმუქრება, მსაჯებს მოუარეთ, თორემ გუნდს გათამაშებიდან გავიყვანთო.

მსგავსი განცხადება ზღვისპირელთა თავკაცობას ადრეც ერთხელ გაუკეთებია და მაშინაც ბოლნისი და „სიონი“ იყო შუაში. „თემურ სტეფანიაზე“ მსაჯობით უკმაყოფილო მალხაზ მახარაძე და კომპანია 26 მაისს თასის ფინალში თამაშს არ აპირებდა.

მოგეხსენებათ, ისე არასდროს წვიმს, როგორც ქუხს და ზღვისპირელთა გაბრაზებულ გულზე გაკეთებული განცხადებაც არაფერს არგებს ჯერ „ბათუმს“, მერე კი ქართულ ფეხბურთს.

„სიონი“, რომელმაც ბოლო ტურებში ქულები საკმაოზე მეტი ფლანგა, ზღვაზე მუქარით მიდის — რაც აქამდე ვერ მოვახერხეთ, ხვალ უნდა გავაკეთოთო.

**გორდა — ლოკომოტივი**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 4+1=0-3 | 1:5 |
| სულ: | 8+1=1-6 | 3:15 |

მიდის რუსთავში ჩემპიონობის მაძიებელი „ლოკომოტივი“ და გამარჯვების იმედიც უსაფუძვლოდ როდი მიჰყვება. ერთადერთხელ მოუგია საშინაო მატჩი „გორდას“ რკინიგზელებისთვის, ისიც იმ დროს, როცა „ლოკომოტივისთვის“ წაგება-მოგებას ერთი ფასი ჰქონდა.

სტუმარი უფრო ძლიერია, მასპინძელი შეჭირვებული და იმედდაკარგული. ალბათ, „ლოკომოტივი“ მოიგებს, მაგრამ თამაშზე მეტად ის უფრო იქნება საინტერესო, როგორ შეხვდება რუსთაველი ქომაგი მშობლიურ ქალაქში „საომრად“ ჩასულ კახა ცხადაძეს. დარწმუნებულნი ვართ, პრობლემა არ იქნება.

**მერანი — სამგურალი**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 4+1=2-1 | 3:3 |
| სულ: | 8+3=4-1 | 7:5 |

ვისაც ავჭალელთა და წყალტუბოელთა თამაშის ხილვა გსურთ, არ შეცდეთ და კვირას გეზი „სინათლისკენ“ არ აიღოთ. კლუბის თავკაცობამ სეზონის წინ ჩანაფიქრი ახლა შეასრულა. მეცხრე ტურში „მერანი“ ნავთლუღში, „შევარდენზე“ უმასპინძლებს „სამგურალს“ და სხვებსაც სავარაუდოდ იქ დაუხვდება.

თბილისი. შევარდენი. 30 სექტემბერი. 17.30 საათი

### მერანი — სამგურალი

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ბათუმი. ცენტრალური. 30 სექტემბერი. 17.30 საათი

### ბათუმი — სიონი

მსაჯები: მ. მაისურაძე ; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ზესტაფონი. ცენტრალური. 30 სექტემბერი. 17.30 საათი

### მეტალურგი — გურია

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), ნ. რუსიშვილი; შ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

დისკვალიფიცირებული: ამაშუკელი (მეტალურგი)

მცხეთა. არმაზი. 30 სექტემბერი. 17.30 საათი

### ვიტ ჯორჯია — კოლხეთი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ი. შალამბერიძე; ა. კრიჭაშვილი (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

რუსთავი. ფოლადი. 1 ოქტომბერი. 16.00 საათი

### გორდა — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ზ. დოლიძე (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

დისკვალიფიცირებული: ბექაური (გორდა)

თბილისი. ეროვნული. 1 ოქტომბერი. 16.00 საათი

### დინამო — ტორპედო

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

წყალტუბოელები თამაშობენ სტუმრად, მაგრამ ნეიტრალურ მოედანზე, რადგანაც „მერანს“ ავჭალიდან მესამედი ქომაგი თუ გაჰყვება.

ვერ დავიჩემებთ მასპინძლების სრულ უპირატესობას, რადგანაც „მერანს“ ავჭალაშიც უჭირდა „სამგურალის“ წაქცევა. ერთი საშინაო მოგება, ორი ფრე და ერთი წაგება ძალთა თანაფარდობას თანაბარს ხდის.

„სამგურალი“ ცოტა არ იყოს, შემდრკალი ჩამოდის თბილისში. წინა ტურში კურორტელებს მსაჯი შემოელახათ და მკაცრი სანქციების მოლოდინში არიან. ორი წყალტუბოელის სამონაწილეო ბარათი ფედერაციაშია დატუსაღებული. ალბათ, ის ფეხბურთელები არც ითამაშებენ. ამ მიზეზების გამო სულაც არ გაგვიკვირდება „მერანმა“ ურთიერთშორის შეხვედრებში ჩარხი სათავისოდ შეატრიალოს. მით უფრო, როცა ოთარ გაბელიას ორი დისკვალიფიკაციამოხდილი — ანდრეი მუხინი და რომეო გოგიტაძეც ძირითადში ეყოლება.

**მეტალურგი — გურია**

**უმაღლეს ლიგაში ერთმანეთს არ შეხვედრიან**

ზესტაფონელებმა ჯერ გამარჯვების გემო არ იციან. ორი საგარეო ფრე და ორი ქულაა მათი მონაგარი. ჰოდა, მოუთმენლად ელიან მეტალურგები „გურიას“, პირველ გამარჯვებას ეგებ ვეღირსოთო.

ახლა გურულებისას არ იკითხავთ?! სოსო ფრუიძის ხელში თამაში არ წაუგიათ ლანჩხუთელებს. სტუმრად „გორდას“ გამოუყვანეს წირვა, შინიდან „ბათუმი“ გაუშვეს ქულის ამარა. თანაბარი ძალის ორი მეტოქის შეხვედრაში ყველანაირი შედეგია მოსალოდნელი, ამიტომ იყოს ეს თამაშიც უპროგნოზოდ.

**მამუკა ძგანტალიანი**



ვიტელმა ლაშა ნოზაძემ მეტოქეს ვარდნა გაუცუდა

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 8 | 7 | 1 | 0 | 20:2 | 18 | 22 | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | 10 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 9 |
| 2 ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 18:6 | 12 | 18 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:2 | 9 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 3 | 6 |
| 3 მერანი | 8 | 5 | 1 | 2 | 11:11 | 0 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:10 | -5 | 7 |
| 4 ბათუმი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:5 | 6 | 14 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 12 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:3 | -2 | 2 |
| 5 დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 18:8 | 10 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 13:2 | 11 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 6 |
| 6 კოლხეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 17:13 | 4 | 13 | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 11 | 13 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | -7 | 0 |
| 7 ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 8:9 | -1 | 4 |
| 8 სიონი | 8 | 2 | 2 | 4 | 5:16 | -11 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:9 | -4 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | -7 | 1 |
| 9 სამგურალი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | -7 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | -10 | 0 |
| 10 გურია | 8 | 1 | 3 | 4 | 5:10 | -5 | 6 | 5 | 0 | 3 | 2 | 1:4 | -3 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 |
| 11 გორდა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:18 | -11 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | -6 | 3 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | -5 | 2 |
| 12 მეტალურგი | 8 | 0 | 2 | 6 | 3:20 | -17 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | -7 | 0 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:13 | -10 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



გია ქურდიანი

# ქურდიანების საზე ეროვნული ფიალა

## ხრუშჩოვის ჩუქურთმული ხუშტურები და სივრცეში დაუკარგავი ფეხბურთი

*მრავლის მოწმეა ჩვენი მთავარი სარბიელი, რა დონის მატჩები და ოსტატები არ გვინახავს „დინამოს“ სტადიონზე, რომელსაც მერე ეროვნული დავარქვით. დიახ, ეროვნული, რადგან ეს სიტყვა ზედმიწევნით მიესადაგება ამ ნაგებობას. ის ხომ არა მარტო საფეხბურთო, არამედ ქართული ეროვნული სულის სახლია. სახლის აგება კი განსაკუთრებული რამ არის და მამა-შვილმა არჩილ და გია ქურდიანებმა მართლაც განსაკუთრებულად გააკეთეს ეს საქმე. გასულ საუკუნეში „დინამოს“ სტადიონმა საქართველოში ყველა ნაგებობა დაჩრდილა წმინდა არქიტექტურული თუ სხვა ნებისმიერი საზომით.*

*26 სექტემბერს ეროვნულ სტადიონს 25 წელი შეუსრულდა. სტადიონის ავტორთაგან ერთი, არჩილ ქურდიანი 1988 წელს გარდაიცვალა. მის ვაჟს, და პროექტის ასევე ავტორს გია ქურდიანს შინ ვესტუმრეთ. ტრადიციულ, ქართულ, ინტელიგენტურ ოჯახში განსაკუთრებული სითბოთი მიგვიღეს. ბატონი გიას სამუშაო ოთახი ეროვნული სტადიონის ნაირნაირი ხედებით, წიგნებით, წარსულის უკვდავი ღირებულებებითაა მოფენილი. ჩვენი ინტერვიუც იქ შედგა. ბატონმა გიამ მოგონებების სკივრი სახელდახელოდ გახსნა და მტვრით დაფარულ საგნებს სული შეუბერა.*

**— ძველი „დინამოს“ სტადიონის ავტორიც მამათქვენი იყო და ალბათ მაშინაც რაღაც პერიპეტიების გავლა მოუწევდა.**

— მაშინ მამაჩემმა არქიტექტორთა კონკურსში გაიმარჯვა, თუმც ამის მერე რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მოახსენეს, არჩილ ქურდიანი ახალგაზრდა კაცია და საქმეს თავს ვერ გაართმევსო. გადაწყდა, ახალი კონკურსი ჩაეტარებინათ. მამაჩემმა ხელი ჩაიქნია, კონკურსში მონაწილეობას არ აპირებდა, მაგრამ ერთხელ ქუჩაში შეხვდა თავის მასწავლებელს, მხატვარ გრინევსკის. სწორედ მან გაამხნევა მამაჩემი, ნურაფერს დათმობო. კონკურსამდე ორი კვირაღა რჩებოდა. НКВД-ს უფროს ტიტე მგალობლიშვილისგან მამაჩემმა შეიტყო, რომ კონკურსში მონაწილეობის ნება დართეს და საქმეს შეუდგა. გააკეთა ახალი პროექტი, რომელიც გრინევსკიმ დაუფერა. კონკურსში არჩილ ქურდიანის გარდა 9 არქიტექტორი მონაწილეობდა და ყველამ მიიღო ჰონორარი საკონკურსო პროექტისთვის, მამაჩემის გარდა, რომელმაც ამ კონკურსშიც გაიმარჯვა. მეც იმ დროს დავიბადე. მხატვარი გრინევსკი კი 1937 წელს დახვრიტეს. რაც შეეხება სტადიონს, „დინამო“ 1935 წელს გაიხსნა, მისი ტევადობა 23 ათასს შეადგენდა.

**— 50-იანი წლებიდან ტევადობის გაზრდა აუცილებელი გახდა — სტადიონი ხალხს ვერ აუდიოდა. მაშინ გაჩნდა ახალი სტადიონის აშენების იდეა?**

— არა, 50-იან წლებში სტადიონის ტევადობის გაზრდა ლითონის კონსტრუქციების აგებით მოხერხდა და ტევადობა 36 200-მდე გაიზარდა. 60-იანი წლებისთვის კი მარტო ორგანიზაციებიდან ბილეთებზე მოთხოვნა 120 ათასს შეადგენდა და იდეაც მაშინ გაჩნდა.

ჯერ „ბურევესტნიკის“ (ახლანდელი „ლოკომოტივი“) სტადიონის რეკონსტრუქციას აპირებდნენ, მაგრამ ის ადგილი მაშინ ფაქტობრივად ჩიხი იყო. ჰოდა, ერთხელ, როცა საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე მიადგა სტადიონს თავისი „ზიმით“, საცობიდან გამოსასვლელად 45 წუთი დასჭირდა. ამის მერე საბოლოოდ გადაწყდა, რომ ძველი „დინამო“ ხელახლა, ახლებურად აეგოთ.

**— ძველი „დინამოც“ ხომ ძალიან ორიგინალური, ლამაზი, საუცხოო ჩუქურთმებითა და თაღით იყო ნაგები. რატომ არ შეინარჩუნეთ ეს?**

— ახალი „დინამოს“ პროექტის პირველი ვარიანტი სწორედაც რომ ინარჩუნებდა ყოველივე ამას, მაგრამ ხრუშჩოვმა ჩუქურთმებიანი ნაგებობების შენება აკრძალა და ძველი „დინამოს“ დანგრევაც ამას მოჰყვა, თორემ ჩვენი პროექტის პირველი ვარიანტით სტადიონზე დგარების მიბჯენას არ ვაპირებდით. ისე გავზრდიდით ტევადობას, რომ არსებულ შენობას შევინარჩუნებდით.

არადა, ქართული ჩუქურთმა დიდი ფილოსოფიაა. სხვაგან არსად არის ჩუქურთმა ჩვენსავით ლოგიკური და სუფთა. იმ დროს კი ჩუქურთმის ოსტატობის სწავლებაც აკრძალული იყო, თუმც დედ-მამა ამას მაინც მასწავლიდა. დედაჩემი, ქეთევან სოკოლოვაც არქიტექტორი გახლდათ, პირველი ქართველი ქალი არქიტექტორი.

**— ახალი სტადიონის პროექტისთვის ისევ კონკურსი მოეწყო თუ არჩილ ქურდიანმა საავტორო უფლებით ისარგებლა?**

— პროექტზე მე და მამაჩემი ერთად ვმუშაობდით, მაგრამ ოპოზიცია ძლიერი გვყავდა. ვინც მეგობარი გვეგონა და მათი მხარდაჭერის იმედი გვქონდა, სწორედ ის ხალხი დაგვიპირისპირდა. ბინძური მეთოდებით გვებრძოდნენ. დიდი ორომტრიალი გადაგვხვდა და გამუდმებით სტრესში ვიყავით. ზეწოლა იმდენად დიდი იყო, რომ ერთხანს ყველაფრისთვის თავის დანებება და კიევში ან ბაქოში საცხოვრებლად და სამუშაოდ წასვლასაც კი გადავწყვიტეთ, მაგრამ მაინც ბოლომდე ვიბრძოლეთ. წავედით მოსკოვში, იქაურმა სპეციალისტმა-იურისტმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ „დინამოს“ სტადიონის პროექტის საავტორო უფლება ჩვენ გვეკუთვნოდა. დოკუმენტი სასწრაფოდ წარვადგინეთ მოსკოვში, საკავშირო არქიტექტორთა კავშირში და საქმის ვითარება გავაცანით. ისინი გაოგნებულნი დარჩნენ და მყისვე საგანგებო მიმართვა გაუგზავნეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. ამის შემდეგ სიტუაცია, როგორც იქნა, შეიცვალა. არადა, პროექტი დამტკიცებული იყო, მშენებლობა დაწყებული, მაგრამ შეჩერებული. ჩვენ ამასობაში კიევის, მინსკის, „რაზდანის“ სტადიონებისთვის „დინამოს“ მუშა-საპროექტო დოკუმენტაცია ადრესატებს გავუგზავნეთ. ჩვენი ნახაზები კუბაშიც გავაგზავნეთ. „დინამოს“ სტადიონის ჩვენეული პროექტი მანამდე, 1964 წელს დაამტკიცეს, აქაც და მოსკოვშიც. 1965 წელს კი ვაჟი, უმცროსი არჩილ ქურდიანი შემეძინა. სიმბოლური დამთხვევა გამოვიდა, რადგან მეც მაშინ დავიბადე, როცა „დინამოს“ ძველი სტადიონის პროექტირების ამბავი წყდებოდა. ჩემი ვაჟიც არქიტექტორია და მრავალი ობიექტის ავტორი.

სხვათა შორის, მე და მამაჩემს მოსკოვის „ლუჟნიკების“ რეკონსტრუქციაც შემოგვთავაზეს. თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მოსკოვშიც ჩავედით, მაგრამ სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოსიგინმა რომ გაიგო, „ლუჟნიკების“ რეკონსტრუქციას ქართველები აპირებენო, უკან გამობრუნება მოგვიწია.



1976 წლის 29 სექტემბერი. „დინამო“ — „კარდიფ სიტი“.
პირველი ოფიციალური მატჩი ახალ „დინამოზე“

**— სტადიონის მშენებლობის პროცესიც არ იქნებოდა იოლი. თქვენ ალბათ მშენებლობაზე ხშირად დადიოდით, იქაც წააწყდით წინააღმდეგობებს?**

— მე პროექტის მთავარი არქიტექტორი გახლდით, იმავდროულად არაოფიციალური მთავარი ინჟინერიც, დღე და ღამე მშენებარე სტადიონზე ვიყავი. გამაფრთხილეს, თუ ფინანსური იალლიშები მოხდება, პასუხს პროექტის ავტორს მოვთხოვთო. ასე რომ, ხარჯთაღრიცხვასაც მე ვუძღვებოდი, ერთხელ 400 ათას, მეორედ 450 ათას მანეთიანი შეცდომები აღმოვაჩინე. სტადიონის აშენება კი 9 680 000 მანეთი დაჯდა.

**— თქვენი ჰონორარი რამდენს შეადგენდა?**

— მე და მამაჩემს პროექტში კაპიკი არ აგვიღია. არც იმისგან მერგო რამე, მთელი მშენებლობის დროს სტადიონზე რომ ვიყავი. მაშინ შეთავსებით მუშაობა არ შეიძლებოდა. მამა სამხატვრო აკადემიაში კითხულობდა ლექციებს, მე, როგორც საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომელს, ხელფასი 195 მანეთი მქონდა. რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორის წოდება — ეს იყო ჩემი ჯილდო. იმავე პერიოდში აშენდა მონრეალის სტადიონი, რომლის ავტორმა მილიონები მიიღო.

**— რატომ არ გადაიხურა პირველი იარუსიც, რატომ არ მოეწყო ავტოფარეხი, რატომ გაჩნდა გრუნტის წყლების პრობლემა?**

— სტადიონი მთლიანად იმიტომ არ გადაიხურა, რომ მშენებლობის ხარისხის ნდობა პროექტირების პროცესში არ შეიძლებოდა. თუმც ყველაფერი ეს მაღალ დონეზე შესრულდა, მაგრამ მშენებლობის დროს პროექტის შეცვლა უკვე გვიანი იყო.

პროექტით გათვალისწინებული იყო მიწისქვეშა ავტოფარეხები, პლასტმასის სკამები, მინდვრის მიწისქვეშა მორწყვის სისტემა, მაგრამ საამისოდ თანხები არ გამოყვეს და პრობლემებიც აქედან შეიქმნა. ერთი სიტყვით, სტადიონის მშენებლობის დროსაც ბევრ სირთულეებს წავაწყდით.

**— თქვენ, როგორც ავტორი, სტადიონის მთავარ ღირსებად რას მიიჩნევთ?**

— არასტანდარტული ხედვის მრუდს. აი, „ლუჟნიკები“ წაწოლილია, ტრიბუნიდან არენა ცუდად ჩანს, ჩვენს „დინამოზე“ კი ყველა ადგილიდან მოედნის ნებისმიერი მონაკვეთი კარგად ჩანს, არენაზე გასული სპორტსმენი უშველებელ სივრცეში არ იკარგება. ფიალასავით აგებული სტადიონი სიმეტრიულია, ფეხბურთელს ორიენტაციას არ ურღვევს.

**— ამ სტადიონის რეკონსტრუქცია შესაძლებელია?**

— არა, ეს გამორიცხულია. ყოველი დგარი 24 ხიმინჯზე დგას, დატვირთვის ასიმეტრია არ ხდება, ბრუნვის მომენტი ნულის ტოლია და კონსოლური გადაწყვეტა რეკონსტრუქციის საშუალებას არ იძლევა.

**— ბოლო დროს თუ დადიხართ სტადიონზე და საერთოდ, ფეხბურთისადმი თქვენი დამოკიდებულების შესახებაც გვითხარით.**

— იმ სტრესმა, რაც პროექტის დამტკიცებისას გადავიტანე, თავი იჩინა, ციმციმა არითმია და წნევა მაწუხებს. როცა გავსებულ სტადიონს ვუყურებდი, წნევა მიწევდა, ბოლო დროს ცარიელ ტრიბუნებზეც მემართებოდა ეს. ამიტომ სტადიონზე ველარ დავდივარ. ფეხბურთის გულშემატკივარი კი ყოველთვის გახლდით. ახალგაზრდობაში ვთამაშობდი კიდეც ფეხბურთს. ახლა, როცა ჩვენს ლეგიონერებს ვუყურებ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ქართული ფეხბურთი კიდევ იტყვის თავის სიტყვას. თუმც გამორჩეული ფეხბურთელი, ნამდვილი ვარსკვლავი, ამ დროისთვის არ გვყავს. ასეთი უნდა დაიბადოს, დიდ ფეხბურთს მხოლოდ მონდომებით ვერ ითამაშებ, ხელოვანი უნდა იყო, როგორც დავით ყიფიანი. დათოზე ამბობდნენ, დირიჟორი იყოო, მე კი ვიტყოდი, რომ ის არქიტექტორი იყო, რომელიც გუნდის თამაშს აპროექტებდა.

**დავით თავართქილაძე**





ძველი „დინამოს“ სტადიონი და მისი ცნობილი თაღი



გიო ახვლედიანის

სვეტი

# სტადიონი

როგორც „მიმინოშია“, ისე:

მეტროს ბაგრატიონი ჰქვიაო, ჩავივლი და ცრემლი მომადგებაო და მთელი ამბავი.

ცრემლი და მთელი ამბავი არა, მაგრამ ეს ხომ განსაკუთრებული ადგილია. ეს ხომ ჩვენი სტადიონია. მის ადგილასაც სტადიონი იყო ძველ დროს. ისიც მოხდენილი და ისტორიით სავსე. სტადიონის ადგილას სტადიონი. საერთოდ, შუა ქალაქში სტადიონი იშვიათობაა, თანაც ამხელა, ასე სავსე და მოგუგუნე.

საერთოდ, სტადიონი იერია, მაგიაა, ისტორიაა. სტადიონი ის ადგილია, ფეხებს რომ თავისით მიყავხარ. ჩვენი სტადიონი, ჩვენი მთავარი სტადიონიც ასეთია. დღეს კი დადუმებულა, დაბზარულა და ძველებური ჟანითაც ველარ გუგუნებს, მაგრამ ამ სტადიონს რომ უნახავს და გაუძლია, ბევრი ვერ დაიკვეხნის. ოცდახუთი წელიწადი ბევრი არ არის, მაგრამ ეს სტადიონი მხოლოდ ოცდახუთი წელიწადი არ არის. ეს უზარმაზარი წინა ისტორიაა. სტადიონი აქ არის, ბარე, სამოცდახუთი წელიწადია. ყველაფერი მთავარი, რაც მომხდარა ქართულ ფეხბურთში, მის მინდორზეა გადავლილი და მის ტრიბუნებზეა განცდილი.

ახლა, ბევრგან ისეა, რომ ძველი სტადიონები დადუმდებიან ხოლმე. ასეა, მაგალითად, ამსტერდამში, სადაც „აიაქსი“ ახალ „არენაზე“ თამაშობს, ლეგენდარული „დე მეერი“ კი, მგონი, უკვე დაანგრიეს. ასეა დღეს ინგლისის ბევრ ქალაქში. ახლა თვით „უემბლიც“ დანგრეულია და ააშენებენ თუ არა, კაცმა არ იცის.

ამ ოცდახუთი წლის თავზე სახიფათო ის არის, რომ ჩვენი სტადიონი არ დადუმდეს. დუმილიდან სიკვდილამდე ერთი ნაბიჯია. ეს სტადიონი კი არ იმსახურებს სიჩუმეს. არ იმსახურებს იმას, რაც დღეს მის გარშემო ტრიალებს. ამ სტადიონს ბაზრის მოედნის ხმები არ სჭირდება, ამ სტადიონს ფეხბურთის ხმები ენატრება.

ეს „დინამოს“ სტადიონია.

იმ დროისაა, როცა ჩვენ „დინამო“ ვიყავით. ამ სტადიონზე ადამიანებს ბედნიერება ეწვეოდათ ხოლმე, ამ სტადიონზე ადამიანებს ინფარქტი ემართებოდათ.

ეს ნიშნავს, რომ სტადიონი ცოცხლობდა, ფეხბურთი ცოცხლობდა.

ოცდახუთი წელიწადი და კიდევ რამდენი რამ.

# 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი

### ნახევარფინალი

**საფრანგეთი 2:1 არგენტინა**

0:1 ტევესი (49), 1:1 ლე ტალეკი (56), 2:1 ბერტოდი (58)

საფრანგეთი: შაინი, ბერტოდი, კოლომბო, ფატი, ლე ტალეკი, იებდა, სინამა-პონგოლე, მენი (დრუინი 72), ფაე, ჟაკმო, პიეტრე (გლომბარი 46; მოლები 88)

მწვრთნელი: ჟან-ფრანსუა ჟოდარი

არგენტინა: მოლინა, გარსია, კოლაჩე (მატუცო 77), სალინა, მ. ლოპესი, მასკერანო (ფანარი 86), ტევესი, კორეა (აგირე 67), გოროსტეგი, ოსელა, საბალეტა

მწვრთნელი: უგო ტოკალი

გაფრთხილება: ბერტოდი, ოსელა, კოლომბო, ტევესი, დრუინი

გაძევება: ლოპესი (90)

მსაჯი: რაფაელ ევე დივინი (კამერუნი)

9 200 მაყურებელი

**ნიგერია 1:0 ბურკინა ფასო**

1:0 ოპაბუნმი (43)

ნიგერია: ბასეი, ჩინვო, იბრაჰიმი, ბაბა, ეიმოფი, ეროშიოგბე, ბრაუნი, ოპაბუნმი, სამბო, ტემილე (შაიბუ 77), მოჰამედი (ნამდი 90)

მწვრთნელი: აბდულა მუსა

ბურკინა ფასო: კონტუგომდე, კანუტი, ბუიაინი, ა. კულიბალი, პანანდეტიგირი, კონომბო (ა. უედრაოგო 78), ნიკიემა, სანუ, უატარა, უ. უედრაოგო, გოროგო (ბამბა 67)

მწვრთნელი: მიშელ-ჟაკ იამეოგო

გაფრთხილება: ეროშიოგბე, კანუტი, ბამბა, ბუიაინი

გაძევება: კანუტი (90)

მსაჯი: სამუელ რიჩარდ კონტრერასი (დომინიკელთა რესპუბლიკა)

6 500 მაყურებელი



საფრანგეთი — არგენტინა. არასტანდარტული სიტუაცია: არგენტინელი ხავიერ მასკერანო (№8) და ჟერემი ბერტოდი

**საფრანგეთის** 17-წლამდელთა ნაკრებს უფროსთა მიღწევის გამეორებისა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი აქვს. ამისთვის ფინალში ნიგერიის ნაკრების დამარცხებაა საჭირო, თუმც მანამდე ის ვთქვათ, თუ როგორ მოხვდა საფრანგეთი ფინალში — მან არგენტინის ნაკრები დაამარცხა. არადა, არგენტინა ჩემპიონატის უპირველეს ფავორიტად მიიჩნეოდა.

ევროპელებმა ორ წუთში წყვილი გოლი გაუტანეს სამხრეთამერიკელებს, რომლებიც მანამდე კარლოს ტევესის გატანილი ბურთით იგებდნენ. ტევესმა 49-ე წუთზე დააწინაურა არგენტინა. მან თანაგუნდელ მაქსიმილიანო ლოპესისგან მიიღო პასი, კარგა მანძილი ირბინა, რამდენიმე მეტოქე ჩამოიტოვა და დაახლოებით 15 მეტრიდან ზუსტად დაარტყა.

ფრანგებს ანგარიშის გასათანაბრებლად მხოლოდ შვიდი წუთი დასჭირდათ. მურად მენიმ არგენტინელებს მარცხენა ფლანგიდან შეუტია, მერე ჩაწოდებაც კარგად გამოუვიდა. ბურთს ადგილზე დახვდა ლე ტალეკი და რვა მეტრიდან თავით შეაგდო. ორი წუთის შემდეგ ფრანგების სასარგებლოდ კუთხური დაინიშნა. კევინ ჟაკმომ ჩააწოდა და ამჯერად უკვე ჟერემი ბერტოდმა დაარტყა ლონივრად. ის კართან იმდენად ახლოს იდგა, რომ არგენტინელთა მეკარე უძლური აღმოჩნდა.

არგენტინელები აქტიურობდნენ, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. მატჩის ბოლო წუთებზე ოდნავ რომ გამართლებოდათ და შეცვლაზე შესულ ერნან მატუცოს ძელისთვის არ გაერტყა, ყველაფერი თავდაყირა დადგებოდა. არგენტინელთა უბედობას ისიც დაერთო, რომ სულ ბოლოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, მაქსიმილიანო ლოპესი გააძევეს და იგი ახლა მესამე ადგილისთვის მატჩში ბურკინა ფასოს წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

მოგებულთა მწვრთნელმა მატჩის შემდეგ განაცხადა: „უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, საფრანგეთის ნაკრები პირველად ითამაშებს 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში“.

ფინალში ითამაშებს ნიგერიაც, რომელმაც მეორე ნახევარფინალურ წყვილში ბურკინა ფასოს ერთი ბურთით მოუგო. განსხვავება ისაა, რომ ნიგერიელები აქამდე სამჯერ ყოფილან ფინალისტები. აქედან ორჯერ, 1985 და 1993 წლებში ჩემპიონებიც გახდნენ.

საინტერესოა, რომ ჯგუფურ ეტაპზე ფრანგები და ნიგერიელები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ფრანგებმა 2:1 მოიგეს. ასევე ერთ ჯგუფში თამაშობდნენ მესამე ადგილისთვის მოქიშპე არგენტინა და ბურკინა ფასო. მათი შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა, თუმც არგენტინელებმა მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებზე პენალტით შეძლეს გათანაბრება.

**ნიკა შუღლაძე**

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

30 სექტემბერი

**არგენტინა — ბურკინა ფასო**

**ფინალი. 30 სექტემბერი**

**საფრანგეთი — ნიგერია**

# დიდი და პატარა მანჩესტერი

## იაპ სტამი: ადამიანი-ძროხა









ალექს ფერგიუსონმა იაპ სტამში ფული მოიგო, მაგრამ როი კინის გული „წააგო“

**რამდენი** გოლი გაუშვა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ პრემიერლიგის ექვს ტურში? რამდენი და ათი. ამაზე მეტი ოდენ ორ გუნდს აქვს გაშვებული — „მიდლსბროს“ და „ლესტერს“. ოღონდ, ისიც შევნიშნოთ, რომ მიდლსბროელებს ერთი მატჩით მეტი აქვთ ჩატარებული. მოკლედ, ციფრებს თუ დაეჯერება, და ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, სწორად რომ ასეა, „მანჩესტერის“ დაცვა ერთ-ერთი უსუსტესია პრემიერლიგელთა შორის. ჰო, ჩემპიონთა ლიგაში „დეპორტივოსთან“ მატჩიც არ უნდა დავივიწყოთ, როცა ინგლისელთა საჯარიმოში სრული განუკითხაობა სუფევდა.

თუმცა მანჩესტერელთა დაცვის პრობლემების განხილვა ამ წერილის მიზანი არ არის. უბრალოდ, არსებობს მოსაზრება, რომ „იუნაიტედმა“ გოლების გაშვებას იაპ სტამის გაყიდვის მერე უხშირა. უფრო სწორედ, ეს ფაქტია და სტამის გაყიდვას მიზეზად ასახელებენ. სტამის გაყიდვის გარემოებანიც ცნობილია. ჰოლანდიელმა ამას წინათ ავტობიოგრაფია გამოსცა, რომელშიც სხვა საინტერესო ამბების გარდა მისი „მანჩესტერში“ მოხვედრის თაობაზეც არის მოთხრობილი. გაირკვა, რომ თავის დროზე სერ ალექს ფერგიუსონი საიდუმლოდ, „პსვ ეინდჰოვენისგან“ ფარულად აწარმოებდა მოლაპარაკებას სტამთან და მის აგენტთან, რათა იგი „მანჩესტერში“ გადაეყვანა, რაც ფიფა-უეფას წესებით აკრძალულია. წიგნში იმაზეც იყო მოთხრობილი, რომ თუ სერ ალექსი ცუდ ხასიათზეა, ფეხბურთელებს აბუჩად იგდებს.

ამ ამბის გასკდომას, „იუნაიტედისა“ და ფერგიუსონის მიმართ რაიმე სანქციები არ მოჰყოლია, მაგრამ პატივცემული მწვრთნელის რეპუტაცია რამდენადმე შეირყა. მერე მოხდა ის, რაზეც სტამი წიგნში წერდა — ფერგიუსონი ცუდ ხასიათზე დადგა და ჰოლანდიელი სასწრაფოდ და მოულოდნელად „ლაციოში“ გაყიდა, თავად კი ოცდათექვსმეტს მიღწეული ლორან ბლანი შეიძინა.

აი, ახლა კი მოვისმინოთ, რას ფიქრობს ყველაფერ ამაზე იაპ სტამი:

„ამბობენ, რომ გუნდში ფეხბურთელებს დიდი ძალა აქვთ. არ დაიჯეროთ. ჩვენ ისე გვექცევიან, თითქოს ხორცის ნაჭრები ვიყოთ. ყოველ შემთხვევაში, „მანჩესტერში“ ნაღდად ასე იყო, საქონელივით მექცეოდნენ. ახლახან როი კინს ველაპარაკე და მანაც აღნიშნა, ძროხასავით გაგყიდესო.

არადა, რა ჩავიდინე, ასეთი მოპყრობა რომ დავიმსახურე? წიგნი რომ დავწერე? მაგრამ ხომ არაფერი მომიტყუებია? ფერგიუსონს ის ეწყინა, ერთხელ გასახდელში მომხდარი ამბავი რომ გავიხსენე. „შეფილდ უენსდის“ ვხვდებოდით და პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ. შესვენებაზე გასახდელში რომ შევედით, ფერგიუსონი განრისხებული დაგვხვდა. ჯერ ხომ ღრიალებდა და გვლანძღავდა, მერე მაგიდას ისე ჰკრა და მომაჯახა, კინაღამ რაღაც მოვიტეხე. იქნებ არ იყო ასე?

იცით, რა მითხრა? შენ წიგნს ხალხი რომ წაიკითხავს, რეპუტაცია შემელახებაო. ის კი არა, რომ ყველაფერი ტყუილიაო. მშვენივრად იცის, რომ ერთი სიტყვაც არ გადამიმეტებია. და საერთოდ, ფერგიუსონს ვურჩევ, თავის წიგნში ჩაიხედოს, რას წერს გორდონ სტრაჩანზე და ბრაიან კიდზე.

„ლაციოში“ ისე გამყიდეს, აზრზე არ ვიყავი. ერთი სიტყვაც არ უთქვამთ. ან ვინ მეტყოდა — ბიჭებმაც არაფერი იცოდნენ და ხელმძღვანელობიდან ხმას არავინ მცემდა.

ჩემი შემთხვევიდან კარგად ჩანს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ თითქოს დიდი კლუბია, მაგრამ თუ დაუკვირდებით შიგნით რა ხდება, ძალიან პატარად მოგეჩვენებათ.“

**გიორგი დარჯანია**

# დაღესტნის მთებიდან ვარშავას ჩაგიყვან



ფრაიბურგი — პუხოვი. სლოვაკი იოზეფ მუქლაი და გერმანელი ანდრეას ცაიერი ფეხდაფეხ შეიბნენ

**უეფას** თასის წლევანდელი გათამაშების ფორმატს აკრიტიკებს ყველა, ვისაც არ ეზარება. არადა, ფორმატი როგორიც აქამდე იყო, ისევ ისეთია. „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ ჰაინც რუმენიგემ (საინტერესოა ვინ ეკითხებოდა) უეფას თასის გათამაშებას გაუგებრობა უწოდა. უპირველეს ყოვლისა, ამტკიცებს გერმანელი, მონაწილეთა რაოდენობა 96-დან 64-მდე უნდა შემცირდესო. „ფრაიბურგის" მენეჯერმა ანდრეას რეტიგმა კი ბრძანა, ამ საკითხის განხილვა ჩვენი საქმე არ არისო. უეფას თასის გათამაშებაში მონაწილეობა ღარიბ-ღატაკი კლუბებისთვის ერთგვარად შემოსავლიანი საქმეა, რომელიც მათი ბიუჯეტის შევსების წყაროა.

თუმცა ისეთი თამაშით, როგორიც „ფრაიბურგმა" თავისი ქართული სამეულით აჩვენა, ძნელია, მაყურებელი მიიზიდო. წესით და რიგით, ფინკეს გუნდს სლოვაკური „პუხოვი" ბუმბულივით უნდა გაეწეწა, მაგრამ მხოლოდ მატჩის ბოლოსწინა წუთზე იბრაჰიმ ტანკოს ძალისხმევით შეძლო შემდეგ ეტაპზე გაღწევა.

ცქიტიშვილი, კობიაშვილი და იაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. მასპინძლები პირველ ტაიმშივე კულიბალის გოლით დაწინაურდნენ, 43-ე წუთზე კი კობიაშვილმა პენალტი გააცუდა. მეორე ნახევრის დასაწყისშივე სტუმრებმა გათანაბრება მოახერხეს და მათი იმედი 89-ე წუთზეღა დასამარდა.

თბილისის „დინამოს" დამმარცხებელი „ბატე" „მილანმა" გაანადგურა. მასპინძელთა შემადგენლობაში კახა კალაძეც იმყოფებოდა, ხოლო რუი კოშტამ თავისი პირველი ოფიციალური მილანური გოლი გაიტანა.

უკრაინის ცსკა-მ არც 90-ის და არც მსაჯის მიერ დამატებული 9 წუთის განმავლობაში „ცრვენა ზვეზდასგან" გოლი არ გაუშვა, რითაც ერთ დროს სახელოვანი მეტოქე გზიდან ჩამოიცილა. მასპინძლებს გასატანად მომენტები კი ჰქონდათ, მაგრამ ეტყობა კიევური გუნდები ცუდად დაებედათ. შარშან ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალი გზა „დინამომ" გადაუღობა, ახლა კი უკრაინის ჩემპიონატის ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა ცსკა-მ წაუხდინა გუნება. შეხვედრა სრულად ჩაატარა ლევან მიქაძემ, რომელმაც ერთ ეპიზოდში შეტევაში მყოფ მასპინძელ ივან გვოზდენოვიჩს სუფთად, ვარდნაში აართვა ბურთი და საგოლე მომენტი გააუვნებლა.

უნგრეთში, „დებრეცენსა" და „ბორდოს" მატჩში, სენსაცია იჩარხებოდა, მაგრამ პორტუგალიელმა პაულეტამ მასპინძლებს მოსალოდნელი ზეიმი 81-ე წუთზე ჩაუშხამა. უნგრელებს ერთი ბურთის გატანაღა სჭირდებოდათ, რითაც შემდგომ ეტაპზე გააღწევდნენ, მაგრამ ზუსტად იმ მეოთხის შეგდება ველარ შეძლეს. „დებრეცენის" რიგებში მოთამაშე კახა ჩხეტიანი დისკვალიფიცირებული იყო და ეს შეხვედრა გამოტოვა.

ლონდონში დაწყებული საქმე ჩელსელმა გუდიონსენმა ბულგარეთში პირველი ტაიმის მიწურულს დაასრულა, ორი მატჩის ჯამში მეტოქეს სამი ბურთი გაუტანა და გათამაშებიდან მიაბრძანა. რატი ალექსიძე შეხვედრას სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს.

სტუმრად, ინგლისში „იფსვიჩთან" ნათამაშევი ფრის შემდეგ მოსკოვის „ტორპედოს" კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. პირველივე ტაიმში ვიაზმიკინმა, რომელიც იუბილარი იყო და იმ დღეს 29 წელი შეუსრულდა, ცარიელი კარის წინ მარტოდმარტო დარჩენილმა მოახერხა და ბურთი ძელს გაარტყა. სამაგიეროდ, ბრიტანელებმა თავიანთი გასატანი გაიტანეს და მასპინძელთა ძლევა მოახერხეს. ედიკ საჯაია მეორე ტაიმის დასაწყისში გაშკინმა შეცვალა.

იხილეთ მეშვიდე გვერდი



რონალდოს მუხლი გადარჩა

## უეფას თასი. პირველი ეტაპი
### საპასუხო მატჩები

UEFA CUP

**მილანი** (იტალია) 4:0 ბატე (ბელარუსი) (2:0)
1:0 რუი კოშტა (20), 2:0 ხავი მორენო (45), 3:0 სარი (55), 4:0 ინძაგი (73პ)
მილანი: როსი, სარი, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა, კალაძე (დონადელი 74), შელვენი, ბროკი (ალბამეიანგი 81), დონატი, პირლო, რუი კოშტა (ფ. ინძაგი 61), ხავი მორენო
მსაჯი: ფატიჰ თერიმი
12 000 მაყურებელი

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:0 **ცსკა (უკრაინა)** (2:3)
ცსკა: კურნოზენკო, მალცევი, ანენკოვი (ბონდარენკო 73), კირლიკი, ბილოზორი, ლ. მიქაძე, ზაკარლიუკა, კოსტიშინი (კოსირინი 79), ვოლოსიანკო, ტკაჩენკო, ბალიცკი
მსაჯი: ვლადიმირ ხესონოვი
15 000 მაყურებელი

დებრეცენი (უნგრეთი) 3:1 **ბორდო (საფრანგეთი)** (1:5)
1:0 პლოკაი (44), 2:0, 3:0 კერეკეში (58, 67), 3:1 პაულეტა (81)
დებრეცენი: ბირო, სატმარი, კუტორი, ბერნატი, ბოორი, პლოკაი, ვადიჩკა, ბაიზატი, ტიბერი (მაიოროში 80), კერეკეში (ფრიდა 90), ულვეჩკი (რადოიჩიჩი 46)
კახა ჩხეტიანი დისკვალიფიცირებული იყო
მსაჯი: იანუშ პაიკუში
7 000 მაყურებელი

ლევსკი (ბულგარეთი) 0:2 **ჩელსი (ინგლისი)** (0:3)
0:1 ტერი (33), 0:2 გუდიონსენი (45)
ჩელსი: დე გუა, ტერი, დესაი, მელხიოტი, გალასი, ბაბაიარო, ლამპარდი, პეტი, იოკანოვიჩი (დალა ბონა 46), ძოლა (ნაითი 59), გუდიონსენი (ფორსელი 55)
რატი ალექსიძე სათადარიგო იყო
მსაჯი: კლაუდიო რანიერი
10 000 მაყურებელი

ტორპედო (რუსეთი) 1:2 **იფსვიჩ თაუნი (ინგლისი)** (1:1)
0:1 ფინიდი (47), 0:2 მარკუს სტიუარტი (54), 1:2 ვიაზმიკინი (66)
ტორპედო: ბერეზოვსკი, მალაი, ე. საჯაია (გაშკინი 56), იოლოვიჩი (ლაკიჩი 81), დაევი, ლუხვიჩი, ლეონჩენკო, ჟვინგილასი, კორმილცევი (სემშოვი 41), ვიაზმიკინი, შირკო
მსაჯი: ვიტალი შეჟენკო
5 000 მაყურებელი

**ფრაიბურგი (გერმანია)** 2:1 პუხოვი (სლოვაკეთი) (0:0)
1:0 კულიბალი (21), 1:1 პერნისი (52), 2:1 ტანკო (89)
კობიაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (43, მეკარე)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, კელი, ცქიტიშვილი, ა. ცაიერი, კობიაშვილი (ბუტი 68), კულიბალი, ტანკო, სელიმი (შ. მიულერი 90), იაშვილი (გერბერი 81)
მსაჯი: ფოლკერ ფინკე
18 855 მაყურებელი

ელფსბორგი (შვედეთი) 1:6 **ლეგია (პოლონეთი)** (1:4)
0:1 იაპია (35), 1:1 კარლსონი (55), 1:2 სოკოლოვსკი (65), 1:3 სკავი (75), 1:4 კუხარსკი (80), 1:5 კიელბოვიჩი (90), 1:6 სოკოლოვსკი (90)

**გრასჰოპერი (შვეიცარია)** 3:1 დინამო (რუმინეთი) (3:1)
1:0 ბატურინა (18), 2:0 შაპუიზა (21), 2:1 მიჰალჩია (52პ), 3:1 ხ. მორალესი (87)

სედანი (საფრანგეთი) 3:1 **პრშიბრამი (ჩეხეთი)** (0:4)
1:0 ნდიეფი (29), 1:1 პ. ზიგლი (47), 2:1, 3:1 ტ. ბრონი (52, 54პ)

სლოვანი (სლოვაკეთი) 1:0 **ლიბერეცი (ჩეხეთი)** (0:2)
1:0 მოჟიჩი (22)
გაძევება: ვიტეკი (78, სლოვანი)

ბირკირკარა (მალტა) 0:0 **დინამო (რუსეთი)** (0:1)
გაძევება: ხაზოვი (33, დინამო)

**რაპიდი (ავსტრია)** 5:1 პარტიზანი (იუგოსლავია) (0:1)
1:0 ვალნერი (11), 2:0 ტაუმენტი (34), 2:1 ჩაკარი (58), 3:1 ვალნერი (60), 4:1, 5:1 რ. ვაგნერი (65, 71)

**უნიონი (გერმანია)** 3:0 ჰაკა (ფინეთი) (1:1)
1:0 ჯურკოვიჩი (36), 2:0 ჩიფონი (43), 3:0 კოილოვი (90)

შახტარი (უკრაინა) 2:1 **ცსკა (ბულგარეთი)** (0:3)
1:0 ზუბოვი (31), 2:0 ვორობეი (51), 2:1 დეიანოვი (89)

ჰიკ (ფინეთი) 0:2 **პარმა (იტალია)** (0:1)
0:1 მარკიონი (80), 0:2 ბონაცოლი (90)

**ლიტექსი (ბულგარეთი)** 3:0 ინტერი (სლოვაკეთი) (0:1)
1:0, 2:0 იანკოვიჩი (42, 44), 3:0 მარინ პეტროვი (84)

**ფიორენტინა (იტალია)** 2:1 დნიპრო (უკრაინა) (0:0)
1:0 ადანი (74), 2:0 კიეზა (76), 2:1 სლაბიშევი (88)

**სპორტინგი (პორტუგალია)** 3:2 მიდტიულანდი (დანია) (3:0)
1:0, 2:0 ჟარდელი (4, 45), 2:1 ლინდკვისტი (53), 2:2 სკუბო (55), 3:2 სკრივერი (84სკ.)

**ბრიუგე (ბელგია)** 7:1 ოლიმპიაკოსი (კვიპროსი) (2:2)
1:0 ლანგე (22), 2:0 სილა (26), 3:0 მარტენსი (47), 4:0 ენგელბერტი (57), 5:0 სიმონსი (69), 6:0 ლანგე (87), 6:1 თემისტოკლეუსი (89), 7:1 ნ. ჩეპი (90)

**ტვენტე (ჰოლანდია)** 2:0 პოლონია (პოლონეთი) (2:1)
1:0 კოლმანი (70), 2:0 ბუთი (71)

**ჰალმსტადი (შვედეთი)** 1:0 გენჩლერბირლიგი (თურქეთი) (1:1)
1:0 ტ. არვიდსონი (21)
გაძევება: ტ. არვიდსონი (88, ჰალმსტადი)

**ჰელსინგბორგი (შვედეთი)** 1:1 ოდ გრენლანდი (ნორვეგია) (2:2)
1:0 ალვარო სანტუში (3), 1:1 ფევენგი (43)

სტიაუა (რუმინეთი) 1:1 **სენტ გალენი (შვეიცარია)** (1:2)
1:0 რადუჩანუ (12), 1:1 გვიდო ალვეში (59)

**ბრონდბიუ (დანია)** 0:0 ოლიმპია (სლოვენია) (4:2)

სტრასბური (საფრანგეთი) 2:2 **სტანდარდი (ბელგია)** (0:2)
1:0, 2:0 ლიუბოიაი (5, 38), 2:1 გუსენსი (55), 2:2 ვანდოორენი (58)

ჰიბერნიანი (შოტლანდია) 3:2დ.დ. (2:0) **აეკ (საბერძნეთი)** (0:2)
1:0, 2:0 ლუნა (52, 82), 2:1, 2:2 ცარტასი (92, 105), 3:2 ზიტელი (114)

სლავია (ჩეხეთი) 1:1 **სერვეტი (შვეიცარია)** (0:1)
0:1 ორუმა (13), 1:1 პეტროუში (89)
გაძევება: კლეიტონი (71, სერვეტი)

გრაცერი (ავსტრია) 3:3 **უტრეხტი (ჰოლანდია)** (0:3)
1:0 ბაზინა (4), 2:0 ბრუნმაიერი (20), 3:0 აკვუეგბუ (38), 3:1 კუიტი (47), 3:2 ცვაანცვიკი (55), 3:3 იოკუმსენი (68)

**ვისლა (პოლონეთი)** 1:0 ჰაიდუკი (ხორვატია) (2:2)
1:0 ფრანკოვსკი (22)

**პაოკ (საბერძნეთი)** 4:0 პერნტენი (ავსტრია) (0:0)
1:0, 2:0 პ. კონსტანტინიდისი (24, 52), 3:0 კაფესი (51), 4:0 დე სოუზა (75)

აპოლონი (კვიპროსი) 0:3 **აიაქსი (ჰოლანდია)** (0:2)
0:1 ვან დერ ვაარტი (34), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (66), 0:3 ვამბერტო (80)

**ვიკინგი (ნორვეგია)** 2:0 კილმარნოკი (შოტლანდია) (1:1)
1:0 ტ. სანე (1), 2:0 ნევლანდი (18)

**ვარტექსი (ხორვატია)** 0:1 ასტონ ვილა (ინგლისი) (3:2)
0:1 ჰაჯი (90)

ობილიჩი (იუგოსლავია) 2:2 **კოპენჰაგენი (დანია)** (0:2)
1:0, 2:0 ვუიოსევიჩი (32, 48), 2:1, 2:2 ბ. ფერნანდესი (75, 86)

ბრაშოვი (რუმინეთი) 0:3 **ინტერი (იტალია)** (0:3)
0:1 ვენტოლა (14), 0:2 გულიელმინპიეტრო (38), 0:3 ვენტოლა (76)

სილკებორგი (დანია) 1:2 **სარაგოსა (ესპანეთი)** (0:3)
0:1 იორდი (24), 1:1 ლარსენი (37), 1:2 ჟამელი (90)

სიგმა (ჩეხეთი) 4:3 **სელტა (ესპანეთი)** (0:4)
0:1 მაკკარტნი (2), 0:2 კასერესი (36), 1:2 პ. ზიგლი (46), 2:2 კორტიში (57), 3:2, 4:2 მუხა (59, 64), 4:3 კოირა (90)

**ლიდს იუნაიტედი (ინგლისი)** 3:0 მარიტიმუ (პორტუგალია) (0:1)
1:0 რობი კინი (20), 2:0 კიუელი (37), 3:0 ბაკე (62)

**ვალენსია (ესპანეთი)** 5:0 ჩერნომორეცი (რუსეთი) (1:0)
1:0 ხუან სანჩესი (6), 2:0 ილიე (18), 3:0 ხუან სანჩესი (22), 4:0 სალვა (52), 5:0 რუფეტე (68)

**ოსიეკი (ხორვატია)** 1:0 ნოვა გორიცა (სლოვენია) (2:1)
1:0 ვუკა (64)

რუჟომბეროკი (სლოვაკეთი) 1:0 **ტრუა (საფრანგეთი)** (1:6)
1:0 ორავეცი (55)

**გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)** 1:0 ანჟი (რუსეთი)
1:0 კონტერმანი (84)

**მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)** 1:1 დინამო (ხორვატია) (2:2)
0:1 აჯიჩი (32), 1:1 გოლდბერგი (41)
გაძევება: დრპიჩი (40, დინამო)

**ტიროლი (ავსტრია)** 1:0 ჟიჟკოვი (ჩეხეთი) (0:0)
1:0 გლიდერი (49)

ფილკირი (ისლანდია) 1:3 **როდა (ჰოლანდია)** (0:3)
1:0 იოჰანესონი (57), 1:1 ვან დე ლუერი (59), 1:2 ბერგლუნდი (77), 1:3 ანასტასიუ (87)

**ჰერტა (გერმანია)** 1:0 ვესტერლო (ბელგია) (2:0)
1:0 მარსელინიო (85)

რაპიდი (რუმინეთი) 0:1დ.დ. (0:0) **პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)** (0:0)
0:1 ალოიზიო (93)

გაზიანთეფსპორი (თურქეთი) 1:1 **ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)** (0:1)
0:1 ოსტერცი (19), 1:1 რინძიუკი (51)

მალტის „ბირკირკარა“ ტოლ-სწორად ეთამაშა მოსკოვის „დინამოს“, არც გაუშვა მაგრამ, ვერც გაიტანა და ჩვენი „ლოკომოტივის“ გამოთიშვალა შერჩა.

„ლიდსმა“, „ვალენსიამ“, „აიაქსმა“ და მილანის „ინტერმა“ ეტაპი ლაღად გადალახეს. სულ ახლახან გამოჯანმრთელებული რონალდო „ბრაშოვთან“ მატჩის მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა და ისევ დაშავდა, ამჯერად მსუბუქად. „ინტერის“ ექიმმა ფრანკო კომბიმ გულშემატკივრები დააწყნარა, ბრაზილიელს ნაოპერაციევ მუხლზე ბევრიც არაფერი სჭირს, ვარჯიშსაც ჩვეულებრივ გააგრძელებს, მაგრამ საკუთარ ფეხებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოსო.

ბირმინგემში მოპოვებულმა, ალბათ, მოულოდნელმა გამარჯვებამ ხორვატები ფეხზე დააყენა. ხორვატიის პრეზიდენტი შჩიპე მესიჩი „ვარტექსი“ — „ასტონ ვილას“ საპასუხო შეხვედრას დაესწრო და არც ინანა. მიუხედავად მინიმალური ანგარიშით მარცხისა, მასპინძლებმა ბრიტანული გუნდი ტურნირიდან გააძევეს.

ყველაზე სკანდალური მატჩი აღმოსავლეთ ევროპაში გაიმართა. შოტლანდიელები და დაღესტნელები ვარშავაში შეიბნენ. აი, რა განუცხადა მატჩის წინ ანჟელთა თავკაცმა ალექსანდრ მარქაროვმა ინგლისურ „სანს“: „რეინჯერსმა“ თავმოყვარეობა დაკარგა. მიმძიმს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ეს ასეა. მათ გააფუჭეს ფეხბურთი. მახაჩყალაში შოტლანდიელებს არანაირი პრობლემა არ შეექმნებოდათ, რადგან დაღესტანი ძალიან სტუმართმოყვარე ქვეყანაა. ჩვენთან უამრავი ეროვნების ხალხი ცხოვრობს, მათ შორის შოტლანდიელებიც. ერთ-ერთ მათგანს დაღესტნელი ცოლიც კი ჰყავს, მაგრამ მას არავინ აწუხებს. იგი მოუთმენლად ელოდა მახაჩყალაში თანამემამულეების ნახვას, თუმც ამაოდ. უეფაში შეგვპირდნენ, რომ თუ „ანჟი“ „რეინჯერსის“ დამარცხებას მოახერხებს, მომდევნო თამაშებს მახაჩყალაში გამართავთო, მაგრამ მე უკეთესი იდეა მაქვს. თუ ჩვენ „რეინჯერსს“ გამოვთიშავთ, მოგვცენ უფლება, ყველა მომდევნო მეტოქესთან თითო შეხვედრა ვიკმაროთ, ხოლო თუ ფინალში გავალთ, შეხვედრის ჩატარებას გლაზგოში მოვითხოვთ“. როგორც ხედავთ, ირონია, იუმორი და მწუხარება ერთმანეთშია არეული. ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მართლაც საცოდაობაა, გულშემატკივრებს ფეხბურთი წაართვა. თუმც უეფას ზემოთ ძალა არ არის და მატჩიც ვარშავაში გაიმართა.




რეინჯერსი — ანჟი. ტორე ანდრე ფლომ (მარჯვნივ) და შოტლანდიელებმა მახაჩყალელებს კინკილა გოლით სძლიეს

შეხვედრის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ სქოთები ტყუილად არ უფრთხოდნენ მახაჩყალაში თამაშს. ანჟელებმა ყოველგვარი შიშის გარეშე დაიწყეს თამაში და პირველი ტაიმის უგოლო ფრით დასრულებაც მოახერხეს. მეორე ნახევარში „უკარო“ ფეხბურთი გაჩაღდა და საგოლე მომენტებამდე საქმე არც კი მიდიოდა. აქ დიკ ადვოკაატს ნერვიულობა დაეტყო — შარშანდელ სეზონში ჩემპიონობა „სელტიკმა“ წაართვა, ლიგისკენ მავალი გზა უსახელო „ფენერბაჰჩემ“ გადაუღობა, ახლა კი დრო იწურებოდა და შოტლანდიელებს „ანჟის“ კარში გოლის გატანა ვერ მოეხერხებინათ. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ძირითადი დრო ფრედ უნდა დასრულებულიყო, თუმცა ადვოკაატი და „რეინჯერსი“ შერცხვენას ბერტ კონტერმანმა გადაარჩინა. მისი შორიდან დარტყმული ანჟელ ფეხბურთელს ფეხზე მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და კარში აღმოჩნდა. ეს საბედისწერო გასროლა 84-ე წუთზე მოხდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## მეორე ეტაპის წილისყრა

UEFA CUP

| | | |
|---|---|---|
| მილანი (იტალია) | — | ცსკა (ბულგარეთი) |
| ფრაიბურგი (გერმანია) | — | სენტ გალენი (შვეიცარია) |
| ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) | — | ჩელსი (ინგლისი) |
| ცსკა (უკრაინა) | — | ბრიუგე (ბელგია) |
| გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) | — | დინამო (რუსეთი) |
| კოპენჰაგენი (დანია) | — | აიაქსი (ჰოლანდია) |
| როდა (ჰოლანდია) | — | მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) |
| ლეგია (პოლონეთი) | — | ვალენსია (ესპანეთი) |
| ბორდო (საფრანგეთი) | — | სტანდარდი (ბელგია) |
| ფიორენტინა (იტალია) | — | ტიროლი (ავსტრია) |
| იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) | — | ჰელსინგბორგი (შვედეთი) |
| პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) | — | რაპიდი (ავსტრია) |
| უნიონი (გერმანია) | — | ლიტექსი (ბულგარეთი) |
| ვისლა (პოლონეთი) | — | ინტერი (იტალია) |
| პაოკ (საბერძნეთი) | — | პრჟიბრამი (ჩეხეთი) |
| ჰალმსტადი (შვედეთი) | — | სპორტინგი (პორტუგალია) |
| სარაგოსა (ესპანეთი) | — | სერვეტი (შვეიცარია) |
| ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) | — | ტრუა (საფრანგეთი) |
| უტრეხტი (ჰოლანდია) | — | პარმა (იტალია) |
| ოსიეკი (ხორვატია) | — | აეკ (საბერძნეთი) |
| ვიკინგი (ნორვეგია) | — | ჰერტა (გერმანია) |
| გრასჰოპერი (შვეიცარია) | — | ტვენტე (ჰოლანდია) |
| ვარტექსი (ხორვატია) | — | ბრონდბიუ (დანია) |
| სელტა (ესპანეთი) | — | ლიბერეცი (ჩეხეთი) |

პირველი მატჩები — 18 ოქტომბერი, საპასუხო მატჩები — 1 ნოემბერი

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიურმა** „ინტერმა“ ექვს მილიონ გირვანქად ბრაზილიური „ფლამენგოდან“ მცველი ჟუანი შეიძინა. მილანურ კლუბს ახალწვეული იანვრიდან შეუერთდება. ჟუანის შეძენით რომის „ლაციოს“ ხელმძღვანელობაც ყოფილა დაინტერესებული. რომაელები „ფლამენგოს“ მცველში ხუთ მილიონ გირვანქას სთავაზობდნენ.

**ინგლისური „არსენალის“ ნახევარმცველმა რეი პარლოუმ შესაძლოა ლონდონური კლუბი დატოვოს. პარლოუ წლევანდელ სეზონში ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ზის, რითაც ძალიან უკმაყოფილოა. „მეთოფეთა“ ნახევარმცველით ამას წინათ ბირმინგემის „ასტონ ვილა“ დაინტერესდა, ხოლო „ლიდს იუნაიტედი“ მზადაა, მასში ექვსი მილიონი გირვანქა გადაიხადოს. „ლიდსის“ მწვრთნელ დევიდ ოლირის, როგორც ჩანს, გუნდის შუა ხაზის გადახალისება განუზრახავს. გაზეთ „სანის“ ცნობით, ლიდსელთა თავკაცს „პსვ ეინდჰოვენის“ ნახევარმცველ მარკ ვან ბომელის გადაბირებაც სურს. ჰოლანდიელის სატრანსფერო ღირებულება, „სანისვე“ ცნობით, თხუთმეტი მილიონი გირვანქაა.**

**გერმანულმა** „ჰამბურგმა“ მთავარი მწვრთნელი ფრანკ პაგელსდორფი რომ გაათავისუფლა, ახლა მის შემცვლელს ეძებს. გუნდის თავკაცობის მსურველი ბევრია, თუმცა „ჰამბურგის“ ხელმძღვანელობა სერიოზულად მხოლოდ ორ მათგანზე მსჯელობს. ორშაბათს კლუბის მესვეურები ავსტრიული „ტიროლის“ დამრიგებელ კურტ იარას დაელაპარაკნენ. ავსტრიელები თანახმანი არიან, მწვრთნელი ხუთ მილიონ მარკად დათმონ. „ჰამბურგის“ მწვრთნელობის სურვილი ბოსნიელმა ალექსანდრ რისტიკმაც გამოთქვა, რომელიც 1980-87 წლებში „ჰამბურგში“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა. თავის დროზე ის გერმანიაში „შალკეს“, ბრაუნშვიგის „აინტრახტს“ და კიოლნის „ფორტუნას“ წვრთნიდა.

**იტალიური პრესის ცნობით, ტურინის „იუვენტუსს“ ჰონდურასის ეროვნული გუნდის ნახევარმცველ ხულიო სეზარ რამბო ლეონის „დელე ალპიზე“ გადაბირება სურს. ლეონის სატრანსფერო ღირებულება სავარაუდოდ შვიდი მილიონი დოლარია. ჰონდურასელი „ბებერი ქალბატონის“ ნახევარდაცვას გააძლიერებს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, „იუვენტუსმა“ იგი გაანათხოვროს. საკუთარ შემადგენლობაში ლეონის ხილვა „პიაჩენცასა“ და „კალიარისაც“ მოუწადინებიათ.**

**იტალიური** „ლაციოს“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ თავისი პირველი შენაძენი გააკეთა. რომაელებმა „პერუჯას“ ფაბიო ლივერანის სანაცვლოდ რვანახევარი მილიონი გირვანქა გადაუხადეს. შავკანიანმა ნახევარმცველმა ახალ გუნდთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ლაციოს“ ქომაგთა ნაწილის ნაცისტური მიდრეკილებების მიუხედავად ლივერანი თვლის, რომ კანის ფერი მას პრობლემებს არ შეუქმნის. რომაული კლუბის ისტორიაში ლივერანი მესამე შავკანიანია. პირველი ჰოლანდიელი არონ ვინტერი იყო, რომელიც „ლაციოს“ ღირსებას ოთხმოცდაათიანებში იცავდა, მეორე კი ამ ზაფხულს შეძენილი მცველი სესარია.

**მაკედონიის ეროვნული გუნდის ორმა ფეხბურთელმა — გეორგი ხრისტოვმა და ტონი მიჩევსკიმ — ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა. 7 ოქტომბერს მაკედონიელები სლოვაკებს დაუპირისპირდებიან. მთავარმა მწვრთნელმა გეორგე იოვანოვსკიმ ხრისტოვი და მიჩევსკი, რომელთაც სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდათ მიღებული, ეროვნული გუნდის შეკრებაზე მაინც გამოიძახა. ფეხბურთელები შეკრებაზე არ გამოცხადდნენ და განაცხადეს, რომ იოვანოვსკის გაწვრთნილ გუნდში ისინი არ ათამაშებენ.**

**იტალიური** „ინტერის“ თურქ ლეგიონერ ჰაქან შუქურს გუნდის ახალი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი არ სწყალობს, თურქი ძირითადი შემადგენლობის გარეთ დარჩა. შუქურის წისქვილზე არც ვიერისა და რონალდოს გამოჯანმრთელება ასხამს წყალს. ამიტომაც თავდამსხმელი სერიოზულად ფიქრობს გუნდიდან წასვლაზე. ჯერჯერობით არაფერი გარკვეულა. თავად თავდამსხმელს „ლივერპულში“ სურს თამაში. ამასწინანდელ ინტერვიუში კი ჰაქან შუქურმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ფულემიდან“, „ბოლტონიდან“ და „ვერონადან“ შეეხმიანენ.

## მერკოსურის თასი

2001 COPA MERCOSUR

27 სექტემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **B ჯგუფი. V ტური** | | | | | | |
| **ფლამენგო (ბრაზილია) 2:1 სან ლორენსო (არგენტინა)** | | | | | | |
| ფლამენგო | 5 | 4 | 0 | 1 | 9:6 | 12 |
| სან ლორენსო | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 9 |
| ნასიონალი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ოლიმპია | 4 | 0 | 0 | 4 | 0:9 | 0 |
| **C ჯგუფი. V ტური** | | | | | | |
| **ინდეპენდიენტე (არგენტინა) 1:0 კორინთიანსი (ბრაზილია)** | | | | | | |
| კორინთიანსი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 10 |
| კოლო კოლო | 5 | 1 | 3 | 1 | 3:4 | 6 |
| ინდეპენდიენტე | 5 | 2 | 0 | 3 | 6:8 | 6 |
| კრუზეირო | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| **E ჯგუფი. V ტური** | | | | | | |
| **უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) 1:1 გრემიო (ბრაზილია)** | | | | | | |
| გრემიო | 5 | 4 | 1 | 0 | 11:4 | 13 |
| პალმეირასი | 5 | 1 | 2 | 2 | 11:10 | 5 |
| რივერ პლეიტი | 5 | 1 | 2 | 2 | 10:10 | 5 |
| უნივერსიდად დე ჩილე | 5 | 1 | 1 | 3 | 3:11 | 4 |

გეპატიჟებით საბილიარდოში!



უმაღლესი ხარისხის მაგიდები და მომსახურება

მუხიანის I მიკრორაიონი, კორპუსი 3ა ტელ.: 630660

## იტალია

პაპუნა კადია

# ხუთი თვის შემდეგ

| V ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| იუვენტუსი | - | რომა |
| ხვალ | | |
| ბრეშა | - | ატალანტა |
| ფიორენტინა | - | ვენეცია |
| ინტერი | - | ბოლონია |
| ლაციო | - | პარმა |
| პერუჯა | - | მილანი |
| პიაჩენცა | - | ტორინო |
| უდინეზე | - | კიევო |
| ვერონა | - | ლეჩე |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 10 |
| მილანი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:5 10 |
| ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 10 |
| კიევო | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 9 |
| ბოლონია | 4 | 3 | 0 | 1 | 3:2 9 |
| ლეჩე | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 6 |
| ბრეშა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 5 |
| ვერონა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 5 |
| უდინეზე | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 5 |
| პარმა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 5 |
| რომა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 5 |
| პიაჩენცა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 4 |
| ლაციო | 4 | 0 | 3 | 1 | 1:3 3 |
| ფიორენტინა | 4 | 1 | 0 | 3 | 6:10 3 |
| ატალანტა | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 3 |
| ტორინო | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 2 |
| პერუჯა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 2 |
| ვენეცია | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 0 |

— ვის არ ვისურვებდი მოედანზე? ერთს ვერ ავარჩევ. ჩემზე რომ იყოს, ბატისტუტას, მონტელას და ტოტის მოვიშორებდი იქიდან — ასეთი პასუხი გასცა „იუვენტუსის“ მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა „რომასთან“ შეხვედრის წინ საკუთარი კლუბის ოფიციალურ საინტერნეტო ვებგვერდს. თუმცა, შემდეგ დააზუსტა — ამწუთას ყველაზე სახიფათო მაინც ტოტია. გუშინ „რომას“ ბოლო მატჩის მომენტები ვნახე და იქ ნათლად გამოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევებში გუნდის შეტევათა ლიდერი ის არის. ყველა მთავარი კომბინაცია მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით თამაშდება. ფრანჩესკო და მე დიდი ხნის მეგობრები ვართ, იტალიის 15-წლამდელთა ნაკრებიდან მოვდივართ ერთმანეთის მხარდამხარ და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ დროის განმავლობაში ის როგორც ფეხბურთელი, ძალიან გაიზარდა.

ასე და ამგვარად, დღეს საქართველოს დროით ღამის თორმეტის ნახევარზე იტალიის ჩემპიონატის მეხუთე ტურის მთავარი შეხვედრა, „იუვენტუსი“ — „რომა“ გაიმართება. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იმას, რაც ამაღამ ტურინის „სტადიო დელლე ალპიზე“ ჩატარდება, ახლანდელი სეზონის პირველი დიდი მოვლენა ეწოდება — ერთმანეთის პირისპირ წინა სეზონის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი წარსდგებიან.

ამ დღემდე „იუვენტუსი“ ძლიერი სტარტით მივიდა, ოღონდ ეგ არის, ერთი კვირის წინ ლეჩეში ითამაშა 0:0 და ამით მილანურ კლუბებს, „ინტერსა“ და „მილანს“ თავისთან გატოლების საშუალება მისცა. „რომამ“ პირიქით, ცუდად დაიწყო და ბოლოხანს თითქოს გამოასწორა, ოღონდ მართლა გამოასწორა თუ არა, კიდევ შესამოწმებელია. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ თამაშის ხარისხით ფაბიო კაპელოს გუნდი ჯერ აშკარად ჩამოუვარდება საკუთარ თავს, თუმცა წინა ტურში „ფიორენტინასთან“ და შემდეგ, ჩემპიონთა ლიგაში მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ერთნაირი ანგარიშით — 2:1 გამარჯვებებმა (ორივეგან თავიდან მოწინააღმდეგე იგებდა) ორივე შეჯიბრებაში გამოუკეთა საქმე.

დღევანდელ შეხვედრას გარდა კონკრეტული სატურნირო დავისა და ამ გუნდების მეტოქეობის დიდი ისტორიისა, პატარა წინაისტორიაც მატებს ინტრიგას: გავიხსენოთ წლევანდელი მაისი, სულ ხუთი თვის წინანდელი ამბავი, როდესაც წინა ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტური რჩებოდა და „რომა“ დღევანდელის მსგავსად ტურინს ესტუმრა. მაშინ საქმე ისე იყო, რომ გამარჯვების შემთხვევაში „იუვენტუსი“ მეტოქესა და ლიდერს ფაქტობრივად, სათუოდ უხდიდა სკუდეტოს მოპოვების საქმეს. და მართლაც, თამაში რომ დაიწყო, ექვს წუთში მასპინძლები დაწინაურდნენ 2:0, ოღონდ „რომამ“ ნამდვილ ჩემპიონთა შესაფერი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა და საბოლოოდ შეხვედრა 2:2 დასრულდა — საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე ჰიდეტოში ნაკატამ, ხოლო მსაჯის წამატებულ წუთებში ვინჩენცო მონტელამ წონასწორობა აღადგინეს.

მონტელა ახლაც გუნდშია, აი, ნაკატა კი ამ ზაფხულს „პარმაში“ გადავიდა. რაც შეეხებათ სხვებს: „ფიორენტინას“ მცველი პაოლო ვანოლისთვის არასათამაშო სიტუაციაში მუჯლუგუნის კვრისთვის სამი თამაშით დასჯილი ბრაზილიელი მცველი ანტონიო ძაგო ამაღამ ტურინელთა შეტევებს ვერ ჩაშლის. მეორე მხრიდან არ იქნებიან აყალმაყალში მონაწილეობისთვის მოკვეთილები, ჰოლანდიელი ნახევარმცველი ედგარ დავიდსი და ურუგვაელი მცველი პაოლო მონტერო.

ფაქტია: „იუვენტუსის“ გამარჯვების გარდა ნებისმიერი შედეგი, მილანურ კლუბებს ტურინელთა გადასწრების საუცხოო შანსს აძლევს. მილანელთაგან კი „ინტერი“ შინ თამაშობს — „სან სიროზე“ „ბოლონიას“ მასპინძლობს, ხოლო თურქი მწვრთნელის, ფათიჰ თერიმის ხელში შემტევ გუნდად ქცეული „მილანი“ პერუჯაში ჩადის.

„მილანთან“ დაკავშირებით თქვენს ყურადღებას იმაზე შევაჩერებთ, რომ საზაფხულო ფულის ხარჯვისა და ახალ ფეხბურთელთა თითქოსდა საკმარისად შეძენის მიუხედავად, „შავ-წითლებმა“ ამ ბოლო დღეებში კიდევ ორი ფეხბურთელი დაიმატეს. ერთი გახლავთ ბელარუსი ვიტალი კუტუზოვი, მეორე კი მარკო სიმონე — თავდამსხმელი, რომელიც „მილანში“ მისი დიდების წლებში თამაშობდა, ხოლო შემდეგ, ოთხი სეზონის განმავლობაში, საფრანგეთში ირჯებოდა.

აი, „ლაციო“ კი კვლავ პირველი გამარჯვების მოლოდინშია და იმედოვნებს, რომ ჯერჯერობით ორ შეხვედრაში წარუმატებელი ახალი მწვრთნელი ალბერტო ძაკერონის ხელმძღვანელობით ბოლოს და ბოლოს ნავსს გატეხს. მეხუთე ტურში „ლაციო“ „პარმას“ მასპინძლობს.

„ბრეშამ“ ორიოდ დღის წინ „ბარსელონას“ დიდოსტატი ხოსეპ გვარდიოლა შეიძინა და ახლა ბებერ ვარსკვლავთა სხივებში ბანაობს — რობერტო ბაჯოს პლუს გვარდიოლა! როგორია?! ხვალ ეს კამპანია ბრეშელთა დაუძინებელ მტრებს, ბერგამოელებს უნდა შეებას.

ხოლო სრულიად ფანტასტიკური „კიევო“ უდინეში როი ჰოჯსონის ქვეშევრდომების დამარცხებას შეეცდება.




„იუვენტუსი“ ფრანჩესკო ტოტის უფრთხის

## ინგლისი

გიგა კობახიძე

# უკინოდ და ჭაკი დაცვით

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბოლტონი | - | სანდერლენდი |
| ჩარლტონი | - | ლესტერი |
| დერბი ქაუნთი | - | არსენალი |
| ევერტონი | - | ვესტ ჰემი |
| მიდლსბრო | - | საუთჰემპტონი |
| ტოტენჰემი | - | მანჩესტერი |
| ხვალ | | |
| ფულემი | - | ჩელსი |
| იფსვიჩი | - | ლიდსი |
| ასტონ ვილა | - | ბლექბერნი |
| ნიუკასლი | - | ლივერპული |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:1 14 |
| ბოლტონი | 7 | 3 | 3 | 1 | 10:4 12 |
| არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:5 11 |
| მანჩესტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 17:10 11 |
| ნიუკასლი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:9 11 |
| ასტონ ვილა | 5 | 2 | 3 | 0 | 7:3 9 |
| ჩელსი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:6 9 |
| ლივერპული | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 9 |
| ბლექბერნი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 9 |
| სანდერლენდი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:7 9 |
| ტოტენჰემი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 8 |
| ევერტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 7 |
| მიდლსბრო | 7 | 2 | 1 | 4 | 7:14 7 |
| ფულემი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 6 |
| ვესტ ჰემი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 5 |
| ჩარლტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 5 |
| იფსვიჩი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 5 |
| დერბი ქაუნთი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 5 |
| ლესტერი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:15 5 |
| საუთჰემპტონი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:9 3 |

**ერთი მხრივ,** „მანჩესტერ იუნაიტედი“ საშუალოდ თამაშში ლამის სამ გოლს იტანს, რაც ნამდვილად ჩინებული შედეგია, მაგრამ აბა, გაშვებული ბურთების გრაფასაც ჩავხედოთ — 10! ანუ ზუსტად იმდენი, რამდენიც ფერგიუსონის გუნდის ზემოთ მყოფ სამ ლიდერს — „ლიდსს“, „ბოლტონს“ და „არსენალს“ — ერთად გაუშვია. თუ ამას ევროსარბიელსაც მივუმატებთ, გამოვა, რომ სეზონის დაწყებიდან დღემდე ინგლისის ჩემპიონის კარი მეტოქეებმა 12-ჯერ აიღეს. შედარებისთვის: შარშან ამ დროს ეს მაჩვენებელი ოდენ ხუთი გახლდათ.

კი ბატონო, უფალი მოწყალეა და როგორც სხვას, სერ ალექსსაც შეუნდობს იაპ სტამის ცხელ გულზე მოკვეთას და აშკარად არაადეკვატური ნაბიჯის (ლორან ბლანის ყიდვას ვგულისხმობთ) გადადგმას, მაგრამ პრემიერლიგა და თავად ცხოვრებაა ულმობელი: გარი ნევილს ტვინი შეერყა, ვესლი ბრაუნი კი დაშავდა და აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი ლამის დევიდ მეის იმედზე დარჩა. მოკლედ, ისე ჩანს, ქართველი „ტელეფეოლას“ შემახილი — ხვედელიძე, დაცვას მიხედეო — ინგლისური ინტერპრეტაციით კიდევ ხშირად გაისმება „იუნაიტედის“ სათადარიგოთა სკამიდან.

დღეს ჩემპიონი ლონდონში ჩადის და „უაით ჰართ ლეინზე“ თავის ყოფილ გმირ ტედი შერინგემს დაუპირისპირდება. ერთი შეხედვით, გუნდებს მთელი შვიდი ადგილი აშორებთ ერთმანეთისგან, მაგრამ ამ დროის სატურნირო ცხრილი ხომ მეტად მაცდურია — მოიგებს „ტოტენჰემი“ და დაეწევა კიდეც „იუნაიტედს“. სწორედ ამის იმედი აქვს გლენ ჰოდლს, რომელსაც გუნდში ისევ მინი-ლაზარეთი უდგას, თუმცა ბექემის, სქოულზის და ნევილების ყოფილმა მასწავლებელმა (ნაკრებში) თავისი შეგირდების ავან-ჩავანის ზედმიწევნით ცოდნის გარდა ისიც უწყის, რომ სტუმრებს ბურჯი და კაპიტანი, ირლანდიელი როი კინი არ ეყოლებათ — ალან შირერზე გაწევა მას სამმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა. სხვა მხრივ, რა გინდ პრობლემებიც უნდა ჰქონდეს „მანჩესტერს“, შინაურ შეჯიბრებებში ის ყოველთვის ფავორიტად ითვლება — წინა ტურში სათადარიგოებით „იფსვიჩის“ 4:0 განადგურებაც ამის დასტურია. ასე რომ, დედაქალაქში გამარჯვება და ლიდერ „ლიდსთან“ გათანაბრება (თუნდაც ერთი დღით) ფერგიუსონის უახლოესი მიზანია და ამის მისაღწევად მისი გუნდი ყველაფერს გაიღებს.

ერთპიროვნული ლიდერი კვირას თამაშობს. შესაბამისად, „მანჩესტერს“ გარდა შაბათს კიდევ ორ გუნდს ძალუძს იორკშირელთა დროებით შემჭიდროვება ცხრილის კენწეროში: მამაცი „ბოლტონი“ ბოლო სამ ტურში მხოლოდ ორი ქულის მომხვეჭ „სანდერლენდს“ მასპინძლობს, საბერძნეთიდან დაბრუნებული გაავებული „არსენალი“ კი დერბიში ჩადის მაჩანჩალა და უსახურ „ქაუნთისთან“ შესახვედრად. ქინქლაძის გუნდს ერთი უპირატესობა აქვს: სოლ კემპბელი, ტონი ადამსი და ჟილ გრიმანდი ისევ ტრავმებს ებრძვიან.

კვირას ორი დიდი მატჩია: ევროსარბიელიდან ნაადრევად გამოვარდნილი და მთლიანად პრემიერლიგაზე კონცენტრირებული „ნიუკასლი“ „ლივერპულს“ ხვდება, ლონდონის სამხრეთ-დასავლეთში კი დიდი ხნის უნახავი დერბია. მერსისაიდელები ჯორდთა ქვეყანაში უოუენოდ, თუმც ლიტმანენის წყალობით გამოკეთებულ ხასიათზე ჩადიან — ბოლო ორი მატჩი („ტოტენჰემთან“ და კიევის „დინამოსთან“) ხომ „ლივერპულმა“ სწორედ ფინელის ზუსტი და გადამწყვეტი დარტყმებით მოიგო. ამასობაში სეზონის ჯერჯერობით ერთადერთი დაუმარცხებელი ინგლისური გუნდი, რანიერის „ჩელსი“ (ამას ევროპაშიც არ წაუგია) ტიგანას „ფულემთან“ წლის მატჩს ატარებს. რატომ? ეს შვიდ ცნობილ ბრიტანულ დერბთაგან ერთ-ერთია, რომლის დროსაც ორ ნაწილად დედაქალაქის ელიტარული საზოგადოება იყოფა. საინტერესო ისაა, რომ „ჩელსის“ სტადიონი „სტამფორდ ბრიჯი“ უბან ფულემში მდებარეობს, თავად „ფულემის“ „კრივენ კოტიჯი“ კი, სადაც გუნდები ხვალ 1985 წლიდან პირველად შეიბმებიან, პატნიში (ესეც უბანია). მოკლედ, მეზობლები კვლავ ერთად შეიყარნენ და მოედანზე ვარსკვლავთცვენას არანაკლები ტრიბუნებზე მოჰყვება: ალბათ, „ფულემის“ თავგადაკლული ქომაგის, ჰიუ გრანტის დასახელებაც კმარა.

ხვალვე იფსვიჩის „პორტმან როუდზე“ უეფას თასის შემდეგ წრეში გასულები ითამაშებენ. „ლიდსს“ ისევ არ ეყოლება ალან სმიტი და მაიკლ ბრიჯისი, თუმცა ოლირის გუნდის დაცვა, 8 თამაშში რომ მხოლოდ ორი ბურთი გაუშვა, სრულ მზადყოფნაშია.



ტედი შერინგემი (მარცხნივ) დღეს ყოფილ თანაგუნდელებს შეუტევს

# გერმანია

სოლომონ გულისაშვილი



მიხაელ პრეეცი: 200 ბუნდესლიგური!

## ბრემე კი მშვიდადაა...

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰერტა | - | კიოლნი |
| ვოლფსბურგი | - | ლაუტერნი |
| ნიურნბერგი | - | ჰამბურგი |
| ვერდერი | - | გლადბახი |
| ზანქტ პაული | - | დორტმუნდი |
| შალკე | - | კოტბუსი |
| ჰანზა | - | მიუნხენი |
| **ხვალ** | | |
| ლევერკუზენი | - | ფრაიბურგი |
| ბაიერნი | - | შტუტგარტი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი | 7 | 7 | 0 | 0 | 20:7 | 21 |
| ბაიერნი | 7 | 5 | 1 | 1 | 12:2 | 16 |
| ლევერკუზენი | 7 | 4 | 3 | 0 | 14:7 | 15 |
| დორტმუნდი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:4 | 13 |
| შტუტგარტი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 12 |
| შალკე | 7 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 11 |
| კოტბუსი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:11 | 11 |
| მიუნხენი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:11 | 10 |
| მიონხენგლადბახი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | 9 |
| ფრაიბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 8 |
| ვერდერი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:11 | 8 |
| კიოლნი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | 8 |
| ჰერტა | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | 8 |
| ნიურნბერგი | 7 | 2 | 0 | 5 | 6:11 | 6 |
| ჰამბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:14 | 5 |
| ჰანზა | 7 | 1 | 2 | 4 | 4:11 | 5 |
| ზანქტ პაული | 7 | 0 | 3 | 4 | 4:11 | 3 |
| ვოლფსბურგი | 7 | 0 | 3 | 4 | 7:15 | 3 |

**„კაიზერსლაუტერნმა"** გასულ შაბათს „ჰერტას" 4:1 მოუგო და 1995-96 წლების სეზონში „ბაიერნის" ნაჩვენები შედეგი გაიმეორა — ბუნდესლიგის პირველ შვიდივე მატჩში გაიმარჯვა. დღეს ანდრეას ბრემეს გუნდი „ვოლფსბურგს" სტუმრობს და თუ მოიგო, საერთო გერმანული ლიგის ახალ რეკორდს დაამყარებს. თავად ბრემე ამ ერთგვარად ისტორიულ შეხვედრას მშვიდად ხვდება: „ჯერ შვიდი თამაშის გარდა არაფერი მოგვიგია და ყველაფერი წინ არის. შაბათს იმავე შემადგენლობით ვითამაშებთ, რომლითაც „ჰერტას" ვძლიეთ. ვფიქრობ, ეს სრულიად საკმარისი იქნება „ვოლფსბურგის" დასამარცხებლად".

ბრემეს ოპტიმიზმი გასაგებია, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი წვრილმანიც არ უნდა დაგვავიწყდეს. „ვოლფსბურგი" ლაუტერნელთათვის უხერხულ მეტოქედ ითვლება. 1997 წლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც ბუნდესლიგაში ალზევდა, „ვოლფსბურგმა" „კაიზერს" ოთხივე საშინაო თამაში მოუგო, შარშან კი სულაც 4:0 გაანადგურა.

ვოლფსბურგელთა საბრძოლო მოტივაციას ისიც ამძაფრებს, რომ „ზანკტ პაულის" მსგავსად წლეულს ჯერ გამარჯვების სიხარული არ უნახავთ, მხოლოდ სამი ქულა მოაგროვეს და ბოლო, მეთვრამეტე ადგილზე არიან. ბრემე კი მშვიდადაა...

ბოლო წლებში წამოჩიტულმა ბერლინის „ჰერტამ" სეზონი მძიმედ დაიწყო, დღეისთვის რვა ქულით მეცამეტე საფეხური უჭირავს და პერსპექტივაც ერთობ ბუნდოვანი აქვს. „ჰერტას" ქომაგთა მოთმინების ფიალა წინა შაბათს, „ლაუტერნთან" შერცხვენის მერე აივსო, მათ მწვრთნელ იურგენ რიობერის გადადგომა მოითხოვეს. გულშემატკივრებს ადგილობრივი მედიაც ეთანხმება. შედეგად გუნდის კაპიტანმა მიხაელ პრეეცმა ღია წერილი დაწერა. 34 წლის პრეეცმა ფანებს მოთმინებისა და მხარში ამოდგომისკენ მოუწოდა.

დღეს „ჰერტა" „ოლიმპიაშტადიონზე" არჩილ არველაძის „კიოლნს" მასპინძლობს, რომლის მწვრთნელი ევალდ ლინენი მსგავს ხათაბალაშია გახვეული. აბა, ცუდ შედეგს ვის აპატიებენ, თუმცა ორიოდ დღის წინ კლუბის პრეზიდენტმა ალბერტ კასპერსმა საჯაროდ განაცხადა, ლინენს ვენდობით და მის გადადგომაზე საუბარიც ზედმეტიაო.

„ჰერტას" არ ეყოლება დისკვალიფიცირებული ბრაზილიელი ალექს ალვეში და ირანის ნაკრებში გამოძახებული ალი დაეი, ხოლო პრეეცი ბუნდესლიგაში თავის მე-200 მატჩს ჩაატარებს.

„კიკერის" ვერსიით, არველაძე „კიოლნის" სასტარტო შემადგენლობაში არ იქნება. და კიდევ, „ჰერტას" „კიოლნთან" შინ 1982 წლის შემდეგ არ წაუგია, თუმცა ამ ხნის მანძილზე ბერლინში ესენი სულ სამჯერ შეხვდრიან. ერთი მასპინძლებმა მოიგეს და ორი მატჩიც ფრედ დამთავრდა.

„შალკე" კოტბუსის „ენერგის" დაუხვდება. კარგ დღეში არც გელზენკირხენელთა ჰოლანდიელი დამრიგებელი ჰუუბ სტევენსია. ბუნდესლიგის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი თერთმეტი ქულით ჯერჯერობით მეექვსე ადგილზეა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში სამივე თამაში წააგო. ერთი კარგი ამბავი მათთვის ის არის, რომ ტრავმამოშუშებული დანიელი ფორვარდი ებე სანდი დაუბრუნდებათ.

კვირას ორი საინტერესო შეხვედრა გაიმართება. მეორე ადგილზე მდგარი „ბაიერნი" „შტუტგარტს" უმასპინძლებს, ხოლო მესამეადგილოსანი „ლევერკუზენი" ჩვენების „ფრაიბურგს".

უკვე მივეჩვიეთ, „ბაიერნს" არ ეყოლება ეფენბერგი, შოლი, იერემისი, ლინკე, იანკერი და ციკლერი. მაგრამ თუნდაც „მეორე" შემადგენლობით, „ბაიერნი" მაინც „ბაიერნია", რადგან ჰყავს ბრძენი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი. რა შეუძლია თუნდაც დაჭრილ „ბაიერნს" ეს მოსკოვის „სპარტაკთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩშიც ვნახეთ. ახლაც ჰიცფელდი გამარჯვებას გეგმავს და ისევ სამი თავდამსხმელით თამაშს აპირებს. წინა ხაზზე ელბერი, პიზარო და პაულო სერჟიო გაირჯებიან, გამთამაშებლის როლს კი, ალბათ, შვეიცარიელ ჩირიაკო სფორცას მიანდობენ. ასეთია გერმანელი ჟურნალისტების ვარაუდი.

„შტუტგარტს" ორი დისკვალიფიცირებული ჰყავს. ბრაზილიელი მცველი მარსელო ჟოზე ბორდონი და ხორვატი შუახაზელი ზვონიმირ სოლდო. სავარაუდოა, რომ სტუმრები მასპინძელთა სამთავა შეტევას, მხოლოდ ერთ გამოკვეთილ თავდამსხმელს, რუმინელ იოანელ ვიორელ განიას დაუპირისპირებენ.

„ბაიერი" „ფრაიბურგს" საუცხოო გაწყობით ხვდება. ამის საბაბს მათ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული თამაში აძლევთ. ოთხშაბათს ბასტურკისა და ნოივილის გოლებით ლევერკუზენელებმა შინ „ბარსელონას" მოუგეს და ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. დღეს კი „ბარსას" ადგილს „ფრაიბურგი" დაიკავებს, რომელმაც იბრაჰიმ ტანკოს გვიანი გოლის წყალობით ხუთშაბათს სლოვაკურ „პუხოვს" სძლია და უეფას თასის შემდგომ წრეში გავიდა.

„ლევერკუზენს" სასჯელმოხდილი ეროვნული გუნდის ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი დაუბრუნდება, „ფრაიბურგის" სასტარტოში კი წესისამებრ სამი ქართველი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი და იაშვილი უნდა გაამწესონ.

# ესპანეთი

დარხანია

## ლიდერის შეცვლის ტური?

| V ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სოსიედადი | - | ბარსელონა |
| ესპანიოლი | - | რაიო ვალეკანო |
| რეალი | - | ვალიადოლიდი |
| მალაგა | - | ბილბაო |
| **ხვალ** | | |
| ოსასუნა | - | სევილია |
| ბეტისი | - | ლას პალმასი |
| ვალენსია | - | ალავესი |
| დეპორტივო | - | სელტა |
| მალიორკა | - | ვილიარეალი |
| ტენერიფე | - | სარაგოსა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 4 | 3 | 1 | 0 | 8:0 | 10 |
| ბეტისი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| დეპორტივო | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| ვილიარეალი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| ბარსელონა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| ვალენსია | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| ალავესი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| ბილბაო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| სევილია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| მალაგა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| რეალი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:6 | 4 |
| ლას პალმასი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:2 | 4 |
| სარაგოსა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| მალიორკა | 4 | 1 | 1 | 2 | 1:5 | 4 |
| ვალიადოლიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:8 | 4 |
| ოსასუნა | 4 | 1 | 1 | 2 | 1:6 | 4 |
| ტენერიფე | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | 3 |
| ესპანიოლი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:11 | 3 |
| რაიო ვალეკანო | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |
| სოსიედადი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | 1 |



რივალდო

**დიდი შანსია,** ამ უქმეებზე ესპანეთში ლიდერი შეიცვალოს. ლა კორუნიაში, „რიასორზე", „დეპორტივო" „სელტას" მასპინძლობს. „დეპორტივო" ის გუნდია, შუა კვირაში „მანჩესტერი" რომ დასცა, ხოლო „სელტას" პრიმერაში ჯერ არ გაუშვია გოლი. ლიდერობის გარკვევის გარდა ამ მატჩს ის დატვირთვა აქვს, რომ გალისიური დერბია. ეს ამბავი ჩამორჩება „რეალ" — „ბარსელონას", მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი რამაა.

აქვე შევნიშნოთ, რომ ხუთშაბათს უეფას თასზე ვიგოელებმა ოთხი გოლი გაუშვეს ჩეხური „სიგმასგან", ხოლო „დეპორს" ბოლო სამ შეხვედრაში ბოლო წუთებზე გააქვს გოლები.

გიორგი დემეტრაძის „რეალ სოსიედადს" ჯერ არ მოუგია და ისეთი მეტოქე ერგო, საეჭვოა, ახლა შეძლოს. „ბარსელონა" რომ მხოლოდ გამარჯვებისთვის ითამაშებს, სამი გარემოება განაპირობებს: ერთი, რომ „ბარსელონაა" და ყოველთვის მოსაგებად თამაშობს, მეორე, რომ ლიგაში „ლევერკუზენთან" მარცხის შემდეგ გაბრაზებულია და მესამეც — რივალდო გამოჯანმრთელდა. რას ნიშნავს „ბარსასთვის" რივალდო, იმდენად ცხადია, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს, ოღონდ შევნიშნოთ, რომ ბრაზილიელი სასტარტო შემადგენლობაში ყოფნა მაინც საეჭვოა.



ფერნანდო მორიენტესი

მადრიდის „რეალმა" ბოლო სამ შეხვედრაში ცამეტი გოლი გაიტანა და ეს, ალბათ, რაღაცას ნიშნავს. მადრიდელებს სავარაუდოდ სასტარტო შემადგენლობაში ეყოლებათ ფერნანდო მორიენტესი, რომელიც მტკივან ფეხს აღარ უჩივის. ხომ გახსოვთ, „მალაგასთან" მატჩისას მადრიდელებს ყოფილმა თანაგუნდელმა ფერნანდო სანსმა რომ გაუტანა. ჰოდა, ახლანდელ მეტოქე „ვალიადოლიდიდან" ვინმე თუა გოლის გამტანი, ასევე ყოფილი რეალელი ტოტე, რომლის გოლსაც უკვე მოუტანია ვალიადოლიდელთათვის გამარჯვება.

პრობლემები აქვს „მალაგას". წინა ტურში „ლას პალმასთან" გააძევეს არიელ ზარატე, ხოლო დარიო სილვა ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. მათი მეტოქე ბილბაოს „ატლეტიკი" კი იმავე შემადგენლობით გამოვა, რითაც ერთი კვირის წინ „ვალენსიასთან" 0:2 აგებდა და გაათანაბრა. ისიც სათქმელია, რომ რაც ბასკთა გაწვრთნა იუპ ჰაინკესმა ითავა, „ატლეტიკი" ძალიან კარგად თამაშობს.

ერთი წლის წინ ფრანგული „ლილი" პირველ ფრანგულ დივიზიონში ავიდა და პირველივე სეზონის ბოლოს ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა. „ლილის" გახსენება იმად დაგვჭირდა, რომ, მგონი, „რეალ-ბეტისიც" იგივეს აპირებს. ყოველ შემთხვევაში, სევილიელები ახლა მესამე ადგილზე არიან და საკვირაო მეტოქედ „ლას პალმასი" ჰყავთ. „ბეტისში" ბრწყინვალედ ათამაშდა დენილსონი, რომელიც ერთხანს ჩრდილში იყო მოქცეული. „ლას პალმასს" კი წვრთნის ფერნანდო ვასკესი, „ბეტისის" ყოფილი მწვრთნელი, რომელმაც, ალბათ, ყოფილი გუნდის კარის აღების გზებიც იცის.

საინტერესო უნდა გამოდგეს „ალავესის" სტუმრობა ვალენსიაში. ორივე გუნდი ლიდერთა შორიახლოს ტრიალებს, მაგრამ ლიდერებში გარევას ვერ ახერხებს. ვიტორიელებმა დასანანი მარცხი იწვნიეს წინა უქმეებზე „დეპორტივოსგან", როცა ბოლო წუთზე გოლი არ ჩაუთვალეს. იმავე მატჩში გაძევებული ივან ალონსო ხვალ, ცხადია, ვერ ითამაშებს და მოსელინ მაგნოსაც მყესები დაუზიანებია.

„მალიორკა", რომელიც ძალიან კარგად ირჯება ჩემპიონთა ლიგაში, შინაურ პირველობაზე ჯერჯერობით ხეირიანს ვერაფერს აკეთებს და კვირას „ვილიარეალს" უმასპინძლებს. კარგ ფორმაშია „ვილიარეალიც", რაც უპირველესად მარტინ პალერმოს საუკეთესო ფორმაში ყოფნას ნიშნავს.

„ტენერიფე" მასპინძლობს „სარაგოსას" და შემადგენლობასთან დაკავშირებით პრობლემები არ აქვს. იგივეს ვერ ვიტყვით სარაგოსელებზე, რომელთაც ტრავმირებული ტორო აკუნია და დისკვალიფიცირებული ხუანელე დააკლდებათ.

ჩოგბურთი

# სლოვაკი ბეწვის ხიდზე



მარატ საფინი: „თავს ზემოთ ძალა არ იყო“



ანასტასია მისკინამ ანა კურნიკოვა გააგდო

**პალერმო (იტალია)
„საერთაშორისო სერია“
თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $**

გრძელდება ესპანელთა ექსპანსია პალერმოს თიხნარზე, თუმცა მეორე წრის შემდეგ პირინეელებს წინამძღოლი აღარ ჰყავთ. ტურნირის პირველმა ნომერმა ალექს კორეჩამ ბოლო დროს აწყვეტილ მარიანო საბალეტასთან 4:6, 5:7 წააგო.

კორეჩა ATP-ს ჩემპიონთა რბოლაში მეთორმეტეა და სამართლიანად ითვლებოდა ტურნირის ფავორიტად, მაგრამ სულ ახლახან საბალეტა ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალში გავიდა და ეტყობა, ფორმის პიკზეა. „ძლიერ ბედნიერი ვარ ჩემი კერპთაგანის დამარცხებით — თქვა საბალეტამ — ვფიქრობ, რომ კორეჩა თიხნარის უდიდესი ოსტატია მსოფლიოში“.

არც წაგებულ ესპანელს დავიწყებია მეტოქისთვის საკადრისი პატივის მიგება, თუმცა აღნიშნა, საუკეთესო ფორმისგან შორს ვიყავიო.

ყველაფრის მიუხედავად, მეოთხედფინალში 4 ესპანელი მაინც გავიდა.

**მეორე წრე: მარიანო საბალეტა (არგენტინა) — ალექს კორეჩა (ესპანეთი, 1) 6:4, 7:5; ალბერტ პორტასი (ესპანეთი, 3) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 7:6 (7:2), 4:6, 6:3; დავიდ სანჩესი (ესპანეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა, 7) 6:3, 2:0 (ტრავმა); ფელიძს მანტილია (ესპანეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი, 8) 6:3, 6:1**

**ჰონკონგი (ჩინეთი)
„საერთაშორისო სერია“
ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $**

ჰონკონგში შვედი მაგნუს ლარსონი და გერმანელი რაინერ შუტლერი არ ხუმრობენ. შვედით დავიწყოთ.

ჩოგბურთის რანგთა ტაბელში სიმბოლურად 111-ე ლარსონი ადრე ასეთ სიღრმეებში არ იყო. შვედს ახსოვს კეთილი ხანა, როცა იგი მე-10 ადგილზე მოხვდა. ეს იყო 1995 წელს, მერე კი დაღმასვლის მეტი არაფერი ყოფილა, მაგრამ ლარსონს გამოფხიზლება დაეწყო, რაც გუშინწინ მარატ საფინის დამარცხებით გამოხატა.

ძირითადად ხაზიდან ზუსტი დარტყმებით ლარსონმა გადამწყვეტ სეტში მეტოქე გატეხა. მან მოიგო მე-7 გეიმი მეტოქის მოწოდებაზე, მერე ორი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა.

„იღბალიც მქონია — შენიშნა შვედმა ნამატჩევს — მაგრამ ჩემი შანსების გამოყენებაც მოვახერხე და მგონი, დამსახურებულად გავიმარჯვე“.

„ამ წაგებით მელბურნის „მასტერს კაპზე“ მოხვედრა გავირთულე — ახსენა საფინმა ტურნირი, რომელშიც რეიტინგის 8 თავადი ითამაშებს — ტაშკენტში გამარჯვებით მე-15-დან მე-11 ადგილზე ამოვედი, მეგონა, უფრო წინსვლასაც შევძლებდი“.

ახლა რაინერ შუტლერზე. ამ ჩოგბურთელმა ჯერ შანხაის ტურნირი მოიგო, მერე ჩინეთის სამხრეთისკენ ჩაინაცვლა და ჰონკონგშიც ერთობ რიგიანად თამაშობს. კერძოდ, მეორე წრეში შუტლერმა ღონიერი მოწოდების პატრონი მარკ ფილიპუსისი დაამარცხა, ვინც აჩრდილიღა იყო წინა დღის ფილიპუსისისა, ებრაელ ჰარელ ლევის 20 ეისი რომ ჩაუგდო.

დამარცხება ეწყინა, მაგრამ ავსტრალიელი სიხარულს აფრქვევდა შემდეგი მიზეზის გამო: „ყველაზე მთავარია, რომ დღეს მუხლს იოტისოდენადაც არ შევუწუხებივარ. საბოლოოდ მოვრჩი“.

ამ ტრავმამ ოზი ნახევარ წელიწადს სტანჯა და წლის უმნიშვნელოვანეს საჩოგბურთო ტურნირებს გამოაკლო.

წაგების მიზეზად კი ფილიპუსისმა სწორედ სათამაშო პრაქტიკის არქონა დაასახელა, ამ დროს კი რეიტინგით 49-ე შუტლერი მასმედიას განუმარტავდა, თუ რა ბედნიერია, რომ მან, განუთესავმა, ტურნირის მე-5 ნომერს მოუგო და ასე შემდეგ.

**მეორე წრე: რაინერ შუტლერი (გერმანია) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია, 5) 7:6 (7:5), 4:6, 6:3; სებასტიენ გროჟანი (საფრანგეთი, 3) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 7:6 (7:2), 3:6, 6:4; ანდრე სა (ბრაზილია) — მიხაელ კრატოხვილი (შვეიცარია) 7:5, 6:4; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — მარატ საფინი (რუსეთი, 2) 6:2, 3:6, 6:4; იონას ბიორკმანი (შვედეთი, 6) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 6:2, 6:4; ენდრიუ ილი (ავსტრალია) — მაიკლ ჩანგი (აშშ, 7) 6:3, 4:1 (ტრავმა); მარსელო რიოსი (ჩილე, 8) — კენეტ კარლსენი (დანია) 7:5, 6:3; ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 1) — სესილ მემიტი (აშშ) 4:6, 7:5, 7:6 (7:3)**



მაიკლ ჩანგი ჰონკონგში ტრავმისგან გაიტანჯა

**ლაიფციგი (გერმანია)
„შპარკასენის თასი“
ხალიჩა. საპრიზო 565 ათასი $**

პატარა, მაგრამ გემრიელი სენსაცია გამოაცხო „შპარკასენის თასზე“ სლოვაკმა დანიელა ჰანტუჩოვამ, როცა ტურნირის მესამე ნომერ ელენა დოკიჩს სამ სეტში სძლია. მათ მატჩში დრამატიზმმა კულმინაციას მეორე სეტის ბოლოს უწია. დოკიჩმა პირველი პარტია მოიგო, მეორეში მატჩ-პოინტი ჰქონდა და ხელები მაინცდამაინც მაშინ აუცახცახდა. 18 წლის მაღალი და ღონიერი ჰანტუჩოვა ჯერ მატჩის წაგებას დაუძვრა, შემდეგ მეორე სეტი ტაიბრეიკზე მოიგო, ხოლო მესამეში მეტოქეს ბღლვირი აღინა — 4:6, 7:6 (8:6), 6:0.

„თავის თამაში არ ვათამაშე — ამაყად შენიშნა ჰანტუჩოვამ დოკიჩის შესახებ — აგრესიული ვიყავი და სულ ვფიქრობდი, რომ მატჩის მოგება შემეძლო“.

დამაჯერებლად თამაშობს ტურნირის პირველი ნომერი კიმ კლაისტერსი. იგი მეოთხედფინალში გავიდა, ხოლო რუსულმა დერბიმ ლაიფციგელი ქომაგები გაანაწყენა: ანა კურნიკოვას მაღლიან სხეულს კორტზე ველარ ნახავენ, მას ანასტასია მისკინამ მოუგო.

კურნიკოვამ, ფეხი სულ ოდნავ კიდევ მაწუხებსო.

**მეორე წრე: ანე კრემერი (ლუქსემბურგი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:4, 6:4; ანასტასია მისკინა (რუსეთი) — ანა კურნიკოვა (რუსეთი, 9) 6:4, 3:6, 6:3; კიმ კლაისტერსი (ბელგია, 1) — ფრანჩესკა სკავონე (იტალია) 6:3, 6:3; დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) — ელენა დოკიჩი (იუგოსლავია, 3) 4:6, 7:6 (8:6), 6:0**

**ბალი (ინდონეზია)
„ვისმილაკ ინტერნეიშენელ“
ჰარდი. საპრიზო 170 ათასი $**

ბალიზე მძლავრობს არანტა სანჩესვიკარიო, რომელმაც მეორე წრეში ტაიველ ჯანეტ ლის გადაუარა და მეოთხედფინალშია. ბალი ტურისტების საოცნებო კუნძულია, მაგრამ ეკვატორულ კლიმატს ხომ დიდი ნესტი თან ახლავს, ამიტომ ავსტრალიელ ალისია მოლიკს გრიპი შეეყარა და კორტზე არ გასულა. ადგილობრივ ჰავას შეგუებული მისი ინდონეზიელი მეტოქე უზრუნველად მოხვდა 8 საუკეთესოს შორის.

**მეორე წრე: ანჟელიკ ვიჯაია (ინდონეზია) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) (გრიპი); შინობუ ასაგოე (იაპონია) — ვინე პრაკუსია (ინდონეზია) 7:6 (7:2), 2:6, 6:3; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) — ჯანეტ ლი (ტაივანი) 6:1, 6:3; სუ-ვეი ჰსიე (ტაივანი) — რეიჩელ მაკქუილანი (ავსტრალია) 7:5, 2:6, 6:3**

**დავით გულუა**

კალათბურთი

# დინამოს პატრონი და ამბიციები გაუჩნდა



ზურაბ ჩუბინიძე დინამოელი გახდა

**მას** შემდეგ, რაც საქართველოს პირველი ჩემპიონი გახდა, თბილისის „დინამოს“ საქმეები სულ უკან-უკან მიდიოდა. ერთ დროს ევროპის დიდების კვარცხლბეკზე მდგარ გუნდს ყოველი ახალი სეზონის წინ დაფინანსებასთან და მოთამაშეებთან ერთად ამბიციებიც აკლდებოდა. „დინამო“ თანდათან ჩემპიონატის ცხრილის ფსკერისკენ ეშვებოდა და კარგა ხანია, ექვსეულის უცხო სტუმრის სახელიც დაიგდო. ტენდენცია გასულ სეზონშიც არ შენელებულა, პირველი ჩემპიონის თამაში წინანდელზე უსახური იყო. ლევან მოსეშვილის გუნდი სრულიად ახალგაზრდა კალათბურთელებით გახლდათ დაკომპლექტებული, თუმცა როგორც ყოველთვის, „დინამოს“ შარშანაც ჰყავდა გამოცდილი მოთამაშე. დავით თორთლაძის ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა ექვსეულში მოსახვედრად. სრული უსახსრობაც გაბატონდა და გუნდი დაშლის პირას მივიდა. ფაქტობრივად დაშლილიც იყო, სანამ სპორტკლუბ „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ მდგომარეობის შეცვლა არ გადაწყვიტა. თუმცა თავიდან, სანამ ფეხბურთელების საქმეებს მოაგვარებდა, დინამოელ კალათბურთელებს ლოდინი მოუხდათ, მაგრამ ახლა ყველაფერი გამოსწორებულა.

„დინამოს“ ერთ-ერთი მწვრთნელის, ვაჟა მხეიძის განცხადებით, გუნდის ვალები, რომელიც მას წინა სეზონიდან შემორჩა, ფედერაციას უკვე გადაერიცხა. გუნდი სრულად შეიკრიბა და ორ კვირაზე მეტია სისტემატიურად, მთელი დატვირთვით ემზადება მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის.

იმაზე ლაპარაკი, რომ „დინამო“ ეროვნულ ჩემპიონატში შარშანდელზე გაცილებით მაღალ შედეგს აჩვენებს, ზედმეტია. მართალია, ათიოდ დღის წინ თარგამაძეს დისკვალიფიცირებულ ირაკლი ჯაფარიძისთვის სასჯელის მოხსნა და მისი თავის გუნდში ხილვა არ გამოუვიდა, მაგრამ მას უკან არ დაუხევია და შედეგად გუნდში ხუთი ახალწვეულია. ირაკლი მაისურაძე, რომელიც „დინამოში“ ადრეც თამაშობდა, „ბასკოსა“ და თსუ-ს მოვლის შემდეგ კვლავ თავის ძველ გუნდს დაუბრუნდა. ლევან მოსეშვილის ხელმძღვანელობით ითამაშებს გოგიტა ბერია, რომელიც უდისციპლინობისა და აყალმაყალის გამო ჩამოშორებული იყო მოედანს. გუნდმა ძლიერი შევსება მიიღო „სტუ-ჯეოსელისგან“ — გოდერძი კორძაძე, ზურაბ ჩუბინიძე და ზვიად მიქაძე მომავალ სეზონში „დინამოსთვის“ გაირჯებიან. ამ ხუთი კალათბურთელისა და კიდევ რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდისგან მწვრთნელებს ძლიერი, კონკურენტუნარიანი კოლექტივის ჩამოყალიბება გადაუწყვეტიათ, რომელიც ოთხეულში მოხვედრის გარდა კიდევ უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. თანაც, როგორც პირველ ძალოვანს უთქვამს, შესაძლებელია ის თანხაც გამოიძებნოს, რომელიც „დინამოსთვის“ სირიაში შეკრების მოსაწყობადაა საჭირო. რაღა მაინცდამაინც სირია? ვაჟა მხეიძეს სამიოდ წელი დამასკოს არმიელთა კლუბი უწვრთნია და იქ თურმე დიდადაც ემადლიერებიან. ლევან მოსეშვილის თანაშემწე დღე-დღეზე სირიიდან მოწვევას ელოდება და არ არის გამორიცხული, „დინამომ“ ეროვნული ჩემპიონატის ბოლო მოსამზადებელი ეტაპი ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ, აწ კი არაბულ ქვეყანაში გაიაროს.

**ირაკლი ბერტაია**



ჯონ სტოქტონი „იუტა ჯაზს“ შეაბერდა

# წვრილშვილის პატრონი ფულს კვლავაც იშოვის

**ნბა-ს** მასპინძელ ქალაქთაგან ყველაზე მომცრო და პროვინციულ სოლტ ლეიკ სიტიში 17 წელი არ მოსწყინებიათ ჯონ სტოქტონის ცქერა და ალბათ ეს არც ამ ორი წლის განმავლობაში მოხდება — ამ ხუთშაბათს პასების და ჩაჭრების 39 წლის მეფემ მშობლიურად ქცეულ „იუტა ჯაზთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ახლა უკვე დანამდვილებით ვიტყვით, რომ მთებში ჩაკარგულ სოლტ ლეიკ სიტიში დამკვიდრებული და დაბერებული ისე დაასრულებს კარიერას, სხვა გუნდის მაისურას არ მოირგებს.

სანამ „იუტასთან“ ახალ კონტრაქტს ხელს მოაწერდა, სტოქტონსა და კლუბს შორის მხოლოდ ერთწლიან თანამშრომლობაზე იყო საუბარი. შემდეგ კი „ჯაზის“ მფლობელ ლარი მილერს უთხოვია მისთვის, იქნებ ორი წლით დარჩენილიყავიო, სტოქტონსაც ჭკუაში დასჯდომია ეს წინადადება და თანხმობა განუცხადებია. „ვფიქრობ, მართებულად მოვიქეცი. ნბა-ში თამაში ბევრით განსხვავდება სამზარეულოში ტრიალისა და სუპის კეთებისგან. კალათბურთის თამაში მსოფლიოში საუკეთესო სამუშაოა. ვფიქრობ, ამაში ნბა-ს ნებისმიერი მოთამაშე დამეთანხმება. მინდა, რაც შეიძლება დიდხანს ვიმუშაო აქ, სანამ შემეძლება“ — ამბობს სტოქტონი. ჭეშმარიტად ასეა, თუ საყვარელ საქმეში მილიონებს იძლევიან, ძნელია შეელიო მას. სტოქტონისთვის კალათბურთი უცილობლად ყველაზე წინ დგას, თანაც ამ ორ წელიწადში 16 მილიონი „იუტას“ სალაროებიდან მის ჯიბეში გადაინაცვლებს, ასე რომ, ვეტერანთა შორის ვეტერან სტოქტონს უკმაყოფილების საბაბი არ უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება ოჯახ-წვრილშვილს (ცოლი და ექვსი შვილი), იგი მოიცდის, რადგან მის მარჩენალს ჯერაც შეუძლია მოედანზე სირბილი და ლამაზი პასების კეთება.

ამ სამშაბათიდან ნბა-ში საწვრთნელი ბანაკები იხსნება და სტოქტონი თავის მე-18 სეზონისთვის მზადებას შეუდგება, რალა თქმა უნდა, თავის ძმობილ და თანშეზრდილ მეწყვილე კარლ მელოუნთან ერთად. ეს წყვილი 1985 წლიდან ერთად არბევდა „იუტას“ მეტოქეთა კალათებს და ამ გუნდის მათ გარეშე წარმოდგენა ძნელია. „კარლზე ვფიქრობდი, ის რომ არა, მე ალბათ არ დავრჩებოდი“ — თქვა სტოქტონმა, ორივე 2003 წლის გაზაფხულამდე მოემსახურება „ჯაზს“.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციიდან სხვა ამბებიც მოდის. „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ორჯერ, ხოლო მანამდე „ჩიკაგო ბულზის“ ექვსჯერ გამაჩემპიონებელმა ფილ ჯექსონმა თავისთან, „ლეიკერსში“, წაიყვანა ყოფილი შეგირდი დიკ სიმპკინსი. სიმპკინსი 206-სანტიმეტრიანი და 115-კილოგრამიანი თავდამსხმელია და 1996-98 წლებში ზედიზედ სამჯერ გაჩემპიონებულ „ჩიკაგოში“ დენის როდმანს ცვლიდა. მას კარიერაში საშუალოდ მატჩში 4,3 ქულა და 3,6 მოხსნა გაუკეთებია და ამ მაჩვენებლით ფილ ჯექსონი არც „ლეიკერსის“ სასტარტო ხუთეულში ჩასვამს.

„ჰიუსტონ როკიტსმა“ შეინარჩუნა საკუთარი თავისუფალი აგენტი, 201-სანტიმეტრიანი და 118-კილოგრამიანი მომხსნელი მანქანა კენი ტომასი. მისი ორწლიანი კარიერის საშუალო მაჩვენებლებია მატჩში 7,7 ქულა და 5,8 მოხსნა. ტომასი სავარაუდოდ „ჰიუსტონში“ ახლადმისული ნიჭიერი ახალბედას, ედი გრიფინს შეცვლის, თუმცა თუ ამ უკანასკნელმა ვერ ივარგა, იქნებ პირიქითაც მოხდეს.

**ირაკლი ფირცხვილი**


**განათლების სამინისტროს ჰარმონიული განვითარების ცენტრი**

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ხელოვნების სტუდიაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ტანსაცმლის მოდელირების სპეციალობებზე.
მოსწავლეები შეისწავლიან ფერწერას, გრაფიკას, ძერწვას, გობელენსა და მაკრამეს, ხისა და ლითონის დამუშავებას.
სტუდიაში მიიღებიან ბავშვები შვიდი წლის ასაკიდან და ზემოთ.

**მისამართი: დავით აღმაშენებლის 68.**
**ტელ: 95 48 57, 92 03 96**




TRACK ANTWERPEN, BEL WORLD CHAMPIONSHIPS : 2001

მსოფლიოს ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში. ანტვერპენი (ბელგია)

# გერმანიის კაპიტულაცია

**ანტვერპენში** მიმდინარე ველოტრეკის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღეს მედლების ორი კომპლექტი გათამაშდა.

ოლიმპიურ სპრინტში 1997 წლიდან დაუმარცხებელმა საფრანგეთის ნაკრებმა თავისი ბატონობის ხანა კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა ფინალში ავსტრალიის ნაკრების ძლევით. ლორან განემ, რომელიც ტრიოში ყველაზე გვიან, 1998 წელს მივიდა, ფლორიან რუსომ და არნო ტურნანმა მეტოქეებს შანსი არ დაუტოვეს და მორიგი ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი.

ფინალში მათ ავსტრალიის ნაკრებს, რომელიც გამოცდილი შონ იდის (32 წლის) და ახალგაზრდა, იმედისმომცემი მრბოლების ჯობი დაიკასა და რაიან ბეილისგან (19-19 წლის) შედგებოდა, წამის 33 მეასედით აჯობეს. საქმე, ფაქტობრივად, უკვე განემ მოათავა, როცა პირველმავე 0,29-წამიანი უპირატესობა მიიღო. დაიკას წინააღმდეგ რუსომ თანაგუნდელის მოპოვებულს არაფერი დააკლო, წინა დღეს ჰიტის მომგებმა ტურნანმა კი ოდნავ კიდევ გაზარდა ფრანგთა უპირატესობა.



ლორან განე, ფლორიან რუსო და არნო ტურნანი

ვაჟებს შორის გამოდევნებით რბოლაში ჩემპიონობა ბევრისთვის მოულოდნელად უკრაინელმა ალექსანდრე სიმონენკომ მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ამაში უფრო მოულოდნელი სლავის წარმატება კი არაა, არამედ ის, რომ ეს დისციპლინა გერმანელთა ტრიუმფით არ დამთავრდა, რადგან სწორედ ისინი არიან მსოფლიოში საუკეთესოებად მიჩნეულნი გამოდევნებით რბოლაში.

ფინალში იენს ლემანმა მალე შეატყო, რომ მეტოქის მჯობნი იმ დღეს არ იყო და მალევე გამოაცხადა სრული და უსიტყვო კაპიტულაცია. ამიტომაც, მეოთხე კილომეტრზე თავი მთლად შეირცხვინა, რადგან სიმონენკოს დაწევის შესაძლებლობა მისცა. ვინც ველოტრეკში კარგად ვერ ერკვევა, ვეტყვით, რომ გამოდევნებით რბოლისას მეტოქეები ტრეკის მოპირდაპირე მხარეებიდან იღებენ სტარტს. ანუ სიმონენკო რომ ლემანს დაეწია, მასზე ნახევარი წრით მეტი ჰქონდა გავლილი.

სიმონენკო სამი წლის წინ ბორდოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც მოოქროვილა, მაგრამ მაშინ უკრაინის გუნდთან ერთად უპირველია. ამჯერად მან, ლემანისგან განსხვავებით, გუნდთან ერთად საკვალიფიკაციო რბოლებში მონაწილეობა არ მიიღო და, ალბათ, ამიტომაც უფრო მეტი ძალა შერჩენოდა, ვიდრე გერმანელს.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მეორე გერმანელმა შტეფან შტაინვეგმა ფრანგი ჟერომ ნევილი დაამარცხა.

| ვაჟები. ოლიმპიური სპრინტი |
| --- |
| 1. საფრანგეთი (ლორან განე, ფლორიან რუსო, არნო ტურნანი) |
| 2. ავსტრალია (ჯობი დაიკა, რაიან ბეილი, შონ იდი) |
| 3. დიდი ბრიტანეთი (კრეიგ მაკლინი, ჯეისონ ქველი, კრის ჰოი) |

| ვაჟები. გამოდევნებით რბოლა |
| --- |
| 1. ალექსანდრ სიმონენკო (უკრაინა) |
| 2. იენს ლემანი (გერმანია) |
| 3. შტეფან შტაინვეგი (გერმანია) |

ვუელტა 2001

# მეღორის პატივისცემა იტალიურად

**მეთვრამეტე** ეტაპი ფილიპო სიმეონიმ მოიგო მარტოობაში, საერთო ჩათვლის ლიდერის ოქროსფერი მაისურა კი ოსკარ სევილიამ შეინარჩუნა.

სევილია და ანხელ კასერო როგორც კი ველოებზე ამხედრდებიან მაშინვე დაუძინებელ მტრებად იქცევიან და წლევანდელ „ვუელტაზეც“ ფიცხელი ბრძოლა აქვთ გაჩაღებული, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის მეგობრებად დარჩნენ ჩვეულებრივ ცხოვრებაში. ეტაპის დასაწყისში სევილიას მიერ კასეროსთვის დაბადების დღის ძალიან გულთბილად მილოცვაც ამის დასტურია.

მანამდე, დილით საერთო ჩათვლის 9 მოწინავეს დოპინგ-კონტროლი ჩაუტარდა და ყველა ტესტს უარყოფითი შედეგი ჰქონდა. ამის მერეღა გაუყვა დარჩენილი 145 მრბოლი გზას, მათ შორის უკვე 29 წლის კასეროც.

თავიდან სიჩქარე ძალიან მაღალი იყო და პელოტონმა პირველი საათის განმავლობაში 53 კილომეტრის გავლა მოასწრო. თუმცა ტრადიციულად, ამის მიუხედავად შეტევები მაინც მრავალრიცხოვანი იყო, სანამ დაახლოებით მე-60 კილომეტრზე 12 კაციანი ჯგუფი არ გაექცა პელოტონს. ლტოლვილებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ბლანკო (ბანესტო), კუესტა (კოფიდისი), სიმეონი (კანტინა ტოლო), სუბელდია (ესკალტელი), ვერჰეიენი (რაბობანკი) და ზაბელი (ტელეკომი) არიან.

წინწასულები ერთმანეთში მშვენივრად თანამშრომლობდნენ და მალე საგრძნობი უპირატესობაც მიიღეს. ფინიშამდე 60 კილომეტრით ადრე ისინი დანარჩენებს 3 წუთითა და 28 წამით უსწრებდნენ.

მესამე კატეგორიის სიძნელის მთა კასტილიოს მისადგომებთან ჯერ ლაგუნამ და მერე ბლანკომ მიიტანეს ახალი იერიში. ეს უკანასკნელი კომპანიონებს დაუსხლტა კიდეც და მწვერვალს მათზე რამდენიმე ათეული წამით ადრე უწია. სიჩქარე უკანაც გაიზარდა სევილიას და კასეროს მეცადინეობით და პელოტონი რამდენიმე ნაწილადაც დაიყო. პირველი მათგანი დაღმართის დაწყებისას ლტოლვილებს მხოლოდ წუთითა და 4 წამითღა ჩამორჩებოდა.

ამ დროს ეტაპის ბედში ისევ უიღბლობა ჩაერია. ბლანკო დაშვებისას წაიქცა და მდევრებიც წინ გაუშვა. თუმცა მისი უბედურება ამით არ დასრულებულა და ცოტა ხანში, როცა ის უკვე პელოტონის ბოლოში იყო, ესპანელი ისევ ძირს აღმოჩნდა.

ბლანკოს წაქცევამ, როგორც ვთქვით, მის მდევრებს დაწინაურების საშუალება მისცა. მათგან ყველაზე მოხერხებული სიმეონი გამოდგა, რომელმაც ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე გადამწყვეტი იერიშის განხორციელება შეძლო და ფინიშის ხაზი სხვა შემორჩენილ დილის მოიერიშეებზე 28 წამით, პელოტონზე კი 58 წამით ადრე გადაკვეთა.

იტალიელს ისე სდომებია, რომ მისი გამარჯვება სამუდამოდ თუ არა დიდი ხნით მაინც ჩაბეჭდილიყო ადამიანთა გონებაში, ბოლო 50 მეტრზე დაამუხრუჭა, ველოდან ჩამოხტა, თავის ერთგულ რკინის ბედაურს აკოცა და დარჩენილი მანძილი ფეხით გაიარა. ფინიში კი ველოზეაღმართულმა გადაკვეთა.

**გაგი გურული**



REUTERS კუენკადან

ფილიპო სიმეონიმ ფინიშის ხაზი ასე ორიგინალურად გადაკვეთა

| მეთვრამეტე ეტაპი |
| --- |
| ალბასეტე — კუენკა, 154,2 კმ |
| 1. ფილიპო სიმეონი (იტალია, კანტინა ტოლო) 3სთ 07წთ 32წმ |
| 2. გეერტ ვერჰეიენი (ბელგია, რაბობანკი) +28 |
| 3. რაფაელ დიასი (ესპანეთი, ონსე) |
| 4. რუი ლავარინასი (პორტუგალია, მილანეზა) |
| 5. აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ესკალტელი) ყველას იგივე დრო |

| საერთო ჩათვლა |
| --- |
| 1. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) 61სთ 36წთ 53წმ |
| 2. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) +25წმ |
| 3. რობერტო ერასი (ესპანეთი, პოსტალი) +2წთ 20 |
| 4. ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი, ბანესტო) +3წთ 19 |
| 5. ლევი ლეიფჰაიმერი (აშშ, პოსტალი) +3წთ 55 |

# სარბიელი და კროკო
# წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. VIII ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ვოლფსბ'ურგი-კაიზერსლა'უტერნი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 18.30 | 002 | ჰერტა-კიოლნი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 18.30 | 003 | ნი'ურნბერგი-ჰამბ'ურგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 004 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.30 | 005 | ზტ. პა'ული-დორტმ'უნდი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 18.30 | 006 | შალკე-კოტბ'უსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 007 | ჰანზა-მი'უნხენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 009 | ბაიერნი-შტუტგარტი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 20.30 | 010 | ლევერკ'უზენი-ფრაიბ'ურგი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 011 | ლევერკ'უზენი-ფრაიბ'ურგი 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. VIII ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | შვაინფ'ურტი-ალემანია | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.00 | 016 | ვალდჰოფი-'უნტერჰახინგი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 017 | ბაბელსბერგი-მაინცი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 018 | აინტრახტი-ფი'ურტი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.00 | 019 | ზაარბრი'უკენი-'უნიონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

**1 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 020 | ალენი-ჰანოვერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). X ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 023 | მაგდებ'ურგი-დი'უსელდორფი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 17.00 | 024 | ქემნიცი-ვატენშაიდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 17.00 | 025 | დრეზდენი-ა'უე | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 17.00 | 026 | ლი'უბეკი-ესენი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 17.00 | 027 | პადერბორნი-კილი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 17.00 | 028 | ვერდერი (მ.)-მი'უნსტერი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 17.00 | 029 | 'ურდინგენი-ლევერკ'უზენი (მ.) | 1,5 | 3,6 | 5,6 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი).

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 033 | ერფ'ურტი-ოფენბახი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 17.30 | 034 | ბ'ურგჰა'უზენი-ანსბახი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 17.30 | 035 | ვეჰენი-აალენი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 17.30 | 036 | ბაიერნი (მ.)-ელვერსბერგი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 18.00 | 037 | კიკერსი-ზიგენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 038 | კაიზერსლა'უტერნი (მ.)-მანჰაიმი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. VIII ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 040 | ბოლტონი-სანდერლენდი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 041 | ჩარლტონი-ლესტერი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 042 | დერბი-არსენალი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 19.00 | 043 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 044 | მიდლსბრო-საუთჰემპტონი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 045 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 3,5 | 3,2 | 1,9 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 046 | ფულემი-ჩელსი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 18.00 | 047 | ნი'უკასლი-ლივერპ'ული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 048 | ასტონ ვილა-ბლექბერნი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 20.00 | 049 | იფსვიჩი-ლიდსი | 3,2 | 3,1 | 2,1 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XI ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 065 | ბრედფორდი-გრიმსბი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 066 | ქრი'უ-ბირმინგემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 067 | კრისტალ პალასი-'უენსდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 068 | ჯილინგემი-ქოვენთრი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 069 | სიტი-'უიმბლდონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 070 | ნოტინგემი-სტოკპორტი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.00 | 071 | როტერჰემი-'ულვერჰემპტონი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 19.00 | 072 | შეფილდი-ნორვიჩი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 073 | 'ოლსოლი-მილ'უოლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 074 | ვესტ ბრომვიჩი-ბარნლი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 075 | 'უოტფორდი-პრესტონი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XI ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 088 | ბლეკპული-'უიგანი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 089 | ბრენტფორდი-კოლჩესტერი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 090 | კემბრიჯი-ქუინზ პარკი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 091 | კარდიფი-ბრაიტონი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 092 | ჩესტერფილდი-ტრანმერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 093 | ჰადერსფილდი-ბრისტოლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 094 | ნორთჰემპტონი-სუინდონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 095 | ოლდემი-ნოტსი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 096 | რედინგი-ბერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 097 | რედინგი-ბერი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 19.00 | 098 | სტოკი-ბორნმ'უთი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 099 | რექსემი-პიტერბრო | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 100 | 'უიკომბი-პორტ ვეილი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XI ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 113 | როჯერსი-ოქსფორდი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 114 | დარლინგტონი-რაშდენი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 115 | ექსეტერი-მაკლსფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 116 | ჰარტლპული-კარლაილი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 117 | ჰალი-ჰალიფაქსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 118 | კიდერმინსტერი-სუონსი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 119 | ლეიტონი-ტორკი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.00 | 120 | ლინკოლნი-იორკი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 121 | პლიმ'უთი-ლ'უტონი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 122 | როჩდეილი-მენსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 123 | სკანთორპი-შრი'უსბერი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. IX ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 124 | გენგამი-მარსელი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 125 | ბასტია-მონაკო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 126 | ლანსი-ოსერი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 127 | ლიონი-რენი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 128 | ლიონი-რენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,2 |
| 23.00 | 129 | მონპელიე-ლორიანი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 130 | ნანტი-მეცი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 131 | სედანი-ლილი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 21.00 | 132 | ტრ'უა-სოშო | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.45 | 133 | ბორდო-პსჟ | 2,4 | 2,8 | 2,9 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. X ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 134 | აიაჩო-ისტრი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 135 | ბოვე-ნიმი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 136 | კაენი-ლე ავრი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.00 | 137 | შატორ'უ-მარტიგი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 138 | კრეტეი-ნიცა | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 23.00 | 139 | გრენობლი-გენიონი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 141 | ნანსი-ნიორი | 1,95 | 2,8 | 4,0 |
| 23.00 | 142 | ვალკეალი-ამიენი | 2,4 | 2,8 | 2,9 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.45 | 143 | სტ. ეტიენი-სტრასბ'ური | 2,4 | 2,8 | 2,9 |

### იტალია. სერია „ა". V ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 144 | იუვენტუსი-რომა | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 145 | ბრეშა-ატალანტა | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 18.00 | 146 | ფიორენტინა-ვენეცია | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 147 | ინტერი-ბოლონია | 1,45 | 3,3 | 7,5 |
| 18.00 | 148 | პერ'უჯა-მილანი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 18.00 | 149 | პიაჩენცა-ტორინო | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 150 | 'უდინეზე-კიევო | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 18.00 | 151 | ვერონა-ლეჩე | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.30 | 152 | ლაციო-პარმა | 1,8 | 3,0 | 4,2 |

### იტალია. სერია „ბ". VI ტური

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 154 | ბარი-კროტონე | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| 18.00 | 155 | ჩიტადელა-ემპოლი | 3,0 | 2,7 | 2,4 |
| 18.00 | 156 | კომო-ანკონა | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 18.00 | 157 | კოზენცა-რეჯინა | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 18.00 | 158 | მესინა-ვიჩენცა | 2,8 | 2,6 | 2,6 |
| 18.00 | 159 | ნაპოლი-კალიარი (ნეიტრ.) | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 18.00 | 160 | პისტოიეზე-მოდენა | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 161 | სამპდორია-პალერმო | 1,75 | 2,8 | 4,7 |

**1 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 162 | სიენა-სალერნიტანა | 2,5 | 2,6 | 2,9 |

### იტალია. სერია „ც1-ა". V ტური

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 163 | ალბინოლეფე-რეჯანა | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 164 | ალძანო-მონცა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 165 | არეცო-პადოვა | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 18.00 | 166 | კარარეზე-ლივორნო | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| 18.00 | 167 | ჩეზენა-ტრევიზო | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 168 | ლეკო-ტრიესტინა | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| 18.00 | 169 | პიზა-სპეცია | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 170 | სპალ-ლ'უკეზე | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 171 | ვარეზე-ლუმეცანე | 1,95 | 2,6 | 4,4 |

### იტალია. სერია „ც1-ბ". V ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 176 | ლოდიჯანი-ვიტერბეზე | 1,85 | 2,7 | 4,7 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 172 | ასკოლი-ტორესი | 1,6 | 2,9 | 7,0 |
| 18.00 | 173 | აველინო-ლანჩანო | 1,5 | 3,1 | 8,0 |
| 18.00 | 174 | დი სანგრო-კოეტი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 175 | ჯ'ულიანოვა-ნოჩერინა | 1,85 | 2,5 | 5,3 |
| 18.00 | 178 | სორა-ბენევენტო | 1,85 | 2,7 | 4,7 |
| 18.00 | 179 | ტარანტო-ფერმანა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 180 | პეზარო-აკილა | 1,75 | 2,8 | 5,0 |

**1 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 177 | პეკარა-კატანია | 1,7 | 2,8 | 5,6 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. V ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 185 | სოსიედადი-ბარსელონა | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 23.30 | 191 | ესპანიოლი-რაიო | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 24.00 | 181 | რეალი-ვალიადოლიდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 182 | რეალი-ვალიადოლიდი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 00.30 | 186 | მალაგა-ბილბაო | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 190 | ოსასუნა-სევილია | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 22.00 | 189 | ტენერიფე-სარაგოსა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.00 | 187 | ბეტისი-ლას პალმასი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 22.00 | 188 | ვალენსია-ალავესი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 22.00 | 184 | მალიორკა-ვილიარეალი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 23.00 | 183 | დეპორტივო-სელტა | 1,75 | 3,1 | 4,2 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. VI ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 197 | ეიბარი-ესტრემად'ურა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 21.30 | 192 | სპორტინგი-ელჩე | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 21.30 | 193 | ბადახოსი-კორდობა | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 21.30 | 194 | ლეგანესი-ხიმნასტიკი | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 22.00 | 201 | 'უელვა-მ'ურსია | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 22.00 | 202 | ნუმანსია-ალბასეტე | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.30 | 200 | სალამანკა-ატლეტიკო | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 24.00 | 196 | ხაენი-რასინგი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 198 | ფეროლი-ოვიედო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 21.00 | 195 | ბ'ურგოსი-სერესი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 21.00 | 199 | ლევანტე-პოლი ეხიდო | 1,6 | 3,0 | 6,5 |

### პორტუგალია. I ლიგა. VII ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 204 | ფერეირა-ბრაგა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 01.00 | 205 | ბეირა მარი-პორტუ | 4,0 | 3,1 | 1,8 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 206 | ვარზიმი-ლეირია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 207 | სალგეირუში-სანტა კლარა | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 23.30 | 208 | ბენფიკა-ალვერკა | 1,4 | 3,8 | 7,5 |
| | 209 | ბენფიკა-ალვერკა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 01.30 | 210 | ბოავიშტა-ფარენსე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 211 | ბოავიშტა-ფარენსე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**1 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 212 | მარიტიმ'უ-ჟილ ვისენტე | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 00.30 | 213 | სპორტინგი-გიმარაეში | 1,45 | 3,5 | 6,0 |

### პორტუგალია. II ლიგა. VII ტური

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 214 | პენაფიელი-ოვარენსე | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.00 | 215 | ნავალი-ოლივეირენსე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.00 | 216 | მორეირენსე-კამპომაიორენსე | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 20.00 | 217 | ნასიონალი-მაია | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 20.00 | 218 | შავეში-ლამაში | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.00 | 219 | ამადორა-ესპინი'უ | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 21.00 | 220 | ავეში-რი'უ ავე | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 01.00 | 221 | აკადემიკა-ლეცა | 1,65 | 3,3 | 4,7 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. VII ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 223 | ტილბ'ურგი-ალკმაარი | 1,6 | 3,6 | 4,0 |
| 22.30 | 224 | პსვ-ვიტესი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.30 | 225 | სიტარდი-ნაიმეგენი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 226 | გრონინგენი-აიაქსი | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| 17.30 | 227 | დენ ბოსხი-ფეიენოორდი | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| 17.30 | 228 | უტრეხტი-ვალვაიკი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 17.30 | 229 | როდა-ჰერენვენი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 17.30 | 230 | სპარტა-ტვენტე | 2,5 | 3,2 | 2,4 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. VII ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 237 | იგლსი-ექსელსიორი | 2,6 | 3,3 | 2,3 |
| 22.30 | 238 | ჰერაკლესი-მაასტრიხტი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 22.30 | 239 | დენ ჰააგი-ვეენდამი | 2,0 | 3,3 | 3,2 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 240 | ვოლენდამი-ტელსტარი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

### ბელგია. I დივიზიონი. VII ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 241 | შარლერ'უა-ბევერენი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 242 | შარლერ'უა-ბევერენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 243 | მოლენბეკი-ვესტერლო | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.00 | 244 | სტ. ტრ'უიდენი-მუსკრონი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 23.00 | 245 | გენტი-ლუვიე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 246 | გენტი-ლუვიე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 247 | ლომელი-ანტვერპენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 23.00 | 248 | ბეერსხოტი-ლიერსი | 1,85 | 3,3 | 3,5 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 249 | ბრი'უგე-გენკი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 250 | ბრი'უგე-გენკი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 251 | აალსტი-ანდერლეხტი | 2,9 | 3,3 | 2,1 |
| 23.00 | 252 | სტანდარდი-ლოკერენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 253 | სტანდარდი-ლოკერენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |

### ბელგია. II დივიზიონი. VII ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 254 | გეელი-დაინცე | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.30 | 255 | მონსი-რონსე | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.00 | 256 | მეხელენი-ინგელმ'უნსტერი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 257 | პატრო-დენდერლე'უ | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.00 | 258 | ჰე'უსდენი-სტრომბეკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 259 | რ'უზელარე-სერკლი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 260 | ვიზეტი-დესელი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 261 | ტინენი-ვირტონი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 262 | ფლაანდერენი-ლიეჟი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### საბერძნეთი. II ტური

**29 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.45 | 263 | ქსანთი-პანაპაიკი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**30 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 264 | ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | 265 | ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 19.00 | 266 | ეთნიკოსი-აკრატიტოსი | 1,7 | 3,0 | 5,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 267 | არისი-იონიკოსი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 19.00 | 268 | აეკ-ეგალეო | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | 269 | აეკ-ეგალეო 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 20.45 | 270 | პანათინაიკოსი-ოფი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 271 | პანათინაიკოსი-ოფი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 22.45 | 272 | ირაკლისი-პაოკ | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | **ჩეხეთი. IX ტური** | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | |
| 21.30 | 274 | სპარტა-იაბლონეცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 275 | სპარტა-იაბლონეცი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 19.30 | 276 | ბრნო-პ.კრალოვე | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.30 | 277 | სინოტი-ბანიკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.30 | 278 | ბლშანი-სლავია | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 19.30 | 280 | ოპავა-ჟიჟკოვი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.30 | 281 | პრჟიბრამი-სიგმა | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | |
| 21.30 | 279 | ლიბერეცი-დრნოვიცე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **პოლონეთი. X ტური** | | | |
| | | **„ა" ჯგუფი.** | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | |
| 19.00 | 283 | ზაგლებე-ოსტროვეცი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 18.30 | 284 | ვისლა-ვიძევი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 285 | ვისლა-ვიძევი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 286 | კატოვიცე-პოლონია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **„ბ" ჯგუფი.** | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | |
| 18.30 | 287 | პოგონი-ამიცა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 288 | გროცლინი-რადომსკო | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 289 | სტომილი-შლიონსკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 20.00 | 290 | ლეგია-რუხი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 291 | ლეგია-რუხი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | | **თურქეთი. VII ტური** | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | |
| [illegible] | 293 | მალათია-რიზე | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 21.00 | 294 | ფენერბაჰჩე-დენიზლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 295 | ფენერბაჰჩე-დენიზლი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 21.00 | 296 | დიარბაქირი-სამსუნი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 17.30 | 298 | გიოზთეფე-იოზგათი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 297 | ბურსა-ისთანბული | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 21.00 | 299 | ბეშიქთაში-ქოჯაელი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 21.00 | 300 | გენჩლერბირლიგი-გალათასარაი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 21.00 | 301 | გაზიანთეფი-ანთალია | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. IX ტური** | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | |
| 19.00 | 302 | დანდი-აბერდინი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 303 | პართსი-დანდი იუნაიტედი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 304 | სტ. ჯონსტონი-მოზერუელი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 16.00 | 305 | რეინჯერსი-სელტიკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 306 | დანფერმლაინი-კილმარნოკი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 307 | ლივინგსტონი-ჰიბერნიანი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. IX ტური** | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | |
| 19.00 | 308 | კლაიდი-რეითი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 309 | ფოლკირკი-როსი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 19.00 | 310 | ინვერნესი-ეარი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 311 | პარტიკი-ერდრი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 312 | სტ. მირენი-არბროთი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. IX ტური** | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | |
| 19.00 | 313 | კლაიდბენკი-სტრანრარი | 1,85 | 3,4 | 3,4 |
| 19.00 | 314 | კოუდენბითი-სტენჰაუზმური | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 315 | ფორფარი-ბერიკი | 1,8 | 3,4 | 3,5 |
| 19.00 | 316 | ჰამილტონი-მორტონი | 1,85 | 3,3 | 3,5 |
| 19.00 | 317 | ქუინი-ალოა | 2,6 | 3,3 | 2,3 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. IX ტური** | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | |
| 19.00 | 318 | ალბიონი-პიტერჰედი | 2,6 | 3,3 | 2,3 |
| 19.00 | 319 | ბრეჩინი-ისტ სტირლინგი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 19.00 | 320 | ისტ ფაიფი-დამბარტონი | 3,2 | 3,3 | 2,0 |
| 19.00 | 321 | ელგინი-მონტროუზი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 322 | სტირლინგი-ქუინზ პარკი | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| | | **ავსტრია. XIII ტური** | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | |
| 18.30 | 323 | რიდი-ბრეგენცი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 18.30 | 325 | ტიროლი-ზალცბურგი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.15 | 324 | შტურმი-აუსტრია | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 18.30 | 326 | ადმირა-გრაცერი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 19.30 | 327 | რაპიდი-კერნტენი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **შვეიცარია. „ა" ჯგუფი. XIII ტური** | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | |
| 19.45 | 329 | იანგ ბოისი-ლოზანა | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 22.30 | 330 | ლუცერნი-აარაუ | 2,6 | 3,1 | 2,3 |
| 22.30 | 331 | სიონი-ქსამაქსი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 19.15 | 332 | გრასჰოპერი-ლუგანო | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.15 | 333 | სტ. გალენი-ციურიხი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | |
| 22.30 | 334 | სერვეტი-ბაზელი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **შვეიცარია. „ბ" ჯგუფი. XV ტური** | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | |
| 20.30 | 335 | კონკორდია-კარუჟი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 336 | დელემონი-ბადენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.30 | 337 | ვინტერთური-ბელინცონა | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 19.15 | 338 | ლოკარნო-ვილი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.15 | 339 | ვადუცი-კრინსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.15 | 340 | ივერდონი-თუნი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| | | **დანია. X ტური** | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 341 | აკადემისკი-ესბიერგი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 18.00 | 342 | ოდენსე-ვაილე | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 18.00 | 343 | კოპენჰაგენი-ლიუნგბიუ | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 18.00 | 344 | ვიბორგი-ოლბორგი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 18.00 | 345 | ორჰუსი-სილკებორგი | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 20.05 | 346 | მიდტიულანდი-ბრიონდბიუ | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| | | **რუსეთი. XXVI ტური** | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 16.00 | 347 | ალანია-სპარტაკი | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 16.00 | 348 | კრილია-როსტსელმაში | 1,55 | 3,0 | 5,6 |
| 16.00 | 349 | ფაკელი-სატურნი | 2,3 | 3,1 | 2,6 |
| 16.00 | 350 | ლოკომოტივი-სოკოლი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 16.00 | 351 | ზენიტი-ცსკა | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | |
| 16.00 | 352 | ანჟი-ჩერნომორეცი | 1,4 | 3,5 | 5,0 |
| 16.00 | 353 | ტორპედო-როტორი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 16.00 | 354 | დინამო-ზილ | 1,55 | 3,3 | 5,0 |
| | | **შვედეთი. XXIII ტური** | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 356 | ჰეკენი-აიკ | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 18.00 | 357 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 18.00 | 358 | იორებრო-ელფსბორგი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 359 | გიოტებორგი-იორგრიტე | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 22.00 | 360 | ნორჩიოპინგი-ჰალმსტადი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 22.30 | 361 | ჰამარბი-მალმიო | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| | | **ნორვეგია. XXIII ტური** | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 19.00 | 363 | ბრინი-სტრიომსგოდსეტი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 364 | მოლდე-ლილესტრიომი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 365 | მოსი-ოდ გრენლანდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 366 | რუსენბორგი-ლინი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 367 | რუსენბორგი-ლინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 368 | ტრომსიო-სოგნდალი | 1,85 | 3,4 | 3,4 |
| 23.45 | 369 | ვიკინგი-სტაბეკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **ფინეთი. XXXII ტური** | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 373 | იოკერიტი-ჯაზი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| | | **30 სექტემბერი** | | | |
| 20.30 | 374 | ინტერი-ვაასა | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 20.30 | 375 | კუოპიო-ლაჰტი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 376 | მიუპა-როვანიემი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 377 | მიუპა-როვანიემი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.30 | 378 | ტამპერე-ჰაკა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | |
| 20.30 | 379 | ჰიკ-ატლანტისი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 380 | ჰიკ-ატლანტისი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი** | | | |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| | | **მატჩი მესამე ადგილისთვის** | | | |
| 00.30 | 481 | არგენტინა-ბურკინა ფასო | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| | | **ფინალი** | | | |
| 03.00 | 482 | საფრანგეთი-ნიგერია | 2,5 | 3,0 | 2,5 |


# თბილისში ამუშავდა „კროკოს" ახალი ბიურო

## მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზირი №91

მალე ფოთში (რკალი, რუსთაველის №18) და გორში (სტალინის ქუჩა №14)

გაიხსნება „კროკოს" ახალი ბიუროები


| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 18.30 | 618 | ვოლფსბურგ-კაიზერსლ. | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 5,0 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.30 | 619 | ჰერტა-კიოლნი | 2,3 | 12,0 | 25,0 | 3,8 | 5,3 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.30 | 620 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.30 | 621 | ვერდერი-მიონხენგლ. | 2,8 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.30 | 622 | ზტ.პაული-დორტმუნდი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 5,0 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 18.30 | 623 | შალკე-კოტბუსი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 5,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 624 | ჰანზა-მიუნხენი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 19.00 | 625 | ბოლტონი-სანდერლენდ. | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 19.00 | 626 | ჩარლტონი-ლესტერი | 2,8 | 11,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 627 | დერბი-არსენალი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 5,0 | 3,8 | 22,0 | 11,0 | 2,6 |
| 19.00 | 628 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 629 | მიდლსბრო-საუთჰემპტ. | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 19.00 | 630 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 5,0 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 23.30 | 631 | იუვენტუსი-რომა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 22.15 | 635 | სოსიედადი-ბარსელონა | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 5,0 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 23.30 | 655 | ესპანიოლი-რაიო | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 5,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | '6,0 |
| 00.30 | 651 | მალაგა-ბილბაო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 24.00 | 632 | რეალი-ვალიადოლიდი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,0 | 6,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 20.30 | 636 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 6,0 | 12,0 | 24,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.30 | 637 | ლევერკუზ.-ფრაიბურგი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 5,3 | 11,0 | 22,0 | 11,0 | 11,0 |
| 16.00 | 638 | ფულემი-ჩელსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.00 | 639 | ნიუკასლი-ლივერპული | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 640 | ასტონ ვილა-ბლექბერნი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.00 | 641 | იფსვიჩი-ლიდსი | 4,7 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 5,0 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 18.00 | 642 | ბრეშა-ატალანტა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 643 | ფიორენტინა-ვენეცია | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 644 | ინტერი-ბოლონია | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 5,0 | 11,0 | 22,0 | 11,0 | 11,0 |
| 18.00 | 645 | პერუჯა-მილანი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,7 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 18.00 | 646 | პიაჩენცა-ტორინო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 647 | უდინეზე-კიევო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.00 | 648 | ვერონა-ლეჩე | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 23.30 | 649 | ლაციო-პარმა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 21.00 | 654 | ოსასუნა-სევილია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 22.00 | 634 | მალიორკა-ვილიარეალი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 22.00 | 650 | ბეტისი-ლას პალმასი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 22.00 | 652 | ვალენსია-ალავესი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 5,0 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 22.00 | 653 | ტენერიფე-სარაგოსა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.00 | 633 | დეპორტივო-სელტა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |

ტურში გატანილი გოლები

29 სექტემბერი 18.30 701 გერმანია (მე-8) 25 და ნაკლები .............. 1,9; 27 და მეტი ..... 1,9

29 სექტემბერი 19.00 702 ინგლისი (მე-8) 25 და ნაკლები .............. 1,9; 27 და მეტი ..... 1,9

29 სექტემბერი 20.15 703 საფრანგეთი (მე-8) 22 და ნაკლები .......... 1,9; 24 და მეტი ..... 1,9

29 სექტემბერი 23.30 704 იტალია (მე-5) 23 და ნაკლები .............. 1,9; 25 და მეტი ..... 1,9

29 სექტემბერი 21.00 705 ესპანეთი (მე-5) 25 და ნაკლები .............. 1,9; 27 და მეტი ..... 1,9

28 სექტემბერი 01.00 706 პორტუგალია (მე-7) 22 და ნაკლები ........ 1,9; 24 და მეტი ..... 1,9

28 სექტემბერი 22.30 707 ჰოლანდია (მე-7) 25 და ნაკლები ............ 1,9; 27 და მეტი ..... 1,9

29 სექტემბერი 23.00 708 ბელგია (მე-7) 26 და ნაკლები .............. 1,9; 28 და მეტი ..... 1,9

28 სექტემბერი 19.30 709 ჩეხეთი (მე-9) 19 და ნაკლები .............. 1,9; 21 და მეტი ..... 1,9

28 სექტემბერი 22.00 710 პოლონეთი (მე-10) 19 და ნაკლები .......... 1,9; 21 და მეტი ..... 1,9

28 სექტემბერი 22.00 711 თურქეთი (მე-7) 24 და ნაკლები .............. 1,9; 26 და მეტი ..... 1,9

# თასის აღება

**901 ჩემპიონთა თასი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 5,0 |
| იუვენტუსი | 5,0 |
| რეალი | 5,0 |
| რომა | 6,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ბაიერნი | 7,0 |
| ლაციო | 7,0 |
| ბარსელონა | 7,0 |
| არსენალი | 10,0 |
| დეპორტივო | 15,0 |
| დორტმუნდი | 20,0 |
| ლევერკუზენი | 25,0 |
| მალიორკა | 30,0 |
| შალკე | 40,0 |
| ანდერლეხტი | 50,0 |
| დინამო | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ნანტი | 50,0 |
| პსვ | 50,0 |
| სელტიკი | 50,0 |
| პორტუ | 50,0 |
| ლიონი | 50,0 |
| ფეიენოორდი | 50,0 |
| ბოავიშტა | 75,0 |
| რუსენბორგი | 75,0 |
| ფენერბახჩე | 75,0 |
| ლილი | 75,0 |
| სპარტაკი | 75,0 |
| ლოკომოტივი | 100,0 |
| პანათინაიკოსი | 100,0 |
| ოლიმპიაკოსი | 100,0 |
| სპარტა | 100,0 |

**902 უეფას თასი**

| | |
|---|---|
| მილანი | 5,0 |
| ინტერი | 5,0 |
| ლიდსი | 5,0 |
| ჩელსი | 5,0 |
| ვალენსია | 5,0 |
| პარმა | 7,0 |
| სელტა | 10,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| აიაქსი | 20,0 |
| ფიორენტინა | 25,0 |
| ასტონ ვილა | 25,0 |
| პსჟ | 30,0 |
| ბორდო | 40,0 |
| სარაგოსა | 40,0 |
| რეინჯერსი | 40,0 |
| ფრაიბურგი | 40,0 |
| იფსვიჩი | 40,0 |
| ტრუა | 50,0 |
| სედანი | 50,0 |
| სპორტინგი | 50,0 |
| ბრიუგე | 50,0 |
| სტრასბური | 75,0 |
| სტანდარდი | 75,0 |
| უნიონი | 75,0 |

# რაგბის აქსიომა: იაზროვნე! ჩვენ მზად ვართ

***არ გვეგულება პიროვნება, რაგბის დიდ ოჯახში ტრიალებდეს და თემურ ბენდიაშვილს არ იცნობდეს. წარსულში შესანიშნავი მორაგბე, დღეს კი ცნობილი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელია. თემურ ბენდიაშვილს იცნობენ, როგორც თავის საქმის უზადო მცოდნეს და მრავალი სახელოვანი მორაგბის აღმზრდელს. რკინიგზელთა თავკაცს ბევრი ეკითხება რჩევას და მის სიტყვას უდიდეს პატივს სცემენ. ბენდიაშვილი დღეს ქართული რაგბის ავანჩავანზე გვესაუბრება და სპორტის ამ სახეობის მისეულ ხედვაზე მოგვითხრობს.***



თემურ ბენდიაშვილი

### ეროვნული ჩემპიონატი

ჩემი აზრით, ჩემპიონატი ისეთი გვაქვს, როგორ პირობებშიც არიან კლუბები. დღეს უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდებს მინიმალური პირობები აქვთ. ასე თუ ისე დალხენილად ბათუმის „დათვები“ არიან, სხვას სავარჯიშო მოედანიც კი არ გააჩნია. გარდა ამისა, ჩემპიონატის დონეზე დიდ გავლენას ახდენს მორაგბეების მიგრაცია. ეს გარდაუვალი პროცესია და უნდა შევეგუოთ. არის კიდევ მსაჯობის პრობლემა. ვერ ვიტყვი, რომ დღეს მსაჯები ჩემპიონატს აფუჭებენ, თუმც მოწოდების სიმაღლეზე ნამდვილად არ დგანან. მსაჯი, უპირველეს ყოვლისა, მორაგბე უნდა იყოს, სწორად და სწრაფად ერკვეოდეს სიტუაციაში, წვდებოდეს რაგბის პრინციპებს. რაგბი წლიდან წლამდე ვითარდება და სახეს იცვლის. შესაბამისად იცვლება წესები. მსაჯი არ უნდა ჩამორჩეს დროს, უნდა მიჰყვეს დინებას. დღეს რომ მსაჯობა დაბალი დონისაა, ეს იმის ბრალია, რომ ჩვენმა მსაჯებმა ძალიან დაბალი საფეხურიდან დაიწყეს და ჯერ კიდევ არ დაუძლევიათ გრძელი და რთული გზა.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა სტადიონების არქონაა. ფაქტობრივად, ორი ნორმალური მოედანია მორაგბეების განკარგულებაში — ერთი ბათუმში და ერთიც თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში. არა და არ დაადგა საშველი ვაკეში მშენებარე სტადიონის დასრულებას. ახლა „ლოკომოტივის“ სტადიონის სათადარიგო მოედანზეა ლაპარაკი. ეს ის კერაა, სადაც 1961 წლიდან თაობები გაიზარდა და ამ ადგილის დაკარგვა დანაშაული იქნება. ძალიან მინდა, დავრწმუნდე, რომ რკინიგზის დეპარტამენტის უფროსი აკაკი ჩხაიძე კარგად დაწყებულ საქმეს აუცილებლად დაასრულებს. შეიძლება იქ კოხტა სპორტული კომპლექსი გაკეთდეს რამდენიმე მოედნით. თუ ვერ ახერხებენ, მოგვცენ მორაგბეებს და ჩვენ მოვუვლით.

ეს ის უმთავრესი პირობებია, რომელთა მოგვარების შემდეგ ჩემპიონატის დონე საგრძნობლად აიწევს და სავიშვიშოდ აღარ გვექნება საქმე.

### კლუბები

[illegible]ნის დასაწყისში ვფიქრობდი, რომ ქუთაისის „აიას“ რამდენიმე წელი დასჭირდებოდა, მოწინავეთა შორის დასამკვიდრებლად. საბედნიეროდ, ახალგაზრდა და გამოუცდელმა „აიამ“ მალევე აუღო ალღო ჩემპიონატს და აგერ, ბატონო, ოთხეულშიც შეაღწია.

ქუთათურები განსაკუთრებით კარგად შინ ასპარეზობენ. მათ საკუთარ მოედანზე ყველა მეტოქეს მოუგეს. არავის ეგონოს, რომ ქუთაისიდან დაგეგმილ ორ ქულას წამოიღებს. ახლა, რა თქმა უნდა, „აია“ გვარიანად დასუსტდა. წამყვანმა მორაგბეებმა საფრანგეთს მიაშურეს, თუმც ქუთაისში ყოველთვის გამოიძებნება რეზერვი ვაკუუმის შესავსებლად.

მორაგბეთა მიგრაციამ საგრძნობლად აზარალა „ყოჩებიც“. ექსჩემპიონებმა ძირითადის რამდენიმე მორაგბე დაკარგეს. ყველაზე დიდი დანაკლისი კი, ჩემი აზრით, ახალგაზრდა და პერსპექტიულ გიორგი კაჭარავას წასვლა იყო. ეს ბიჭი საკმაოდ კარგად მოერგო მე-10 ნომრის პოზიციას და თავისი გუნდის შეტევებს გააზრებულად წარმართავდა. „ყოჩების“ არადამაჯერებელი თამაში სწორედ კაჭარავას წასვლამ განაპირობა. ამირან თეზელაშვილი ახლა გამოცდილ ვეტერანებს ცდის ამ პოზიციაზე. სპირიდონ ლიპარტელიანი, შალვა ჯანელიძე და ირაკლი გიორხელიძე — აი, ის ხალხი, ვინც დააყენა მწვრთნელმა მე-10 ნომრად. ვფიქრობ, კარგი ათი ნომერი ძნელი საპოვნელია და ექსპერიმენტები კიდევ გაგრძელდება.

ფაქტობრივად ახალი გუნდის კეთება მოუწევს ლევან მგელაძეს. „დათვებმა“ ძირითადის რამდენიმე ძლიერი მორაგბე მიავლინეს საფრანგეთში. კახა მაჩიტიძე, გიგა გურეშიძე, დავით აშვეთია და კახა უჩავა ამინდს ქმნიდნენ ბათუმურ კლუბში. განსაკუთრებით მტკივნეული კახა მაჩიტიძის წასვლაა. იგი მარტო იგებდა თამაშებს. ლევან მგელაძე ახლა ცდილობს, ეს დანაკლისი შეავსოს, მაგრამ უკვე სხვა პოზიციებზე აკლდება მორაგბეები. თუმც შევსებაც სოლიდური მიიღეს „დათვებმა“ კახა კობახიძის სახით. კობახიძე ერთ-ერთი უძლიერესი მორაგბეა საქართველოში და ხშირ შემთხვევაში ორი კაცის საკეთებელს მარტო აკეთებს.

რაც შეეხება „ლოკომოტივს“, არც ჩვენ გვაქვს კარგად საქმე. ძალიან დავსუსტდით შეტევაში. ვინც წავიდა, ფაქტობრივად ყველა ფორვარდია. ამას ტრავმებიც დაერთო. ძნელია, ასეთ ხანმოკლე პერიოდში სრულფასოვანი ცვლა მოძებნო, მადროვეთ ათი დღე და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

### ტაქტიკა

დღეს ქართველი მწვრთნელები ფართო არჩევანით არ ვართ განებივრებული. მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ არსებული ყველა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით თვალს ვადევნებთ რაგბის განვითარებას.

რაც გადმოვიღეთ ფრანგებისგან, ეს შეტევის განხორციელებაა. დღეს ყველა ქართული კლუბი იერიშის რამდენიმე ფაზას კარგად აკეთებს. ვისწავლეთ მოედნის შევსება, ანუ გაშლილი თამაში. ასევე დაიხვეწა ეგრეთ წოდებული „ფრანგული სტილი“: გუნდი იწყებს შეტევას, მიიტანს მძლავრ იერიშს მეტოქეზე ერთ ფაზად, შემდეგ ხდება ბურთის დაუყოვნებლივ გადაცემა უკანა ხაზისთვის და მისი სწრაფად გათამაშება. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს დროის მინიმალურ მონაკვეთში. ტაქტიკურად სწორად ვთამაშობთ დაცვაში და თავდასხმაში, ოღონდ ეს მოითხოვს თხუთმეტივე მორაგბის ინდივიდუალურ ოსტატობას, ამასთან გუნდი უნდა იყოს შეთამაშებული, ორგანიზებული, უნდა აზროვნებდეს როგორც ერთი მთლიანი სუბიექტი. აი, აქ კი მოვიკოჭლებთ, რაც, ჩემი აზრით, შეუთამაშებლობის ბრალია. პრობლემის რომ ჩავუღრმავდეთ, ისევ პირობების არქონას მივადგებით.

საბედნიეროდ, ჩვენში ყოველთვის მოიძებნება ჯანიანი ახალგაზრდა. შერკინებაში დღეს არ გვაქვს შესამჩნევი პრობლემები. არიან მაღალი, მხტომელი მორაგბეები, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ, მოიგონ დერეფანი. კარგი საკვანძო მორაგბეები არიან შერკინებასა და ხაზს შორის. მე-9 ნომრებს დროულად გამოაქვთ ბურთი და აწვდიან სამმეოთხედელებს, მაგრამ ისინი შეტევას სწორად არცთუ ხშირად აგრძელებენ.

დღეს ყველა მწვრთნელს შეუძლია, თანამედროვე რაგბის პრინციპები დანერგოს საქართველოში. ამისთვის მზად ვართ, ოღონდ მთავარია, როგორ განვახორციელებთ რეალობაში. მორაგბეებიც მზად არიან, პირობები რომ იყოს. არ არის მოედნები, საათნახევრიანი ვარჯიში არასაკმარისია, არ არის შესაძლებლობები, დავჯდეთ მატჩის შემდეგ და იგი დეტალურად გავარჩიოთ.

### ნაკრები

ნაკრები აღმავლობის გზაზე დგას, ეს უდავოა. ევროპის ერთა თასის მოგებამ ერთობ აამაღლა ჩვენი იმიჯი. აგერ საფრანგეთის „ა“ ნაკრებმაც გამოთქვა სურვილი, გაგვეჯიბროს, ეს დიდი მიღწევაა, ამ დონის მატჩი თბილისში არ გამართულა. ძალიან წაგვადგება ფრანგებთან დაპირისპირება.

ხუთი მატჩიც რომ ვეეთამაშოთ ერთ სეზონში იგივე რუმინეთს, ესპანეთს ან რუსეთს, ეს ბევრს არაფერს მოგვცემს. ფრანგებთან ჩატარებული ერთი მატჩიც კი დიდ გამოცდილებას შეგვძენს. ახლა უადგილოა ნაკრების სუსტ მხარეებზე ილაპარაკო, როდესაც რუმინეთს სტუმრად მოუგე და ევროპის ერთა თასი მოიპოვე, მაგრამ შედეგის მიუხედავად, გაცილებით უკეთ შეგვიძლია თამაში. რუმინელებს თამაშით დუბლინში უფრო ვაჯობეთ, ვიდრე ბუქარესტში, მაგრამ დუბლინში დავმარცხდით ტაქტიკური შეცდომების გამო. ჩემი აზრით მაშინ კახა მაჩიტიძე არ უნდა შეეცვალათ. ამ შეცვლამ ყველაფერი არია. ბუქარესტში კი უპირატესობას რუმინელები ფლობდნენ, მაგრამ მომენტები ვერ გამოიყენეს. ჩვენ კი ყველა შესაძლებლობა ქულად ვაქციეთ. ამაში თავად კლოდ სორელიც დამეთანხმა. ამის გარდა საჭიროა ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე მორაგბეების მიწვევა ნაკრებში. ზოგ მათგანს ოჯახი ჰყავს და სამსახური აქვს. ამიტომ ვერ ახერხებენ საფრანგეთში წასვლას. ამის გამო არ უნდა ვთქვათ ამ ბიჭებზე უარი. ნაკრებში უნდა მიიწვიონ ის, ვინც ღირსია. რაღაც მიზეზების გამო აქ მოთამაშე მორაგბეები არ უნდა დაიჩაგრონ. ზოგი მათგანი გამოცდილებით და ოსტატობით სჯობია კიდეც ნაკრების წევრებს. ჩემი აზრით, კახა კობახიძე ნაკრების ღირსია. მერწმუნეთ, იგი ძალიან ძლიერი მორაგბეა. გული მწყდება, რომ ისეთი მორაგბე დაიკარგა, როგორიც გია რაფავაა. მას თავისებური მიდგომა სჭირდებოდა. საქართველო იმდენად პატარა ქვეყანაა, რომ ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს.

### აზროვნება

რაგბიში დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის ინტელექტს და აზროვნებას. რაც უნდა ძლიერი იყო ფიზიკურად და გქონდეს მონაცემები, თუ ვერ აზროვნებ, ვერაფერს მიაღწევს. მაგალითად მინდა მოვიყვანო ახალი ზელანდია. იქაური სკოლა ერთ-ერთი უძლიერესია მთელ მსოფლიოში, მაგრამ აგერ უკვე რამდენი ხანია, „შავებმა“ ვერაფერი მოიგეს. ისინი ავსტრალიელთა ჩრდილში მოექცნენ. რატომ? იმიტომ რომ ახალ ზელანდიაში ნომერ პირველი სპორტი რაგბია და მთელი სახელმწიფო მასზე მუშაობს. შესაბამისად ამ ქვეყანაში დაიხარჯა დიდი თანხები რაგბის გასავითარებლად, მაგრამ არა გათვლით, არამედ პრინციპით — „ოღონდ იყოს შედეგი და დანარჩენი მერე ვნახოთ“. კი ბატონო, გახდა ახალი ზელანდია გრანდი, მოიგო მსოფლიოსა და სამი ერის თასი, აქვს უამრავი ტიტული, მაგრამ სად არის ბოლო წლებში? ახალ ზელანდიას ურალოდ სძინავს. მას აღარ აქვს ინტელექტუალური რეზერვი ახალი სტილის, სხვა სიახლეების შემოსატანად. დარჩნენ მიღწეულზე და ისევ ძველ რაგბის თამაშობენ.

ამ დროს რა ხდებოდა ავსტრალიაში? უპირველეს ყოვლისა, ქვეყანა განვითარდა, აიწია ინტელექტუალობის კოეფიციენტმა, ბრიტანულმა გენებმა თავისი ქნა და შედეგიც სახეზეა. ისინი არ ჩერდებიან და წინ მიიწევენ იმიტომ, რომ აზროვნებენ, ებადებათ ახალი იდეები. ავსტრალია უეჭველად დიდ პროგრესს განიცდის, ახალი ზელანდია კი რეგრესს. ეს გლობალურად.

ახლა ავიღოთ კონკრეტული მაგალითი. ჯონა ლომუ უძლიერესი მორაგბეა მთელ მსოფლიოში. უნაკლოა თავდასხმაში, მაგრამ ძალიან სუსტი დაცვაში. რატომ? იმიტომ რომ ვერ არჩევს სწორ პოზიციას, ვერ აკონტროლებს სიტუაციას. ესე იგი, ვერ აზროვნებს. მორაგბე უპირველეს ყოვლისა დაცვაში თამაშით იზომება. ხშირად როდესაც ჩემს შეგირდებს შენიშვნას მივცემ, მეკითხებიან ჩემს პოზიციაზე ვიდექი და სხვა რა უნდა მექნაო? მთავარი ის კი არ არის, სად იდგები, არამედ კონკრეტულ მომენტში იქ გაჩნდე, სადაც ამას თამაშის მიმდინარეობა მოითხოვს. აი, ეს არის აზროვნება და არა ის, რომ დაპროგრამებულივით კონკრეტული ზონა გაამაგრო.

ძალიან არ მომწონს გამოთქმა — შავი სამუშაო. თუ მორაგბე დაუღალავად აკეთებს საქმეს, დარბის წინ და უკან და ამ დროს არ ჩანს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შავ სამუშაოს აკეთებს. ეს ჩემი აზრია და შემიძლია, ნებისმიერ სპეციალისტს ვეკამათო. არის კიდევ ერთი მომენტი, რაზეც არ ვეთანხმები ზოგიერთ სპეციალისტს. ბევრი შერკინებისა და უკანა ხაზის თამაშს ცალ-ცალკე განიხილავს. ეს იყო ადრე, საბჭოურ პერიოდში. ჩემი აზრით, შერკინებაც და სამმეოთხედელებიც ერთი მთლიანი ორგანიზმია, რომლის ერთი ფუნქციის დარღვევაც პარალიზებას გამოიწვევს. ძნელია შერკინება ააწყო, იქ ერთი პატარა ნიუანსიც რომ მოიშალოს, ჩათვალე რომ მექანიზმი გამართულად ვეღარ იმუშავებს. უკანა ხაზში კი ნაკლები პრობლემებია. ერთი მაღალი დონის მორაგბეც საკმარისია უკანა ხაზის თამაშის გასამართად. შერკინებაში ეს არ კმარა. ამიტომ ეს ორივე რგოლი ერთ მთლიანად უნდა განიხილო და ურთიერთდაზღვევაზე იმუშავო.

**თემურ ბენდიაშვილი**
***თბილისის „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი***



2001 წლის 7 აპრილი. ბუქარესტი. რუმინეთი — საქართველო 20:31. საქართველოს ნაკრების ყველაზე დიდი გამარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა



# F1

მეთექვსმეტე ეტაპი — აშშ-ის დიდი პრიზი

## მოტორ სპიდვეი

*ინდიანაპოლისი, 30 სექტემბერი*



ტრასის სიგრძე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4.192 კმ
რბოლის დისტანცია . . . . . . . . . . . . . . . . 73 წრე — 306.016 კმ

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 23 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 ფრენცენი (ჯორდანი); 4 ვილნევი (BAR); 5 კულჰარდი (მაკლარენი); 6 ზონტა (BAR)

**წრის რეკორდი:** 2000 — კულჰარდი (მაკლარენი) 1:14.711 (201.994 კმ/სთ)

# ამერიკული ეტაპი მაინც ჩატარდება



REUTERS

ინდიანაპოლისი ხვალ მეორედ უმასპინძლებს ფორმულის ეტაპს

**ვაშინგტონსა** და ნიუ იორკში მომხდარი უბედურების გამო ამერიკული ეტაპის გამართვა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ოკეანის გაღმაც და ევროპაშიც ბევრნი, მათ შორის რამდენიმე პილოტიც რბოლის გაუქმების მომხრენი იყვნენ. მაგრამ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობამ პრინციპული პოზიცია დაიკავა და მთელ დედამიწაზე უძველესი ავტოდრომის სახეცვლილი „ოვალი“ ხვალ მეორედ უმასპინძლებს „სამეფო რბოლების“ წარმომადგენლებს.

ბუნებრივია, არაჩვეულებრივად გამკაცრდა კონტროლი და ალბათ გაასკეცებული ყურადღება მიექცევა მაყურებლებისა და მონაწილეების უსაფრთხოების დაცვას. ის კი არა, ინდიანაპოლისში მიხაელ შუმახერის გადაფრენის დრო და მარშრუტიც გასაიდუმლოებული იყო. ოთხგზის ჩემპიონი ამჯერად მარტო, მეუღლის გარეშე გაემგზავრა ორი პირადი მცველის თანხლებით.

უამრავი დამცავი ღონისძიებების მიუხედავად, მაინც ცუდადაა ბილეთების რეალიზაციის საქმე. შარშან სადებიუტო რბოლის სანახავად თითქმის 200 000 გულშემატკივარი მივიდა. ორგანიზატორები შეშფოთებას გამოთქვამენ, რომ ამჟამად მაშინდელის მხოლოდ სანახევრო რაოდენობა თუ დაესწრება 52-ე ჩემპიონატის ბოლოსწინა დიდი პრიზის გათამაშებას. მით უფრო, რომ ახალი საუკუნის პირველი ტრიუმფატორის ვინაობა უკვე კარგა ხანია, გაირკვა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ახლა მთავარი ყურადღება მეორე ადგილისთვის ბრძოლისკენაა მიქცეული. ვიცე-ჩემპიონობაზე სამნი აცხადებენ პრეტენზიას. წინ კვლავ დევიდ კულჰარდია, მაგრამ არც იმდენით, როგორც ადრე. რუბენს ბარიკელო მას სამი ქულით ჩამორჩება, რალფ შუმახერი — ცხრით, ასე რომ, დარჩენილ ორ რბოლაში ყველაფერია მოსალოდნელი. ბარიკელო ერთი კვირის წინ მამა გახდა. მეუღლე სილვანამ რუბინიოს ვაჟიშვილი აჩუქა. ახალშობილს ედუარდი დაარქვეს. ასეთი დოპინგით ფრთაშესხმული ფერარელი ხვალ ეტყობა, ლომივით იბრძოლებს.

მიკა ჰაკინენი, რომელიც წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ ფორმულიდან მიდის, გუშინ 33 წლის შესრულდა. ასაკით იგი მეხუთეა ჟან ალეზის (37), ედი ირვინის (35), ოლივიე პანისა (34) და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის (34) მერე. ალეზი ხვალ მეორასედ (!) გავა სტარტზე. ფორმულის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში მეტჯერ მხოლოდ ოთხ პილოტს ურბოლია — რიკარდო პატრეზეს (256), გერჰარდ ბერგერს (210), ანდრეა დე ჩეზარისს (208) და ნელსონ პიკეს (204).

წინა, იტალიურ ეტაპზე ორი ახალბედა გამოჩნდა — 25 წლისანი, ჩეხი ტომაშ ენგე და მალაიზიელი ალექს იონგი. მათ ბრაზილიელები, შესაბამისად ლუჩანო ბურტი („პროსტი“) და ტარსო მარკეში („მინარდი“) შეცვალეს. ამრიგად, „სამეფო რბოლებში“ მოასპარეზეთა რაოდენობა 591-მდე გაიზარდა. სხვათა შორის „მინარდი“ თერთმეტ გუნდს შორის, ერთადერთია, ვისაც ჯერ ქულაც ვერ მოუპოვებია.

ამერიკელთათვის საკულტო, ინდიანაპოლისის 500-მილიან მარათონში დღევანდელ მრბოლთაგან მხოლოდ ჟაკ ვილნევსა (1995) და ხუან პაბლო მონტოიას (2000) გაუმარჯვიათ. რომელიმე მათგანი წარმატების შემთხვევაში ისტორიაში შევა, როგორც ამ ლეგენდარულ ავტოდრომზე ორი სხვადასხვა შეჯიბრების მომგები.

**გია ახალაძე**



# NHL სეზონის წინ

## ცენტრალური დივიზიონი

### ჩიკაგო ბლექჰოქსი

**მოვიდნენ:** ფორვარდები სტივ ტომასი, იგორ კოროლიოვი; მცველი ჯონ კლემი
**წავიდნენ:** მცველი სტეფან ქუინტალი

1997 წელს დეტროიტის გაჩემპიონების შემდეგ ჩიკაგო გახდა ლიგის ანტირეკორდის მფლობელი — 35 წლის განმავლობაში ვერ მოიპოვა სტენლის თასი. მომდევნო სეზონში კი „ქორებმა“ კიდევ ერთი უსიამოვნება განიცადეს, ზედიზედ 28 სეზონის შემდეგ, რაც ასევე ლიგის რეკორდია, პლეი ოფს მიღმა დარჩნენ. ამის შემდეგ ჩიკაგო სულ უფრო და უფრო დაქვეითდა. სასიკეთო ძვრები არ შეინიშნება და საეჭვოა, დამდეგ სეზონში შეიცვალოს რამე, თუმც სიახლე მაინც არის. ზაფხულში გუნდის თავკაცი სატერების სახელგანთქმული დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ბრაიანი გახდა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩიკაგო ისევ უნებისყოფო და ინერტული გუნდი აღარ იქნება და მეტოქეებს „ქორებთან“ ბრძოლა გაუჭირდებათ. გუნდმა ხომ წინა სეზონში რბილი ხასიათის მქონე მწვრთნელის, ფინელი ალპო სუჰონენის ხელში ერთადერთი დამახასიათებელი თვისება — სიხისტე და მებრძოლი სულიც დაკარგა. სატერთან ერთად სტივ ტომასი და ჯონ კლემი მივიდნენ, რომელთაც გარკვეულწილად უნდა გააძლიერონ ჩიკაგო. ყოველ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ბრძოლის უნარს მაინც შეჰმატებენ. სამაგიეროდ, „ქორების“ ლიდერ ტონი ამონტეს ჯერაც არ გაუხანგრძლივებია კონტრაქტი და სულაც არაა გამორიცხული, გაიფიცოს.

### კოლუმბუს ბლუ ჯეკეტსი

**მოვიდნენ:** ფორვარდები მაიკ სილინჯერი, გრანტ მარშალი
**წავიდნენ:** არავინ

წინა, სადებიუტო სეზონი კოლუმბუსს აშკარად გამოუვიდა. არავინ ელოდა, რომ საშუალო დონის მოთამაშეებისგან შემდგარი გუნდი პლეი ოფში გასვლისთვის იბრძოლებდა. ერთბაშად 9 კოლუმბუსელმა გასულ სეზონში შედეგიანობის რეკორდი დაამყარა, მაგრამ ლომის წილი წარმატებაში მაინც მეკარეებს ეკუთვნით. რონ ტაგნატი გაშვებული გოლების რაოდენობით (2,44 ერთ მატჩში) მესამეა ლიგაში, ხოლო ახალგაზრდა მარკ დენის სადებიუტო სეზონი არ ჩაუფლავებია და ახალი თაობის მეკარეთა შორის უეჭველად ერთ-ერთი გამორჩეულია.

ურიგოდ არც კლუბის სანდერსონ-კნუტსენ-კრონის პირველი სამეული გამოიყურებოდა. სანდერსონმა, მიუხედავად კლუბის ნაკლებშედეგიანობისა, 30 გოლი მიითვალა. ახალწვეული მაიკ სილინჯერი და გრანტ მარშალი კი მეორე რგოლს გააძლიერებენ. ისე, წინა სეზონის წარმატებამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენაც მოახდინოს, ამიერიდან ხომ კოლუმბუსს მეტოქეები მეტ ყურადღებას მიაქცევენ.

### დეტროიტ რედ უინგსი

**მოვიდნენ:** მეკარე დომინიკ ჰაშეკი; მცველი ფრედრიკ ოლაუსონი; ფორვარდები ლუკ რობიტაილი, ბრეტ ჰალი, პაველ დაციუკი
**წავიდნენ:** ფორვარდები მარტინ ლაპოინტი, ვიაჩესლავ კოზლოვი, პეტ ვერბიკი; მცველები ლარი მერფი, აარონ უორდი, ტოდ გილი

ბოლო ხანს ლიგაში ერთი ტრადიცია დამკვიდრდა — სტენლის თასს ის გუნდები იგებენ, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. თუნდაც ბოლო პლეი ოფი გაიხსენეთ, სადაც გამარჯ[illegible] მაგალითებს მკითხველი თავადაც გაიხსენებს). თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, წლეულს თასი სწორედ დეტროიტმა უნდა მოიგო[illegible] ზაფხულში გუნდში დომინიკ ჰაშეკი, ბრეტ ჰალი და ლუკ რობიტაილი მივი[illegible], ბრწყინვალე ჰოკეისტები, რომლებსაც დაბევებული აქვთ ადგილი დიდების დარბაზში, მაგრამ კარიერის მიწურულს დიდი გამარჯვება ჰაერივით სჭირდებათ. ამ სამეულს ხომ ჯამში მხოლოდ ერთი საჩემპიონო ბეჭედი აქვს (მისი პატრონი ჰალი გახლავთ). განსაკუთრებით მოწადინებული ჰაშეკი უნდა იყოს. „დომინატორმა“ თავის ბრწყინვალე კარიერაში თითქმის ყველაფერი მოიგო (ოლიმპიადა, მსოფლიოს ჩემპიონატი, ნჰლ-ის მთავარი ინდივიდუალური პრიზები), მაგრამ თასი კვლავაც ოცნებად რჩება. ახლა როგორც იქნა, ჩეხი ძლიერ გუნდში გადაბარგდა. თავის მხრივ დეტროიტსაც ბოლო სამ სეზონში სწორედ მეკარეთა სუსტმა თამაშმა შეუშალა ხელი, ნჰლ-ის დინასტიად ქცეულიყო. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როცა კლუბმა ამ დღეებში ჰაშეკის წინამორბედი კრის ოსგუდი გასაყიდად წარადგინა. ასეა თუ ისე, სადღეისოდ დეტროიტს სხვა გზა არ დარჩენია, ან ჩემპიონი უნდა გახდეს, ანაც ახალი გუნდი ააშენოს, რასაც, ალბათ, ახალი თავკაცები სჭირდება. 70-ს მიახლოვებული სკოტი ბოუმენი ხომ ამჯერად ნამდვილად აპირებს კარიერის დასრულებას. წარუმატებლობის შემთხვევაში გუნდი ვერც ყველა სახელოვან ვეტერანს შეინარჩუნებს, მისი ბიუჯეტი ისედაც გადატვირთულია.

### ნეშვილ პრედეტორსი

**მოვიდნენ:** ფორვარდი სტიუ გრიმსონი
**წავიდნენ:** ფორვარდი რენდი რობიტაილი

ზემოხსენებულმა კოლუმბუსმა სწორედ ნეშვილის მაგალითს უნდა მიჰბაძოს. „მტაცებლები“ სამი სეზონის განმავლობაში სულ უფრო და უფრო უმატებენ და უახლოვდებიან საწადელს — პლეი ოფში გასვლას. ასე რომ, წლეულს სწორედ ამისთვის იბრძოლებენ. სხვა ახალი კლუბების დარად, ნეშვილს ვარსკვლავები არ ჰყავს, მაგრამ ამ სეზონში ეგებ სხვაგვარად იყოს, რადგან მეკარე მაიკ დანემმა საუცხოოდ ჩაატარა გასული პირველობა და აშშ-ის ოლიმპიურ ნაკრებშიც კი მიიწვიეს. თუ ასე გააგრძელებს, მის სახელს უთუოდ ელიტაში მოიხსენიებენ.

გუნდის მთავარი პრობლემა შედეგიანობის გაზრდაა. დროა, მისი ახალგაზრდა ლიდერები — დევიდ ლეგვანდი და გრეგ ჯონსონი ვეტერან კლიფ რონინგის ჩრდილიდან გამოვიდნენ.

### სენტ ლუის ბლუზი

**მოვიდნენ:** ფორვარდები დუგ უეიტი, მაიკ კინი, მიხაელ რიზენი; მცველი რიჩ პილონი, მეკარე ფრედ ბრეტუეიტი
**წავიდნენ:** ფორვარდები პიერ ტარჟონი, იოჰენ ჰეხტი, მარტი რიზონერი, ლუბოშ ბარტეჩკო; მეკარე რომან ტურეკი

ვინ იცის, იქნებ მაის-ივნისში „ბლუზმენების“ მესვეურებმა ინანონ კიდეც, გასულ წელს დომინიკ ჰაშეკი ხელიდან რომ გაუშვეს. სწორედ სენტ ლუისი ითვლებოდა სუპერჩეხისთვის ბრძოლის მთავარ ფავორიტად, მაგრამ ბოლო მომენტში დეტროიტმა აჯობა. არადა, სენტ ლუისმაც გაიარა ის დამახასიათებელი გზა, რომლის შემდეგაც ბოლო წლების ყველა ჩემპიონმა მიაღწია საწადელს — ერთი-ორჯერ რეგულარულ ჩემპიონატში გაბრწყინება და პლეი ოფში მოულოდნელი კრახი, შემდეგ პირველი თუ მეორე რაუნდის გადალახვა და ბოლოს თასი. დასანანი იქნება, თუ გუნდი თასისთვის სწორედ მეკარეთა სისუსტის გამო ვერ იბრძოლებს. ახალწვეული ფრედ ბრეტუეიტის და გამოუცდელი ბრენტ ჯონსონის დუეტი სულაც არ ჰგავს იმ ძალას, რომელსაც გუნდი დიდი მწვრთნელების დასაპყრობ ბრძოლაში უნდა დაენდოს. მრავალ ღირსებასთან ერთად მათ აქვთ ნაკლიც — გამოცდილება არ ეყოფათ სათასო ბატალიებში, ვერც სტაბილურობით მოიწონებენ თავს. არადა, მთლიანობაში გუნდი ბრძოლისუნარიანი ჩანს: დაცვა, რომელსაც კრის პრონგერი და ელ მაკინისი წინამძღოლობს, აგრესიული (ამ სიტყვის კარგი გაგებით) ფორვარდები და, რა თქმა უნდა, ახალი შემტევი დუეტი დუგ უეიტისა და 2001 წლის დედლაინზე შეძენილ კეიტ ტკაჩუკის სახით. იმედია, სეზონის მსვლელობისას გუნდის მესვეურები მაქსიმალურად შეეცდებიან, ეს ჩინებული ანსამბლი სათანადო დონის მეკარით გააძლიერონ, რაც თასისთვის ბრძოლას კიდევ უფრო საინტერესოს გახდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ნიუ იორკიდან

# კინგის ხელდასხმით

დღეს „მედისონ სკვერ გარდენში“ საშუალო წონის საჩემპიონო კრივია: ერთმანეთს ბერნარდ ჰოპკინსი და უძლეველი პუერტორიკოელი ფელიქს ტრინიდადი (მარჯვნივ) შეეყრებიან. ეს დიდი ბრძოლა, რა თქმა უნდა, გაქნილ დონ კინგის მოწყობილია. პრესკონფერენციაზე კი მრავლად იყო უკბილო ხუმრობანი და მდარე წარმოდგენანი, ასე რომ უყვართ მოკრივეებს.

# ქარიმი გაწვრთნის

„ინდიანა პეისერზის“ მწვრთნელს, ლეგენდარულ აიზია ტომასს საგანგებო მწვრთნელი მოუწვევია თავისი ცენტრების მოსალონიერებლად. ეს მწვრთნელი კი სხვა არავინაა, თუ არა ლეგენდარულზე ლეგენდარული ქარიმ აბდულ ჯაბარი. დიახ, ქარიმი ლაპარაკობს, პეისერზელი ველ კანინგემი კი უსმენს. სწორედ რომ უნდა უსმინო ქარიმს.



# შეაფუცხუნეს

ათენში, 2004 წლის მასპინძელ ქალაქში ჩასულა ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია პრეზიდენტ ჟაკ როგის ხელმძღვანელობით. ბატონ როგს დიდად შეუფუცხუნებია ბერძნები, მუშაობა დააჩქარეთ, რა პირი დაგილიათო. ჰოდა, ესენიც დაფაცურებულან და გეგმები გადმოულაგებიათ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი ჟილბერ ფელი სწორედ ერთ-ერთი მშენებლობის გეგმას ამოწმებს.



REUTERS ათენიდან

# კურნიკოვას დარდები



წელიწადი იყო, კორტზე არავის ენახა ანა კურნიკოვა. ამ წელიწადში რუსის კრასავიცამ ტრავმებიც მოიშუშა და მაისში იქორწინა კიდეც მასავით მილიონერ, ჰოკეის ვარსკვლავ სერგეი ფიოდოროვზე. ეს კვირა უიღბლო გამოდგა ახალგაზრდა წყვილისთვის. კორტზე დაბრუნებული ანა ლაიფციგის ტურნირის მეორე წრიდან გამოთიშა ანასტასია მისკინამ (6:4, 3:6, 6:3), სერგეიმ კი სეზონისწინა მზადებას ლოთობა შეუხამა და დეტროიტის პოლიციის მსხვერპლი შეიქნა, რახან წითელ შუქზე გააქროლა მანქანა. სიმთვრალედამტკიცებული ჰოკეისტი 3 ოქტომბერს წარდგება სასამართლოს წინაშე და ალბათ ფულადი ჯარიმით გადარჩება, რაც დიდად არ დაეტყობა მის 60 მილიონ დოლარიან კონტრაქტს, „დეტროიტ რედ უინგზს“ რომ გაუფორმა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge